

**ISBD(ER): International Standard Bibliographic Description
for Electronic Resources**

**Revised from the ISBD(CF):
International Standard Bibliographic Description for
Computer Files**

Recommended by the ISBD(CF) Review Group

**(Originally issued by K. G. Saur, Muenchen, 1997
as Vol. 17 in the UBCIM Publications, New Series)**

ISBN 3-598-11369-2

**Translated into Georgian by Irakli Garibashvili
Library Automation Association in Georgia
Tbilisi 2000**

საბიბლიოთეკო ასოციაციების და ორგანიზაციების საერთაშორისო
ფედერაცია
(I F L A)

საყოველთაო ბიბლიოგრაფიული აღრიცხვისა და
საერთაშორისო MARC-ის პროგრამა (UBCIM)

UBCIM-ის გამოცემები – ახალი სერია ტომი 17

რედაქტორი მარი-ფრანს პლასარი

საერთაშორისო სტანდარტული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა
ელექტრონული წყაროებისათვის

მიღებულია ISBD (CF) : "საერთაშორისო სტანდარტული ბიბლიოგრაფიული
აღწერილობა კომპიუტერული ფაილებისათვის"-ის რევიზიის შედეგად

რეკომენდირებულია ISBD (CF)-ს სარევიზიო ჯგუფის მიერ

ორიგინალი: K. G. Saur, მიუნხენი, 1997
ქართული თარგმანი: საქართველოში ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის ასოციაცია,
თარგმნა: ი. ღარიბაშვილმა
თბილისი 2000

სარჩევი

შესავალი

0. წინასწარი შენიშვნები

- 0.1 მოქმედების სფერო, მიზანი და გამოყენება
- 0.2 განსაზღვრებანი
- 0.3 ISBD(G)-ს და ISBD(ER)-ის შედარებითი სქემა
- 0.4 პუნქტუაცია
- 0.5 ინფორმაციის წყაროები
- 0.6 აღწერილობის ენა და დამწერლობის სისტემა
- 0.7 შემოკლებები და აბრევიატურა
- 0.8 დიდი ასოების გამოყენება (კაპიტალიზაცია)
- 0.9 მაგალითები
- 0.10 ბეჭდვითი შეცდომები
- 0.11 სიმბოლოები და ა.შ.

ელემენტების სპეციფიკაცია

- 1 სათაურისა და პასუხისმგებლობის ცნობის სფერო
- 2 გამოცემის სფერო
- 3 წყაროს ტიპისა და ზომის აღნიშვნის სფერო
- 4 გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. სფერო
- 5 ფიზიკური აღწერილობის სფერო
- 6 სერიის სფერო
- 7 შენიშვნების სფერო
- 8 სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომრის და მისაწვდომობის პირობების სფერო

დამატებები

- ა. მრავალდონიანი აღწერილობა
- ბ. ორმხრივი მიმართულების ჩანაწერები
- გ. რეკომენდირებული ტერმინები მასალის ზოგადი აღნიშვნის და სპეციფიური მასალის აღნიშვნისათვის, მათი განმარტებებით
- დ. რეკომენდირებული შემოკლებები ჩანაწერებისათვის ინგლისურ ენაზე ISBD(ER)-ში
- ე. მაგალითები

ანბანური საძიებელი

შესავალი

საერთაშორისო სტანდარტული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა (International Standard Bibliographic Description) შეიქმნა საერთაშორისო კატალოგიზაციის ექსპერტების თათბირის რეზოლუციის შედეგად, რომელიც ორგანიზებული იყო IFLA -ს საკატალოგო კომიტეტის მიერ კოპენჰაგენში 1969 წელს, ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შინაარსისა და ფორმის სტანდარტების დასადგენად¹. მონოგრაფიული გამოცემების საერთაშორისო სტანდარტული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა იყო პირველი ISBD-თაგან, შექმნილი თანახმად 1969 წლის მანდატისა. ISBD(M)-ის პირველი ტექსტი გამოქვეყნდა 1971 წელს რეკომენდაციების სახით. 1973 წლისათვის ეს ტექსტი მიღებულ იქნა მთელ რიგ ეროვნულ ბიბლიოგრაფიებში, ითარგმნა ინგლისურიდან სხვადასხვა ენებზე და მთელმა რიგმა საკატალოგო კომიტეტებმა გაითვალისწინეს იგი ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ეროვნული წესების გადასინჯეს. ამ დროისათვის აგრეთვე აღინიშნა, რომ ბეჭდვითი სიტყვა წარმოადგენს დოკუმენტალური გადაცემის მხოლოდ ერთ-ერთ სახეს, რომელიც აკმაყოფილებს პიროვნებებისა და ორგანიზაციების საკომუნიკაციო მოთხოვნილებებს, და არაწიგნადი მასალების სტანდარტული აღწერის სტრუქტურაც განხილულ უნდა იქნას IFLA-ს საერთაშორისო სტანდარტული ბიბლიოგრაფიული აღწერის პროგრამის მიერ. ამის შედეგად, ISBD (NBM) - საერთაშორისო სტანდარტული ბიბლიოგრაფიული აღწერა არა წიგნადი მასალებისათვის, შეიქმნა და გამოქვეყნდა პირველი გამოცემის სახით 1977 წელს. ეს აღწერილობა შეიცავდა დებულებებს კომპიუტერული ფაილებისათვისაც. მაგრამ, იმის შემდეგ რაც ISBD(NBM) განხილულ იქნა 1981 წელს შექმნილი IFLA-ს სარევიზიო კომიტეტის მიერ ISBD(CM), ISBD(CM) და ISBD(CM)-თან ერთად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება განსაკუთრებული განხილვის საგნად გამოეტანად სულ უფრო მზარდი მოთხოვნილება კომპიუტერული ფაილების სპეციალური აღწერილობისა. მცირე კომპიუტერებისათვის პროგრამებისა და მონაცემების განვითარების შედეგად, ფიზიკური მატარებლის ბუნება უფრო რთული გახდა; ამ ცვლილებების შედეგად ბიბლიოთეკების ფონდებს უფრო ფართოდ დაემატა ფიზიკური ერთეულები, რომლების ნაკლებად ჰგავდნენ ბიბლიოთეკის ფონდების სხვა ერთეულებს და რომელთათვის საჭირო იყო ბიბლიოგრაფიული აღწერა. ამის შედეგად შეიქმნა ISBD(CF) სამუშაო ჯგუფი და მისი პირველი სხდომა შედგა 1986 წლის მარტში. წინასწარი მასალები, დაფუძნებული ISBD(NBM)-ზე, თანდათანობით დაიხვეწა კომპიუტერული ფაილების ფართო მომხმარებელთა შენიშვნების გათვალისწინებით; ამ და სხვა შესრულებული სამუშაოების შედეგს წარმოადგენდა 1988 წლის ბოლოს გამოცემული ISBD(CF)-ის მუშა ვარიანტი. ამ ნაშრომის მთავარ მახასიათებელი იყო ტექსტის ჰარმონიზაცია ზემოთ ხსენებული ოთხი ISBD-ს ახალ ტექსტებთან, რომლებიც 1987-88 წლებში გამოქვეყნდა.

ელექტრონული წყაროები წარმოედგენენ ცვალებადი ტექნოლოგიის პროდუქტს, რომლების ცვლილებების ტემპი საკმაოდ მაღალია. უკანასკნელი დროის დამახასიათებელი ცვლილებებია: ინტერაქტიული მულტიმედიას გავრცელება; ოპტიკური ტექნოლოგიების დანვითარება; ინტერნეტისა და ვების დისტანციური

¹ "Report of the International Meeting of Cataloguing Experts, Copenhagen, 1969." *Libri*, vol. 20, no. 1, 1970; pp. 115-116.

ელექტრონული წყაროების მისაწვდომობა; ელექტრონული წყაროების რეპროდუცირება. ამ მოსაზრებების გამო და იმის აღსანიშნავად თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ISBD(CF)-ი ითვალისწინებდეს ამ ცვლილებებს, IFLA-ს კატალოგიზაციის სექციის მუდმოქმედმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება დაეწყო ISBD(CF)-ის ხელახალი განხილვა, საინფორმაციო ტექნოლოგიების სექციასთან ერთად. 1994 წელს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც ორივე სექციის წევრთაგან შედგებოდა. IFLA-ს დაფინანსებით და კვლევითი ბიბლიოთეკების ჯგუფის (RLG) ფინანსური დახმარებით, საფუძველი ჩაეყარა მეორე გამოცემას. სამუშაო პროექტი დაეზავნა განსახილველად მსოფლიოს მრავალ ორგანიზაციას, 30-ზე მეტი გამოხმაურება, სულ 110-ზე მეტი გვერდი, მიღებულ იქნა პიროვნებების (მკითხველების), საბიბლიოთეკო ასოციაციებისა და ეროვნული ბიბლიოთეკებისაგან. ამის შედეგად შეტანილ იქნა მრავალი შესწორება, თვით განსახილველი მასალისათვის ახალი ტერმინის შემოღების ჩათვლით - "ელექტრონული წყარო", რომელიც უფრო მისაღებად ჩაითვალა (ნაცვლად ძველი ტერმინისა - "კომპიუტერული ფაილი"), ამ სტანდარტის ფარგლებში აღსაწერი ობიექტების ნუსხის გათვალისწინებით.

განსაკუთრებულად აღვნიშნავთ ენ სენდბერგ-ფოქსის (Ann Sandberg-Fox) წვლილს, რომელიც ტექსტის მთავარი რედაქტორი გახლდათ. აგრეთვე განსაკუთრებული მადლიერება გვინდა გამოვხატოთ კვლევითი ბიბლიოთეკების ჯგუფის მიმართ, ISBD(ER) პროექტის ხელშეწყობისათვის.

არწერილობა მოიცავს სამიველსა და ხუთ დამატებას: დამატება ა გვთავაზობს მრავალდონიანი აღწერის ტექნიკას; დამატება ბ განმარტავს თუ როგორ უნდა იქნას წარმოდგენილი მონაცემები, რომლებიც ნაწილობრივ წარმოდგენილია მარცხნიდან მარჯვნივ და ნაწილობრივ მარჯვნიდან მარცხნივ მიმართული დამწერლობებით; დამატება გ წარმოადგენს მასალის ზოგადი აღნიშვნის ტერმინების რეკომენდირებულ ნუსხას; დამატება დ-ში მოცემულია ინგლისურენოვანი ჩანაწერებისათვის რეკომენდირებულ შემოკლებებს, დამატება ე მოიცავს მაგალითებს ჩანაწერის სხვადასხვა სფეროში ISBD-ს დებულებების გამოყენების ილუსტრაციისათვის.

ჯონ დ. ბაირემი უმცრ. (John D. Byrum, Jr.)

ISBD-ს მარეგულირებელი კომიტეტის თავმჯდომარე

ISBD (CF)-ის სარევიზიო ჯგუფის თავმჯდომარე

ვაშინგტონი, 1997 წლის ივნისი

ISBD (CF)-ის სარევიზიო ჯგუფის წევრთა სია:

John D. Byrum, Jr. (Chair) Chief, Regional and Cooperative
Cataloging
LM535, Library of Congress
Washington, DC 20540-4380
United States

Sten Hedberg

Utvecklings-och systemavdelningen

Uppsala Universitetsbibliotek
Box 510
S-751 20 Uppsala
Sweden

Catherine Marandas AUROC
Bibliothèque Cujas
2, rue Cujas
75005 Paris
France

Maria Luisa Martinez-Conde Unidad de Coordinacion
Informatica
Biblioteca Nacional
Paseo de Recoletos, 20
28071 Madrid
Spain

Ann M. Sandberg-Fox Cataloging Consultant and Trainer
34 Broadstreet Road
Fairfax, VT 05454
United States

ISBD (CF)-ის სარევიზიო ჯგუფის ასოცირებულ წევრთა სია:

Sandie Beaney Electronic Media Cataloguing Project
Record Creation
British Library
Boston Spa
Wetherby
West Yorkshire
LS23 7BQ
United Kingdom

Ton Heijligers Chair, Dutch Cataloguing Committee
University Library Amsterdam
Singel 425
1012 WP Amsterdam
Netherlands

Stuart James Librarian
University of Paisley
High Street
Paisley PA1 2BE
United Kingdom

Laurel Jizba Principal Cataloger
Michigan State University Libraries
East Lansing, MI 48824
United States

Mona Madsen Head, Dept. of Bibliography
The Royal School of Librarianship
Birketinget 6
DK-2300 Copenhagen S
Denmark

Eeva Murtomaa

Librarian
Helsinki University Library /
Bibliographic Dept.
Box 26 (Teollisuuskatu 23)
SF-00014 University of Helsinki
Finland

Ingrid Parent

Director, Acquisitions and
Bibliographic Services Branch
National Library of Canada
395 Wellington St.
Ottawa, Ontario K1A ON4
Canada

Mirna Willer

Consultant for Library Automation
National and University Library
U1. Hrvatske bratske zajednice bb
P.O. Box 550
10 000 Zagreb
Croatia

0. წინასწარი შენიშვნები

0.1 მოქმედების სფერო, დანიშნულება და გამოყენება

0.1.1 მოქმედების სფერო

საერთაშორისო სტანდარტული ბიბლიოგრაფიული² აღწერილობა ელექტრონული წყაროებისათვის - შემდგომში ISBD(ER) - ადგენს ამგვარი პუბლიკაციების (ელექტრონული წყაროების) განსაზღვრისა და აღწერის პირობებს, აღწერის ელემენტების მიმდევრობას და აღწერისათვის საჭირო პუნქტუაციის სქემას. მისი დებულებები პირველ ყოვლისა განკუთვნილია ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტოებისათვის (ბეჭდური ეროვნული ბიბლიოგრაფიის, სხვა ბეჭდური ჩანაწერებისათვის და აგრეთვე მათთან დაკავშირებული კომპიუტერული ჩანაწერებისათვის) და აგრეთვე სხვა საკატალოგო ორგანიზაციების ბიბლიოგრაფიული ჩანაწერებისთვის, ელექტრონული თუ ნაბეჭდი სახით.

ელექტრონული წყაროები მოიცავს მასალებს რომლებიც გამოიყენება კომპიუტერის დახმარებით, იმ მასალების ჩათვლით, რომელთა გამოსაყენებლად მოითხოვება დამატებითი პერიფერიული მოწყობილობების (მაგ. კომპაქტ-დისკების აღმძრავის) მიერთება კომპიუტერთან, შესაძლოა იტერაქტიულ რეჟიმში. განიხილება ორი ტიპის წყაროები: მონაცემები (ინფორმაცია რიცხვების, ასოების, ნახატების, ბგერის ან მათი კომბინაციის სახით) და პროგრამები (ინსტრუქციები ან პროცედურები გარკვეული ამოცანების შესასრულებლად, მონაცემთა დამუშავების ჩათვლით). შესაძლებელია მათი კომბინაციების (მონაცემების და პროგრამების) არსებობაც (მაგ. დისტანციური სერვისები, ინტერაქტიული მულტიმედია).

კატალოგიზაციის მიზნებისათვის, ელექტრონული წყაროები განიხილება ISBD(ER)-ის ფარგლებში ორი მიდგომით (გზით), იმის მიხედვით, ლოკალურია (ადგილობრივია) წყარო თუ დისტანციური³. ლოკალურ წყაროდ განიხილება ისეთი, რომლისათვისაც შესაძლებელია ფიზიკური მატარებლის განსაზღვრა. ასეთი მატარებელი (დისკი, კასეტა, და სხვა) ჩაიდგმება (მაგ. მომხმარებლის მიერ) კომპიუტერში (ჩვეულებრივ მიკროკომპიუტერში) ან მასთან დაკავშირებულ პერიფერიულ მოწყობილობაში. დისტანციური წყაროს შემთხვევაში იგულისხმება, რომ მომხმარებელს არ შეუძლია ფიზიკური მატარებლის დამონტაჟება/მართვა - ჩვეულებრივ მისი მიწვდომა შესაძლებელია კომპიუტერულ სისტემასთან (მაგ. ქსელთან) მიერთებული მიღება/გადაცემის მოწყობილობის (მაგ. ტერმინალის) მეშვეობით, ან ეს წყარო ინახება მყარ დისკოზე ან შენახვის სხვა მოწყობილობაზე.

² ტერმინი "ბიბლიოგრაფიული" შეგნებულად გამოიყენება ამ დოკუმენტში ისე, რომ მისი მნიშვნელობა სრულად არ შეესაბამება კონტექსტს, სხვა საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობის არარსებობის გამო.

³ ISBD(ER)-ის ტექსტში ტერმინი "დისტანციური" შეთანხმებით გამოიყენება მხოლოდ კატალოგიზაციის მეთოდის მიმართებით; სავალდებულო არაა იგი უფრო ზოგად - "მანძილის" მნიშვნელობას გულისხმობდეს.

ეს განსაზღვრება მიუდგება ძირითადად ისეთ წყაროებს რომლებიც საყოველთაოდ ხელმისაწვდომია, ინტერაქტიულ მულტიმედიის ნაშრომთა ჩათვლით, აგრეთვე მოიცავს წყაროებს რომლებიც მისაწვდომია ქსელური ან ტელეკომუნიკაციის საშუალებებით.⁴ მაგრამ ამავე დროს ასეთ წყაროებს მიეკუთვნება ისეთები, როგორცაა შეზღუდული გავრცელებისათვის ან დაკვეთის (შესაძლოა ფასიანი) საფუძველზე შექმნილი წყაროები. კომპიუტერის მუდმივ მეხსიერებაში (ROM) არსებული წყარო განიხილება როგორც ამ მოწყობილობის ნაწილი და კატალოგიზაციის პროცესში დამუშავდება როგორც დისტანციური მართვის წყარო. დაპროგრამებული სათამაშოები, კალკულატორები და სხვა დაპროგრამებული ობიექტები არ განიხილება ISBD(ER)-ის ფარგლებში.

ISBD(ER) წარმოადგენს გამოქვეყნებულთაგან ერთ-ერთ ISBD-ს. სხვები შეეხება არაწიგნად მასალებს (ISBD(NBM)), სერიალურ გამოცემებს (ISBD(S)), მონოგრაფიულ გამოცემებს (ISBD(M)), კარტოგრაფიულ მასალებს (ISBD(CM)) და ბეჭდურ მუსიკალურ ნოტებს (ISBD(PM)). ყოველი ISBD დანიშნულია პუბლიკაციების გარკვეული ტიპებისათვის, მოიცავს ურთიერთშეთანხმებულ დებულებათა რიგს და არც ერთი მათგანი არ არის განსაკუთრებული.

იმ შემთხვევებში, როდესაც ელექტრონულ წყაროები ხასიათდება თვისებებით, რომლებიც აღწერილია სხვა ISBD-ში (მაგ. ელექტრონული სერიული გამოცემა, ციფრული რუკა), რეკომენდირებულია ბიბლიოგრაფიულმა ორგანიზაციამ ჯერ სრულად გამოიყენოს ISBD(ER)-ის დებულებები და შემდეგ შესაბამისი კერძო ISBD. შესაძლოა პირიქით - ბიბლიოგრაფიულ ორგანიზაცია ერჩივნოს აღწეროს ასეთი წყარო ჯერ კერძო ISBD-ს და დამატებით - ISBD(ER)-ის გამოყენებით. ყველა ISBD დაფუძნებულია ზოგად ISBD(G)-ზე.

ელექტრონული წყაროები ხშირად იქმნება სხვადასხვა გამოცემების სახით. ახალ გამოცემად ჩათვლება ისეთი ვერსია, რომელიც, როგორც დადგინდება, მნიშვნელოვნად განსხვავდება ინტელექტუალური ან მხატვრული თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში შეიქმნება განსხვავებული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი (იხ. 2.1). ისეთი წყაროებისათვის, რომლებიც მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ჩვეულებრივ არ მოითხოვება განსხვავებული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების შექმნა, თუმცა ბიბლიოგრაფიულმა ორგანიზაციამ შეიძლება რამოდენიმე ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შექმნა არჩიოს. დისტანციური წყაროების შემთხვევაში, (მაგ. ინტერაქტიული მომსახურება), რომლებიც ხშირად განიცდიან ცვლილებებს, რეკომენდირებულია ბიბლიოგრაფიულმა ორგანიზაციამ უგულებელყოს ცნობა გამოცემის შესახებ მეორე სფეროში და შესაბამისი შენიშვნა(ები) გააკეთოს მე-7 სფეროში (იხ. 2.2 და 7.9).

როდესაც აღწერის ერთეული არსებობს რამოდენიმე განსხვავებული ტიპის და/ან ზომის ფიზიკურ მატარებელზე, ან განსხვავებული წარმოდგენის მეთოდის და ფორმატის სახით, მისი აღწერისათვის შესაძლებელია ერთ-ერთი შემდეგი მეთოდის გამოყენება:

⁴ ISBD(ER)-ის კონტექსტში ყველა ყველა საყოველთაოდ ხელმისაწვდომი დისტანციური წყარო ითვლება გამოქვეყნებულად.

(1) ყოველი განსხვავებული ფიზიკური მატარებელი აღიწერება ერთსა და იმავე ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში, ისე, რომ ყოველი მატარებელი მოთავსდება ცალკე სტრიქონში ან დაჯგუფდება სხვაგვარად ერთ უწყვეტ სტრიქონში;

(2) ყოველი განსხვავებული ფიზიკური მატარებელი აღიწერება ცალკე ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში (იხ. სფერო 5, წინასწარი შენიშვნები).

მაგრამ ინტერაქტიული მულტიმედიას შემთხვევაში, ერთ ან რამოდენიმე ფიზიკურ მატარებელზე განთავსებული აღწერის ერთეულისათვის ყოველი ფიზიკური მატარებელი აღიწერება (1) მეთოდის გამოყენებით, სადაც ყოველი მატარებელი მოთავსებულია ერთსა და იმავე ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერის ცალკე სტრიქონში.

ISBD(ER)-ის უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს ბიბლიოგრაფიული ორგანიზაციების, ბიბლიოტეკების, საინფორმაციო ცენტრების თანამედროვე მოთხოვნილებებს, ამიტომ შესაძლოა საჭირო გახდეს მისი დამატებითი დამუშავება ხმარებიდან გამოსული მასალებისათვის.

ამავე დროს, რადგან ISBD(ER)-ს საშუალებით აღსაწერი მასალები სწრაფად ცვლადი ტექნოლოგიის პროდუქტს წარმოადგენენ, სავარაუდოა ახალი დებულებების დამატება ამ ISBD-ში, განსაკუთრებით მე-3 სფეროში (მასალის დახასიათების სფერო) და მე-5 სფეროში (ფიზიკური აღწერილობის სფერო), იმისათვის რომ სათანადოდ აღიწეროს ახალი ფორმის და თვისებების მქონე მასალები.

0.1.2 დანიშნულება

ISBD-ს უპირველესი დანიშნულებაა თავსებადი ბიბლიოგრაფიული აღწერილობის პირობების უზრუნველყოფა მთელს მსოფლიოში, რათა ხელი შეუწყოს ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების საერთაშორისო გაცვლას როგორც ეროვნულ ბიბლიოგრაფიულ სააგენტოებს შორის, ასევე მთელს საერთაშორისო საინფორმაციო და საბიბლიოთეკო საზოგადოებაში. ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ელემენტების განსაზღვრით, იმ თანამიმდევრობისა და პუნქტუაციის დაწესებით, რომლის მიხედვითაც ეს ელემენტები უნდა იქნას წარმოდგენილი და გამოყოფილი ერთმანეთისაგან ჩანაწერში, ISBD-ები ისახავენ მიზნად, რომ: ა) გახადონ სხვადასხვა წარმოშობის ჩანაწერები გამოსადეგი ურთიერთგაცვლისათვის ისე, რომ ერთ ქვეყანაში შექმნილი ჩანაწერები ადვილად იქნას გამოყენებული სხვა ქვეყნის ბიბლიოთეკის კატალოგებში და ბიბლიოგრაფიულ ნუსხებში; ბ) ხელი შეუწყონ ჩანაწერების აღქმას მიუხედავად ენობრივი ბარიერისა, რათა ჩანაწერები შექმნილი ერთი ენის მომხმარებლისათვის ადვილად გასაგები გახდეს სხვა ენის მომხმარებლისათვის; გ) დაეხმარონ ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების გადაყვანას (კონვერსიას) კომპიუტერულ ფორმაში.

0.1.3 გამოყენება

ISBD-ები უზრუნველყოფენ პირობებს მაქსიმალური აღწერილობითი ინფორმაციის მისაღებად, რომელიც აუცილებელია სხვადასხვა ბიბლიოგრაფიული საქმიანობისათვის და ამიტომ ისინი შეიცავენ ისეთ ელემენტებს, რომლებიც არსებითია თუნდაც ერთი ასეთი საქმიანობისათვის, მაგრამ არ არის აუცილებელი ყველასათვის.

რეკომენდირებულია, რომ ეროვნულმა ბიბლიოგრაფიულმა სააგენტოებმა ყოველ ქვეყანაში, რომელთაც დაკისრებული აქვთ ამ ქვეყნის ყველა გამოცემის სრული და ზუსტი აღწერილობის შედგენის პასუხისმგებლობა, მოამზადონ სრული და ზუსტი აღწერილობა, რომელიც შეიცავს ყველა სავალდებულო ელემენტს, გათვალისწინებულს შესაბამის ISBD-ში, იმ მოცულობით, რომლითაც ეს მონაცემები გამოყენებულია აღსაწერ გამოცემაში. გარკვეული ელემენტები განსაზღვრებულია როგორც არასავალდებულო (იხ. ტექსტში სიტყვა "შესაძლოა") და ამ ელემენტის შესაბამისი ინფორმაცია შესაძლებელია იყოს მოყვანილი ან გამოტოვებული სააგენტოს გადაწყვეტილებით. სხვა საკატალოგიზაციო ორგანიზაციებს უფრო ფართო არჩევანი აქვთ, რადგან ისინი არ უზრუნველყოფენ სრულ და ზუსტ ჩანაწერებს საერთაშორისო გაცვლისათვის. მათ შეუძლიათ შეარჩიონ ISBD-ს ელემენტები, სავალდებულო თუ არასავალდებულო, საკუთარ ჩანაწერებში ჩასართავად, შესაბამისი ISBD-ს მიერ დაწესებული თანმიმდევრობისა და პუნქტუაციის დაცვით.

ISBD-ს მიხედვით შექმნილი აღწერილობა წარმოადგენს სრული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ნაწილს და ჩვეულებრივად დამოუკიდებლად არ გამოიყენება. სრული ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერის სხვა შემადგენელი ელემენტები ისეთები, როგორიცაა თავსათაური, საგნობრივი რუბრიკები, უნიფიცირებული სათაური, ბარათების და დამატებითი ბარათების განლაგების ნიშნები და წესები არ შედის ISBD-ს დებულებებში. ამ ელემენტების ჩაწერის ნორმები ჩვეულებრივ მოცემულია საკატალოგიზაციო წესებში.

0.2 განსაზღვრებანი

ქვემოთ მოყვანილია ისეთი ტერმინების განსაზღვრებანი, რომლებიც გამოყენებულია ISBD(ER)-ში განსაკუთრებული ან რამოდენიმე ზოგადი განსაზღვრებიდან ერთ-ერთი მნიშვნელობით. მოყვანილია აგრეთვე ზოგიერთი ტერმინი ჩვეულებრივი ბიბლიოგრაფიული მნიშვნელობით. ტერმინები, რომლებიც რეკომენდირებული მასალის ზოგადი აღნიშვნის და სპეციფიური მასალის აღნიშვნისათვის განმარტებულია გ დამატებაში.

| | | |
|-----------------------|------------------|---|
| Access | წვდომა, მიღება | საინფორმაციო წყაროებისა და პროგრამების მიწვდომის მეთოდი (იხ. აგრეთვე ლოკალური წვდომა და დისტანციური წვდომა) |
| Accompanying Material | თანმხლები მასალა | ნებისმიერი მასალა, რომელიც თან ახლავს აღსაწერი ერთეულის ძირითად ნაწილ(ებ)ს და განკუთვნილია მასთან ერთობლივი გამოყენებისათვის. |

| | | |
|--|---|--|
| Accompanying material statement | ცნობა თანმხლები მასალის შესახებ | თანმხლები მასალის მოკლე აღწერა |
| Alternative Title | ალტერნატიული სათაური | ძირითადი სათაურის მეორე ნაწილი თუ ძირითადი სათაური შედგება ორი ნაწილისაგან, (თითოეულ მათგანს აქვს სათაურის ფორმა) რომლებიც დაკავშირებულია სიტყვით "ან", ან მისი ექვივალენტით სხვა ენაზე. |
| Area | სფერო | ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ძირითადი ნაწილი, რომელიც შეიცავს გარკვეული კატეგორიის ან რიგი კატეგორიების მონაცემებს. |
| Bibliographic description | ბიბლიოგრაფიული აღწერილობა | ბიბლიოგრაფიული მონაცემების ერთობლიობა პუბლიკაციის აღნუსხვისა და იდენტიფიკაციისათვის. |
| business computer see Computer | ბიზნეს-კომპიუტერი იხ. კომპიუტერი | |
| Catalogue (Electronic) see Directory | კატალოგი (ელექტრონული) იხ. საძიებელი | |
| CD-I (Compact disc-Interactive) | CD-I (ინტერაქტიული კომპაქტ-დისკი) | კომპაქტ-დისკის ფორმატი, რომელიც შექმნა კომპანიებმა Philips და Sony; გამოიყენება ელექტრონული წყაროების (ბგერითი, ტექსტური, უზრავი და მოძრავი გამოსახულების და სხვა.) შესანახად ოპტიკური ფორმატით. მოითხოვს CD-I "საკრავს" |
| CD-ROM (Compact Disc Read-Only Memory) | CD-ROM (მხოლოდ ამოკითხვის ფუნქციის მქონე კომპაქტ დისკი) | კომპაქტ-დისკის ფორმატი, რომელიც გამოიყენება ელექტრონული წყაროების (ბგერითი, ტექსტური, უზრავი და მოძრავი გამოსახულების და სხვა.) შესანახად ოპტიკური ფორმატით. მოითხოვს CD-ROM "საკრავს" |

| | | |
|--------------|----------------|---|
| Colour | ფერი | ორი ან რამოდენიმე ფერი, რომელიც გამოისახება პროგრამის მეშვეობით ან მონიტორზე. ფერების გამომსახველი პროგრამები მოითხოვენ ფერად მონიტორს და ზოგ შემთხვევაში სხვა კომპიუტერულ მოწყობილობებს. |
| Common Title | საერთო სათაური | სათაურის ის ნაწილი, რომელიც ახლავს ურთიერთდაკავშირებულ პუბლიკაციების ჯგუფს დამატებით მათი ცალკეული ნაწილების სათაურებისა. საერთო სათაური გამოიყენება აღნიშნული ურთიერთკავშირების მისანიშნებლად და ცალკეული ნაწილის სათაურთან ერთად მოცემული პუბლიკაციის საიდენტიფიკაციოდ. საერთო სათაური შეიძლება ასევე საერთო იყოს ძირითადი პუბლიკაციისათვის და მისი დამატებებისათვის, და ასევე მისი ძირითადი სერიებისა და ქვესერიებისათვის, როდესაც დამატებებს და ქვესერიებს გააჩნიათ დამოკიდებული სათაური. |
| Compression | შეკუმშვა | ინფორმაციის შემჭიდროების მეთოდი, მისი გადაცემის ან შენახვის/დაცვის ეფექტურობის ასამაღლებლად, გამოიყენება მონაცემთა მიღება/გადაცემის, კომუნიკაციის, მონაცემთა ბაზების მართვის, ფაქსიმისური გადაცემის სისტემებში. |
| Computer | კომპიუტერი | მანქანა, რომელიც მიიღებს, ინახავს, მართავს და დაამუშავებს ინფორმაციას და/ან ბრძანებებს. საზოგადოდ კომპიუტერები შეიძლება დაიყოს 3 ჯგუფად: (1) დიდი კომპიუტერები, (2) მინიკომპიუტერები და (3) მიკროკომპიუტერები, ამ უკანასკნელებს აგრეთვე "პერსონალურ", "საოჯახო", "ზიზნეს" კომპიუტერებს უწოდებენ. |
| Container | კონტეინერი | ნებისმიერი გარსაცმი, რომელშიც მოთავსებულია აღწერის ერთეული ან ერთეულთა ჯგუფი ან ერთეულის ნაწილი, რომელიც ფიზიკურად განცალკევებულია მასში მოთავსებული მასალისაგან (ყუთი ან ჩამკერი წარმოადგენს კონტეინერს დისკებისათვის, ხოლო კასეტა - არა). |

| | | |
|-----------------------------|---|--|
| Data set name | მონაცემთა სახელწოდება | |
| see File Name | იხ. ფაილის სახელწოდება | |
| Dependent title | დაქვემდებარებული სათაური | <p>სათაური, რომელიც თავისთავად არ არის საკმარისი პუბლიკაციის იდენტიფიცირებისთვის და რომელიც დამატებით მოითხოვს საერთო სათაურს ან ძირითადი პუბლიკაციის სათაურს ან ძირითადი სერიის სათაურს. მის მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ ნაწილების სათაურები და ქვესერიების ზოგიერთი სათაურები.</p> |
| Dependent title designation | დაქვემდებარებული სათაურის აღნიშვნა | <p>სიტყვა ან ასო ან რიცხვები ან მათი კომბინაცია რომლებიც იხმარებიან ცალკე ან დაქვემდებარებულ სათაურთან ერთად, იმისათვის რომ საერთო სათაურის მქონე ორი ან მეტი ურთიერთდაკავშირებული სერიული გამოცემებიდან გამოვყოთ ერთ-ერთი (იხ. აგრეთვე ქვესერიის აღნიშვნა)</p> |
| Directory | საძიებელი | <p>ფაილების და მათი შესამაბისი სახელწოდებების ნუსხა, რომლის დათვალიერება და დახარისხება შესაძლებელია სხვადასხვა გზით (მაგ. ანბანურად, თარიღით, ზომით ან ხატნიშანთა სახით გრაფიკულ გარემოში). აგრეთვე ეწოდება "კატალოგი".</p> |
| Disc | <p>დისკი (დისკო)</p> <p>იხ. ოპტიკური ქომპაქტ-დისკების დამახასიათებელი ფორმატები: CD-I, CD-ROM, Photo CD)</p> <p>იხ. მყარი დისკი</p> | |

| | | |
|------------------------------|---------------------------|--|
| Documentation | დოკუმენტაცია | ინფორმაცია გამოქვეყნებული გამომცემლის, მწარმოებლის და სხვ. მიერ, წყაროსთან ერთად, ჩვეულებრივ სახელმძღვანელოების ან ინსტრუქციების სახით (ზოგჯერ ელექტრონული სახით), რომელშიც აღწერილია ელექტრონული წყაროს ან კომპიუტერული სისტემის ამოქმედების, მართვის და გამოყენების მეთოდები. |
| Edition | გამოცემა | ელექტრონული წყაროს ყველა ეგზემპლარი (ასლი), რომელიც შექმნილია არსებითად ერთი და იმავე ორიგინალიდან და გამოქვეყნებულია ან წარმოებულია გარკვეული ორგანიზაციის ან ორგანიზაციათა ჯგუფის მიერ. გამოცემა შესაძლებელია იდენტიფიცირებული იყოს თვით წყაროში გამოცემის შესახებ ცნობების სახით ან კატალოგიზატორის მიერ მნიშვნელოვანი განსხვავებების არსებობის შემთხვევაში ან გამომცემლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. (იხ. აგრეთვე ვერსია) |
| Edition Statement | ცნობები გამოცემის შესახებ | სიტყვა, ფრაზა ან სიმბოლოების ჯგუფი, რომლებიც მიუთითებენ, რომ აღწერის ერთეული მიეკუთვნება რომელიმე გამოცემას. |
| Element | ელემენტი | სიტყვა, ფრაზა ან სიმბოლოების ერთობლიობა, რომლებიც წარმოადგენენ ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის გარკვეულ ერთეულს და შეადგენენ ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სფეროს ნაწილს. |
| File Name | ფაილის სახელწოდება | სახელწოდება, რომელიც ჩვეულებრივ ანბანურ-ციფრული ნიშნებისაგან სრული ჯგუფისაგან შედგება და გამოიყენება საინფორმაციო წყაროს ან კომპიუტერული პროგრამის იდენტიფიცირებისათვის. იგივეა რაც მონაცემთა სახელწოდება. |
| General material designation | მასალის ზოგადი აღნიშვნა | ტერმინი, რომელიც ფართოდ აღნიშნავს მასალათა იმ კლასს, რომელსაც მიეკუთვნება მოცემული აღწერის ერთეული (იხ. დამატება გ). |

| | | |
|-----------------------|--------------------------|--|
| Hard disk | მყარი დისკო | ხისტი მაგნიტური დისკი, მყარ კონტეინერში, რომელიც ელექტრონული წყაროს შესანახად ადამოსაკიათხად გამოიყენება; მყარი დისკი შესაძლებელია იყოს როგორც ფიქსირებული, ასევე მოსახსნელი/გადასატანი. |
| Hardware | კომპიუტერული ტექნიკა | კომპიუტერის ფიზიკური შემადგენელი ნაწილები, იმ ელექტრონული ან მექანიკური ტექნიკის ჩათვლით, რომელიც კომპიუტერული სისტემის მართვისას გამოიყენება. |
| Home computer | საოჯახო კომპიუტერი | |
| see Computer | იხ. კომპიუტერი | |
| Home page | ჰომპეიჯი | ჰიპერტექსტული დოკუმენტის საწყისი, გამხსნელი ეკრანი ვებსაიტზე. ჰომპეიჯები წარმოადგენენ ვებ გვერდების ქვესიმრავლეს. ეს უკანასკნელები წარმოადგენენ ინფორმაციას სისტემების, სამსახურების ან პროდუქტების შესახებ, აგრეთვე შეიცავენ ურთიერთკავშირებს სათანადო დოკუმენტებთან ან ვებსაიტებთან სიტყვების, უნუფიცირებული მისამართების და სხვა სახით. (იხ. აგრეთვე ბებ გვერდი, ვებსაიტი, უნიფიცირებული მისამართი .) |
| Interactive videodisc | ინტერაქტიული ვიდეო-დისკი | ვიდეო-დისკი, რომელიც კომპიუტერით იმართება |
| Internet | ინტერნეტი | დიდ კომპიუტერული ქსელი, რომელიც შედგება რიგი მცირე ქსელებისაგან და რომელთა ურთიერთკავშირი დაფუძნებულია ინტერნეტის პროტოკოლსა (IP) და ანალოგიურ პროტოკოლებზე. ინტერნეტი უზრუნველყოფს ისეთ სამსახურებს (სერვისებს) როგორცაა ფაილების გადაცემა, ელექტრონული ფოსტა, სისტემაში დისტანციური შედწევა, ახალი ამბების სერვისს და სხვა. (იხ. აგრეთვე ვები) |

| | | |
|----------------|--|--|
| ISBN | ISBN (წიგნის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი) | ათნიშნა რიცხვი, რომელიც შეიცავს საკონტროლო ციფრს და რომელსაც წინ უძღვის ანბანური თავსართი ISBN-ი. ISBN ახდენს კონკრეტული გამომცემლის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის, როგორც გამოცემის, იდენტიფიცირებას და უნიკალურია მოცემული გამომცემისათვის. ის მიეწერება გამომცემას ISBN-ის ეროვნული სააგენტოს მიერ, რომელიც ემყარება ISO-ს სტანდარტს 2108-1978(E) - "დოკუმენტაცია - წიგნის საერთაშორისო სტანდარტული ნუმერაცია (ISBN)". |
| ISSN | ISSN (სერიალური გამოცემის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი) | რვათნიშნა რიცხვი, რომელიც შეიცავს საკონტროლო ციფრს, რომელსაც წინ უძღვის ანბანური თავსართი ISSN-ი. ISSN-ი საკვანძო სათაურთან ერთად ცალსახად ახდენს სერიალური გამოცემის სათაურის იდენტიფიცირებას. (იხ. ISDS სახელმძღვ. ნაწ. I). მისი მინიჭება ხდება სერიალური გამოცემების მონაცემთა საერთაშორისო სისტემის (ISDS) თანახმად და დაფუძნებულია ISO-ს სტანდარტზე: ISO 3297-1986. |
| Key title | საკვანძო სათაური | უნიკალური სახელწოდება, რომელიც ენიჭება სერიალურ გამოცემას სერიალური გამოცემების მონაცემთა საერთაშორისო სისტემის (ISDS) მიერ და განუყოფლადაა დაკავშირებული მის სერიალური გამოცემის საერთაშორისო სტანდარტულ ნომერთან (ISSN). |
| Listing | ლისტინგი | პროგრამის ტექსტი ან წყაროს სარჩევი, ამობეჭდილი ან ეკრანზე გამოსახული. |
| Local access | ლოკალური წვდომა | ელექტრონული წყაროს მიღების (წვდომის) მეთოდი, ისეთი ფიზიკური მატარებლის გამოყენებით, როგორცაა დისკი/დისკო, კასეტა, და სხვა, რომლებიც მომხმარებელმა უნდა ჩადგას კომპიუტერში ან პერიფერიულ მოწყობილობაში. |
| logical record | ლოგიკური ჩანაწერი იხ. ჩანაწერი | |

| | | |
|----------------------------|-------------------------------------|---|
| magn. disk | მაგნიტური დისკი იხ. დისკი | |
| Main series | ძირითადი სერია | დანომრილი სერია, რომელიც შეიცავს ერთ ან მეტ ქვესერიას. |
| Menu | მენიუ | შესაძლო არჩევანთა (პარამეტრთა) სია, რომელიც ფაილშია ჩართული. |
| Monograph ic item | მონოგრაფიულ ი ერთეული | აღწერის ერთეული, რომელიც მთლიანად დასრულებულია ერთ ან რამოდენიმე ნაწილად, ან უნდა დასრულდეს სასრული რაოდენობით ცალკეულ ნაწილების სახით. |
| Multi-level description | მრავალდონიან ი აღწერილობა | ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენის მეთოდი. ემყარება აღწერილობაში მოცემული ინფორმაციის დაყოფას ორ ან მეტ დონედ. პირველი დონე შეიცავს საერთო ინფორმაციას მთლიან ან ძირითად აღწერის ერთეულზე. მეორე და შემდგომი დონეები კი შეიცავენ ინფორმაციას, დაკავშირებულს ცალკეულ ერთეულთან. |
| multi part resorce | მრავალნაწილი ანი წყარო | მონოგრაფიული ერთეული, რომელიც შედგება სასრული რაოდენობის ფიზიკურად განცალკევებული ნაწილებისაგან, რომელიც ცნობილია ან გამოცემულია როგორც ერთი მთლიანობა. თითოეულ მის ნაწილს შეიძლება ჰქონდეს თავისი საკუთარი სათაურები და ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ. |

| | | |
|---------------------------|--------------------------------------|--|
| Other title information | სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ | სიტყვა, ფრაზა ან სიმბოლოების ჯგუფი, რომელიც გვხვდება აღწერის ერთეულის ძირითად სათაურთან ერთად და ექვემდებარება მას. სხვა ცნობები სათაურის შესახებ ასევე გვხვდება სხვა სათაურებთან (მაგ. პარალელური სათაურები, აღწერის ერთეულში შემავალ ცალკეულ ნაწარმოებთა სათაურები და სათაურები, რომლებიც შედიან ცნობებში სერიებისა და ქვესერიების შესახებ) ერთად და ექვემდებარება მათ. სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ განსაზღვრავს, ხსნის ან ავსებს სათაურებს, რომელთაც ისინი მიეკუთვნებიან, ან მიუთითებენ აღწერის ერთეულის ხასიათზე, შინაარსზე და ა.შ. ან მისი შექმნის საფუძველზე. ეს ცნება მოიცავს ავანტიტრებს, მაგრამ არ მოიცავს ვარიანტულ სათაურებს (მაგ. ყუის სათაური), რომლებიც გვხვდებიან პუბლიკაციაში, მაგრამ არა წინასწარ განსაზღვრულ ინფორმაციის წყაროში. |
| Paralel edition Statement | ცნობები პარალელური გამოცემის შესახებ | ცნობები გამოცემის შესახებ სხვა ენაზე და/ან სხვა დამწერლობაში. |
| Paralel title | პარალელური სათაური | ძირითადი სათაური (ან ცალკეულ ნაწარმოების სათაური, რომელიც შედის აღწერის ერთეულში კოლექტიური ძირითადი სათაურის გარეშე), სხვა ენაზე და/ან სხვა დამწერლობაში; ან სათაური სხვა ენაზე და/ან დამწერლობაში, რომელიც წარმოდგენილია ძირითადი სათაურის ექვივალენტად. პარალელური სათაურები გვხვდებიან აგრეთვე ძირითად სათაურთან კავშირში ცნობებში სერიისა და ქვესერიის შესახებ. |
| Periferial | პერიფერიული მოწყობილობა | კომპიუტერულ სისტემასთან დაკავშირებული დამატებითი მოწყობილობა, რომელიც ჩვეულებრივ შეტანა/გამოყვანის ოპერაციებისათვის არის დანიშნული (მაგ. საბეჭდი მოწყობილობა). |

| | | |
|---------------------------------|---|---|
| Personal Comp. | პერსონალური კომპიუტერი იხ. კომპიუტერი | |
| Photo CD | Photo CD (ფოტო კომპაქტ-დისკი) | კომპაქტ-დისკის ფორმატი, შექმნილი კოდაკის ფირმის მიერ, რომელითაც ხდება 35 მმ სლაიდების ან ნეგატივების შენახვა. საჭიროებს მრავალფუნქციონალურ CD-ROM აღმძრავს იმ გამოსახულებების ამოსაკითხად, რომლებიც პირველი ჩაწერის შემდეგ იქნა დამატებული. |
| Physical carrier | ფიზიკური მატარებელი | ფიზიკური მასალა, გარემო, რომელზეც ან რომელშიც შესაძლებელია ინფორმაციის, ბგერის, გაოსახულების, პროგრამის, და სხვ. შენახვა. მასალათა ზოგიერთი კატეგორიებისათვის ფიზიკური მატარებელი შედგება შესანახი გარემოსა (მაგ. მაგნიტური ან ფოტო-ფირი) და პლასტიკურ, ლითონის ან სხვა გარსაცმისაგან (მაგ. კასეტა, და სხვა), რომელიც ალწერის ერთეულის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. |
| Prescribed punctuation | დაწესებული პუნქტუაცია | ბიბლიოგრაფიული სააგენტოების მიერ დაწესებული პუნქტუაცია, რომელიც წინ უძღვის ან გამიჯნავს ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ყოველი შემადგენელი ელემენტის (გარდა I სფეროს პირველი ელემენტისა) ან სფეროს ინფორმაციას. |
| prescribed source of informatio | ინფორმაციის დაწესებული წყარო | წინასწარ დაწესებული წყაროთა სიმრავლე, საიდანაც უნდა იქნას აღებული ინფორმაცია ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ყოველ ელემენტში ჩასაწერად. |
| Producer | მწარმოებელი | ფიზიკური პირი ან ორგანიზაცია, რომელსაც მიეკუთვნება ელექტრონული წყაროს შექმნის პროცესზე ფინანსური და/ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. შესაძლოა სხვადასხვა რიგის პასუხისმგებლობა განეკუთნოს გარკვეული ნაშრომის შემოქმედებით და ტექნიკურ მხარეებს, ინფორმაციის შეგროვებისა და კომპიუტერულ ფორმაში კონვერტირების ჩათვლით. |

| | | |
|--|--|---|
| Publication(remote electronic resource) | პუბლიკაცია (დისტანციური ელექტრონული წყარო) | ISBD(ER)-ის ფარგლებში ყველა დისტანციური ელექტრონული წყარო ითვლება გამოქვეყნებულად. ფორმალური ცნობები გამოქვეყნების შესახებ რომლებშიც შედის ინფორმაცია გამოქვეყნების ადგილის, თარიღის და გამომცემლის შესახებ შევა ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში იმ შემთხვევაში თუ ეს ინფორმაცია არსებობს. თუ თვით აღწერის ერთეულში არა არის მოცემული გამომცემის ადგილი ან გამომცემელი, მათ მაგივრად ჩაიწერება შესაბამისად "s.l." და "s.n." (იხ. 4.1 და 4.2). |
| record | ჩანაწერი | სიტყვების, სიმბოლოების ან ციფრების ჯგუფი ან მათი კომბინაცია, რომლებიც განიხილება ერთიანობაში მათი შინაარსის ან დანიშნულების თვალსაზრისით (მაგ. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი ელექტრონულ კატალოგში, ჩანაწერი სამედიცინო წიგნაკში, სტუდენტის საგამოცდო შეფასების ნიშანი) |
| remote access | დისტანციური წვდომა | ელექტრონული წყაროს გამოყენების მეთოდი, რომლის დროსაც არ არსებობს რაიმე ფიზიკური მატარებელი, რომელიც მომხმარებელმა უნდა დაამონტაჟოს ან მართოს. წყაროები ინახება დიდ მოწყობილობებში, რომლებიც იმართებიან მექანიკურად ან კომპიუტერის ტექნიკოსის მიერ, მიკროკომპიუტერის მყარი დისკის ჩათვლით. |
| section title | ნაწილის სათაური | სათაური, რომელიც ახასიათებს ნაწილს და ემსახურება საერთო სათაურის მქონე ერთმანეთთან დაკავშირებული სერიალური გამოცემების ჯგუფის ერთი ნაწილის გამორჩევას. სერიალის იდენტიფიკაციის მიზნით ნაწილის სათაური დამოკიდებულია საერთო სათაურზე იმისდა მიუხედავად განსხვავდებიან ისინი, თუ არა. |

| | | |
|-------------------------------|----------------------------------|---|
| series | სერია | ცალკეულ გამოცემათა ჯგუფი, რომლებიც ურთიერდაკავშირებულია იმით, რომ ყოველ ერთეულს გარდა საკუთარი ძირითადი სათაურისა, გააჩნიათ კოლექტიური სათაური, რომელიც მიეკუთვნება მთელ ჯგუფს, როგორც ერთ მთლიანობას ე.ი. სერიის ძირითადი სათაური. ცალკეული პუბლიკაციები შეიძლება იყოს ან არ იყოს დანომრილი. |
| series Statement | ცნობები სერიის შესახებ | სერიის იდენტიფიცირების ძირითადი ელემენტები სერიაში შემავალი ცალკეული ერთეულების ნუმერაციის ჩათვლით. იგი ასევე შეიცავს ცნობებს იმის შესახებ, რომ პუბლიკაცია შეადგენს მრავალტომიან გამოცემის ნაწილს. (იხ. ასევე ცნობები ქვესერიის შესახებ). |
| specific material designation | სპეციფიკური მასალის აღნიშვნა | ტერმინი მიუთითებს მასალის სპეციფიკურ კლასზე, რომელსაც განეკუთვნება აღწერის ერთეული (იხ. დამატება გ). |
| statement of responsibility | ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ | სახელები, ფრაზები ან სიმბოლოების ჯგუფები, რომლებიც დაკავშირებულია ნაწარმოების შექმნაზე, ასევე მისი ინტელექტუალური ან მხატვრული შინაარსის შექმნასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის ან კოლექტივ(ებ)ის იდენტიფიკაციასთან და/ან მის(მათ) ფუნქციასთან. ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ შეიძლება გვხვდებოდეს სათაურებთან კავშირში (მაგ. ძირითად სათაურთან, პარალელურ სათაურთან, აღწერის ერთეულში შემავალ ცალკეულ ნაწარმოებთან სათაურებთან; სათაურებთან, რომლებიც შედიან ცნობებში სერიებისა და ქვესერიების შესახებ), ან გამოცემის შესახებ ცნობებთან კავშირში. |
| sub-series | ქვესერია | სერია, რომელიც არის დანომრილი სერიის ნაწილი(მთავარი სერია). ქვესერიას შეიძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს ძირითად სერიაზე დაქვემდებარებული სათაური(იხ ასევე საერთო სათაური, დაქვემდებარებული სათაური). |

| | | |
|---------------------------------------|---|---|
| sub-series designation | ქვესერიის ჟალნიშვნა | სიტყვა, ასო ან ნომერი, ან მათი კომბინაცია, რომელიც მოსდევს ძირითადი სერიის სათაურს და შეიძლება იწერებოდეს დამოუკიდებლად ან ქვესერიის სათაურთან ერთად. |
| sub-series statement | ცნობები ქვესერიის შესახებ | ქვესერიის იდენტიფიცირების ძირითადი ელემენტები, ქვესერიაში შემავალი ცალკეული პუბლიკაციების ნუმერაციის ჩათვლით. იმ შემთხვევაში, როდესაც ქვესერიის სათაური დაქვემდებარებულია ძირითად სერიის სათაურზე, ცნობები ქვესერიის შესახებ შეიცავს როგორც სერიის, ასევე ქვესერიის სათაურს და შესაძლებელია შეიცავდეს ქვესერიის აღნიშვნას (იხ. ასევე ცნობები სერიის შესახებ). |
| TEI (Text encoding Initiative) header | TEI ("ტექსტის კოდირების ინიციატივის" თავსათაური) | არწერითი და განმსაზღვრელი ინფორმაცია, რომელიც წარმოედგენს "ელექტრონულ სატიტულე გვერდს" TEI-ფორმატის ტექსტებისათვის. ამგვარი თავსათაური შედგება ოთხი ძირითადი კომპონენტისაგან: ფაილის აღწერა, კოდირების აღწერა, პარამეტრების აღწერა, შესწორებების აღწერა. |
| terminal | ტერმინალი | შეტანა, გამოტანის მოწყობილობა, რომელიც შედგება კლავიატურისა და ეკრანის ან მონიტორისაგან, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის ან ინსტრუქციების გადაცემა-მიღებისათვის. |
| title | სათაური | სიტყვა, ფრაზა ან სიმბოლოების ჯგუფი, რომლებიც საზოგადოდ გვხვდებიან პუბლიკაციებში (აღწერის ერთეულებში) და, რომლებიც ანიჭებენ სახელს პუბლიკაციების ან მათში შემავალ ნაშრომებს, (ან ნებისმიერ ნაშრომს ცალკეულ ნაშრომთა ჯგუფებიდან). აღწერის ერთეულები ჩვეულებრივ შეიცავენ რამოდენიმე სათაურს (მაგ.: თვით აღწერის ერთეულზე ან კონტეინერის გარეკანზე), ეს სათაურები შეიძლება იყოს იდენტური ან განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. |

| | | |
|--------------|--|---|
| title proper | ძირითადი სათაური | <p>აღწერის ერთეულის მთავარი სათაური, ე.ი. აღწერის ერთეულის სათაური იმ ფორმით, რომელიც მოცემულია სათაურისა და სათაურის შესახებ ცნობებისათვის დაწესებულ ინფორმაციის წყაროში. ძირითადი სათაური შეიცავს ნებისმიერ ალტერნატიულ სათაურს, მაგრამ არ მოიცავს პარალელურ სათაურს და სხვა ცნობებს სათაურის შესახებ.</p> <p>აღწერის ერთეულებისათვის, რომლებიც შეიცავენ რამოდენიმე ინდივიდუალურ ნაშრომს, ძირითად სათაურს წარმოადგენს კოლექტიური სათაური. აღწერის ერთეულები, რომლებიც შეიცავენ რამდენიმე ცალკეულ ნაშრომს და არ გააჩნიათ კოლექტიური სათაური, განიხილებიან, როგორც პუბლიკაციები ძირითადი სათაურის გარეშე. სერიასა და ქვესერიას აგრეთვე გააჩნია საკუთარი ძირითადი სათაური. ზოგიერთი ძირითადი სათაური შეადგება რამდენიმე სათაურისაგან, რომელთაგან ერთს ეწოდება საერთო, ხოლო დანარჩენებს - დაქვემდებარებული სათაურები.</p> |
| title Screen | სატიტულე ეკრანული გამოსახულება | სატიტულე გამოსახულება, რომელიც ჩვეულებრივ გამოჩნდება ეკრანზე ან მონიტორზე ელექტრონული წყაროს პირველ (გამხსნელ) ჩარჩოში. |
| URL | URL (წყაროს უნიფიცირებული ადგილმდებარეობა) | დამისამართების სისტემა, წყაროს ადგილმდებარეობის დასადგენად კომპიუტერულ ქსელში. URL-ი შედგება რამოდენიმე ნაწილისაგან, მათ შორის იმ სამსახურისა და პროტოკოლის აღნიშვნისაგან, რომელიც გამოიყენება წყაროს მისაღებად. |
| Version | ვერსია | ტერმინი, რომელიც მიესადაგება გამოცემას. ვერსიები შეიძლება შეიცავდნენ დიდ ან მცირე ცვლილებებს და ამიტომ შესაძლებელია არ განსაზღვრავდნენ ცალსახად ახალ გამოცემებს (იხ. აგრეთვე გამოცემა). |

| | | |
|-------------------------|---|--|
| vidodisk Interactive | ვიდეო-დისკი, ინტერაქტიული ი იხ, ინტერაქტიული ვიდეო-დისკი | |
| Web page | ვებ გვერდი | ჰიპერტექსტული დოკუმენტის ერთ-ერთი გვერდი ვებსაიტზე. ვებ გვერდები, რომლებიც მოიცავენ ქვესიმრავლის სახით ჰომპეიჯებს, წარმოადგენენ ვების შემადგენელ უდიდეს დოკუმენტების ფონდს (იხ. ჰომპეიჯი, ვები). |
| web site | ვებსაიტი | |
| world wide web site | ვებსაიტი | URL-ის სახით განსაზღვრული ადგილმდებარეობა ვებ-ში, სადაც მოთავსებულია ვებ გვერდები მათი შემდგომი გამოყენებისათვის. (იხ. აგრეთვე URL, ვებ გვერდი, ვები). |
| WWW | ვები | ინტერნეტის სამსახური, რომელიც ჰიპერტექსტული ტექნოლოგიის საშუალებით აკავშირებს დოკუმენტებს. გამოიყენება კავშირები სიტყვების, URL-ების და სხვა სახით, ინტერნეტში განთავსებული დოკუმენტების მოსაწვდომად და მისაწვდომად. (იხ. აგრეთვე URL, ინტერნეტი.) |

0.3 ISBD(G)-ს და ISBD(ER)-ის შედარებითი სქემები

0.3.1 ISBD (G)-ს სქემა

| | | |
|-------|--|----------|
| სფერო | ელემენტების წინამდებარე (ან გამმიჯვნელი) დაწესებული პუნქტუაცია | ელემენტი |
|-------|--|----------|

შენიშვნა: თითოეულ
სფეროს, გარდა
პირველისა, წინ უძღვის
წერტილი, ინტერვალი,
ტირე, ინტერვალი (. -).

1. სათაურისა და
პასუხისმგებლობის
ცნობების სფერო

1.1 ძირითადი სათაური

[]

1.2 მასალის ზოგადი
აღნიშვნა

=

1.3 პარალელური სათაური

:

1.4 სხვა ინფორმაცია

სათაურის შესახებ

1.5 ცნობები

პასუხისმგებლობის შესახებ

/

პირველი ცნობა

;

მომდევნო ცნობა

2. გამოცემის სფერო

2.1 ცნობები გამოცემის

შესახებ

=

2.2 პარალელური ცნობები

გამოცემის შესახებ

2.3 ცნობები

პასუხისმგებლობის შესახებ,

რომელიც დაკავშირებულია

გამოცემასთან

/

პირველი ცნობა

:

მომდევნო ცნობა

,

2.4 დამატებითი ცნობები

გამოცემის შესახებ

2.5 ცნობები

პასუხისმგებლობის შესახებ,

რომლებიც მოსდევს

დამატებით ცნობებს

გამოცემის შესახებ

/

პირველი ცნობა

;

მომდევნო ცნობა

3. მასალის (ან
პუბლიკაციის სახეობის
) დამახასიათებელი
სფერო

4. გამოქვეყნების,
გავრცელებისა და ა.შ.
სფერო

4.1 გამოქვეყნების,
გავრცელების და ა.შ. ადგილი

პირველი ადგილი
შემდგომი ადგილი

4.2 გამომცემელი,
გამავრცელებელი და ა.შ.

4.3 ცნობა გამავრცებლის
ფუნქციის შესახებ

4.4 გამოქვეყნების,
გავრცელების და ა.შ. თარიღი

4.5 წარმოების ადგილი

4.6 მეწარმე

4.7 წარმოების თარიღი

5.1 სპეციფიკური მასალის
აღნიშვნა და მისი ზომა

5.2 სხვა ფიზიკური
დეტალები

5.3 აღწერის ერთეულის
(მასალის) ზომები

5.4 ცნობები თანმხლები
მასალის შესახებ

6.1 სერიის ან ქვესერიის
ძირითადი სათაური

6.2 სერიის ან ქვესერიის
პარალელური სათაური

6.3 სერიის ან ქვესერიის
სათაურის შესახებ სხვა
ცნობები

6.4 ცნობები
პასუხისმგებლობის შესახებ
რომელიც ეხება სერიას ან
ქვესერიას

პირველი ცნობა

მომდევნო ცნობა

6.5 სერიის ან ქვესერიის
საერთაშორისო

სტანდარტული სერიალური
ნომერი

6.6 ნუმერაცია სერიის ან
ქვესერიის შიგნით.

5. ფიზიკური
აღწერილობის სფერო

6. სერიის სფერო

შენიშვნა :ცნობები

სერიის შესახებ

მოთავსებულია

ფრჩხილებში. თუ არის

ორი ან მეტი ცნობა

სერიის

შესახებ, მაშინ

თითოეული უნდა იყოს

მოთავსებული

ფრჩხილებში.

;

;

[]

,

(

;

.)

:

;

+

:

/

;

,

;

7. შენიშვნების სფერო
8. სტანდარტული (ან
ალტერნატიული)
ნომრის და
ხელმისაწვდომობის
პირობების სფერო

=

:

()

8.1 სტანდარტული (ან
ალტერნატიული) ნომერი

8.2 საკვანძო სათაური

8.3 ხელმისაწვდომობის
პირობები ან ფასი

8.4 კვალიფიცირება
(სხვადასხვა პოზიციებში)

0.3.2 ISBD(ER)-ს სქემა

| სფერო | ელემენტების წინამდებარე (ან გამმიჯვნელი) დაწესებული პუნქტუაცია | ელემენტი |
|---|--|--|
| <p>შენიშვნა: თითოეულ სფეროს, გარდა პირველისა, წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი (. -).</p> <p>1. სათაურისა და პასუხისმგებლობის ცნობების სფერო</p> | [] | 1.1 ძირითადი სათაური |
| | = | 1.2 მასალის ზოგადი აღნიშვნა (არასავალდებულო) |
| | : | *1.3 პარალელური სათაური |
| | | *1.4 სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ |
| | | 1.5 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ |
| | / | პირველი ცნობა |
| | ; | *მომდევნო ცნობა |
| 2. გამოცემის სფერო | | 2.1 ცნობები გამოცემის შესახებ |
| | = | *2.2 პარალელური ცნობები გამოცემის შესახებ (არასავალდებულო) |
| | | 2.3 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია გამოცემასთან |
| | / | პირველი ცნობა |
| | : | *მომდევნო ცნობა |
| | , | *2.4 დამატებითი ცნობები გამოცემის შესახებ |
| | | 2.5 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც მოსდევს დამატებით ცნობებს გამოცემის შესახებ |

| | | |
|--|-------------------|--|
| 3. მასალის (ან პუბლიკაციის სახეობის) დამახასიათებელი სფერო | / ; | პირველი ცნობა *მომდევნო ცნობა 3.1 წყროს დანიშნულება |
| 4. გამოქვეყნების, გავრცელებისა და ა.შ. სფერო | () | 3.2 წყაროს ზომა (არასავალდებულო) 4.1 გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. ადგილი |
| | ; ; [] , (: ,) | პირველი ადგილი *შემდგომი ადგილი *4.2 გამომცემელი, გამავრცელებელი და ა.შ. *4.3 ცნობა გამავრცელების ფუნქციის შესახებ (არასავალდებულო) 4.4 გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. თარიღი *4.5 წარმოების ადგილი *4.6 მეწარმე (არასავალდებულო) 4.7 წარმოების თარიღი (არასავალდებულო) |
| 5. ფიზიკური აღწერილობის სფერო | : ; + | 5.1 სპეციფიკური მასალის აღნიშვნა და მისი ზომა 5.2 სხვა ფიზიკური დეტალები 5.3 აღწერის ერთეულის ზომები *5.4 ცნობები თანმხლები მასალის შესახებ (არასავალდებულო) |
| 6. სერიის სფერო <u>შენიშვნა :ცნობები სერიის შესახებ მოთავსებულია ფრჩხილებში. თუ არის ორი ან მეტი ცნობა სერიის</u> | : ; | 6.1 სერიის ან ქვესერიის ძირითადი სათაური *6.2 სერიის ან ქვესერიის პარალელური სათაური *6.3 სერიის ან ქვესერიის სათაურის შესახებ სხვა ცნობები (არასავალდებულო) |

შესახებ, მაშინ

თითოეული უნდა იყოს

მოთავსებული

ფრჩხილებში.

/

;

,

;

7. შენიშვნების სფერო

8. სტანდარტული (ან
ალტერნატიული)

ნომრის და

ხელმისაწვდომობის

პირობების სფერო

=

:

6.4 ცნობები

პასუხისმგებლობის ესახებ

რომელიც ეხება სერიას ან

ქვესერიას

პირველი ცნობა

*მომდევნო ცნობა

6.5 სერიის ან ქვესერიის

საერთაშორისო

სტანდარტული სერიალური

ნომერი

6.6 ნუმერაცია სერიის ან

ქვესერიის შიგნით.

8.1 სტანდარტული (ან

ალტერნატიული) ნომერი

8.2 საკვანძო სათაური

8.3 ხელმისაწვდომობის

პირობები ან ფასი

(არასავალდებულო)

ზოგადი შენიშვნები ISBD(ER)-ს სქემაზე

- ა. არასავალდებულო ელემენტები აღნიშნულია (იხ. 0.1.3)
- ბ. ვარსკვლავით (*) მონიშნული ელემენტების გამეორება შესაძლებელია საჭიროებისამებრ.
- გ. სფეროების 6 (სერია), 7 (შენიშვნები) და 8 (სტანდარტული ... ნომერი) გამეორება შესაძლებელია საჭიროებისამებრ. სფერო 5 (ფიზიკური დაზასიათება) აგრეთვე შეიძლება გამეორდეს ზოგიერთ შემთხვევაში (იხ. სფერო 5 შესავალი ნაწილი).
- დ. ზემოთ მოყვანილ სქემაში, ტერმინები “პირველი ცნობა“, “მომდევნო ცნობა“ და ამის მსგავსი, გვიჩვენებს თანამიმდევრობას რომელშიც მოცემულია ეს ცნობები აღწერილობაში და მათ არა აქვთ სხვა დამატებითი მნიშვნელობა
- ე. ISBD(ER)-ში არ არის მოყვანილი დებულებები ISBD(G)-ს 8.2 ელემენტზე (საკვანძო სათაური). სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომრის და ხელმისაწვდომობის პირობების კვალიფიკატორები შესულია ელემენტებში 8.1 და 8.3 და არა ცალკე ელემენტში 8.4.
- ვ. როდესაც ინფორმაცია, რომელიც ჩვეულებრივ განეკუთვნება ერთ სფეროს ან ელემენტს აღწერის ერთეულში აღმოჩნდება ენობრივად დაკავშირებული სხვა სფეროსთან ან ელემენტთან, მაშინ ის ასევე გადაიწერება აღწერილობაში.

0.4 პუნქტუაცია

- 0.4.1 აღწერილობის თითოეულ ელემენტს, გარდა პირველ სფეროს პირველი ელემენტისა, წინ უძღვის ან წინ და ბოლოში ახლავს პუნქტუაციის დაწესებული ნიშნები. (სხვა გამონაკლისები იხ. 0.4.3-ში). დაწესებულ პუნქტუაციას წინ და ბოლოში აქვს ინტერვალები (ერთი დარტყმა საბეჭდ მანქანაზე ან ინტერვალი, რომელიც შეესაბამება ერთ ასოს ტიპოგრაფიული ბეჭდვის დროს), გარდა მძიმისა (.) და წერტილისა (.), რომელთაც მხოლოდ ინტერვალი მოსდევს. პუნქტუაციის სხვა ნიშნების შემოღება ისევე, როგორც ამ ნიშნების წინ და უკან ინტერვალების დასმა შეიძლება დაწესებულ იქნას ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტოების ან საკატალოგიზაციო ორგანიზაციების მიერ. ISBD-ს პუნქტუაცია შენარჩუნებულია მაშინაც, როცა ამას მივყავართ ორმაგ პუნქტუაციამდე (მაგრამ იხ. 0. 4. 7). მარჯვნიდან მარცხნივ დამწერლობის პუნქტუაციისათვის იხ. 0. 4. 11.
- 0.4.2 მრგვალი ფრჩხილები (()) და კვადრატული ფრჩხილები ([]) (იხ. 0.4.8) თითოეული განიხილება, როგორც პუნქტუაციის ერთი სიმბოლო და წინამდებარე ინტერვალი მოდის პირველი მრგვალი ფრჩხილის ან კვადრატული ფრჩხილის წინ, ხოლო მომდევნო ინტერვალი მოდის მეორე (დამაბოლოვებელი) მრგვალი ან კვადრატული ფრჩხილის შემდეგ (მაგრამ იხ. 0.10). თუ მრგვალ ან კვადრატულ ფრჩხილებს წინ უძღვის ან მოსდევს დაწესებული პუნქტუაცია, რომელიც მთავრდება ან იწყება ინტერვალით, მაშინ რჩება მხოლოდ ერთი ინტერვალი.
- 0.4.3 ISBD-ს თითოეულ სფეროს, გარდა პირველისა, წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი (. -), თუ ეს სფერო თვალსაჩინოდ არ არის გამოყოფილი წინამდებარე სფეროსაგან აბზაციით, პოლიგრაფიულად ან შეწევით. ამ შემთხვევაში წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი შეიძლება გამოვტოვოთ ან შევცვალოთ წერტილით (.), რომელიც დაისმება წინამდებარე სფეროს ბოლოში.
- 0.4.4 როდესაც აღწერილობაში არ არის მოცემული სფეროს პირველი ელემენტი, პირველი არსებული ელემენტის წინამდებარე პუნქტუაცია იცვლება შემდეგნაირად: წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი (. -), რომელიც წინ უძღვის სფეროს.
- 0.4.5 როდესაც სფერო მეორდება, თითოეულ გამეორებას წინ უძღვის წერტილი. ინტერვალი, ტირე, ინტერვალი (. -), გარდა (ა) პირობისა, რომელიც აღწერილია 0.4.3 -ში და (ბ) მე-6 სფეროს მრავალსერიული ცნობებისა (პუნქტუაცია B-C).
- 0.4.6 როდესაც ელემენტი მეორდება, თითოეულ გამეორებას წინ უძღვის ამ ელემენტისათვის დაწესებული პუნქტუაცია.
- 0.4.7 როდესაც ელემენტი მთავრდება წერტილით, ხოლო მომდევნო ელემენტისათვის დაწესებული პუნქტუაცია იწყება წერტილით, რჩება მხოლოდ

ერთი წერტილი. (ის შემთხვევა, როდესაც იწერება ზუსტი პუნქტუაცია, იხ. ISBD(A)-ში).

მაგ: 3rd ed.-

და არა 3rd ed..-

And then ... -4th ed.

და არა and then -4th ed.

0.4.8 პუნქტუაციის სამი სიმბოლო შეიძლება გამოვიყენოთ ყველა ან უმეტეს სფეროში.

A. კვადრატული ფრჩხილები ([]) პუნქტუაციის დაწესებული ნიშანია, რომელიც გამოიყენება გარკვეული ელემენტების განსაცალკევებლად 1-ლ (იხ.1.2) და მე-4 სფეროებში (იხ. 4.3). კვადრატული ფრჩხილები აგრეთვე გამოიყენება იმ ინფორმაციის გამოსაყოფად, რომელიც არ არის აღებული ინფორმაციის დაწესებული წყაროებიდან (იხ. 0.5.2) და, გარდა ამისა, ინტერპოლაციებისათვის აღწერილობაში (იხ.0.6, 0.10, 0.11).

თუ ერთი და იმავე სფეროს ფარგლებში თანამიმდევრულად განლაგებული ელემენტები მიღებულია არა დაწესებული ინფორმაციის წყაროდან, მაშინ ისინი თავსდებათ ერთ წყვილ კვადრატულ ფრჩხილებში, გარდა მასალის ზოგადი აღნიშვნისა, რომელიც ყოველთვის თავსდება თავის საკუთარ წყვილ კვადრატულ ფრჩხილებში. როდესაც თანამიმდევრულად განლაგებული ელემენტები სხვადასხვა სფეროებშია, თითოეული ელემენტი თავსდება კვადრატული ფრჩხილების ცალკეულ წყვილში.

B. გამოტოვების ნიშნები ანუ სამი წერტილი (...) აღნიშნავს ელემენტის რაიმე ნაწილის გამოტოვებას (იხ. 0.7.1).

C. მრგვალი ფრჩხილები (()) წარმოადგენს დაწესებულ პუნქტუაციას, რომელიც გამოიყენება თითოეული სერიის ცნობების განსაცალკევებლად მე-6 სფეროში, მე-4 სფეროში გარკვეული ელემენტების გამოსაყოფად და მე-3, მე-5 და მე-8 სფეროების განსაზღვრულ ელემენტებში ინფორმაციის მოსათავსებლად.

პუნქტუაციის ერთი ნიშანი, პლუს ნიშანი (+) რომელსაც წინ და უკან აქვს ინტერვალები, წარმოადგენს დაწესებულ პუნქტუაციას მე-5 სფეროში (იხ. 5.4).

0.4.9 როდესაც სფეროში ან ელემენტში ერთი და იგივე ინფორმაციაა მოცემული ორ ან მეტ ენაზე და/ან დამწერლობაში, გამოიყენება შემდეგი დებულებები:

თუ ერთი ელემენტი ჩაწერილია ორ ან მეტ ენაზე და/ან დამწერლობაში, პირველი ენის შემდგომ ინფორმაციას თითოეულ ენაზე და/ან დამწერლობაში წინ უნდა უძღოდეს ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი (=).

თუ ერთ სფეროში ორი ან მეტი ელემენტი ჩაწერილია ორ ან მეტ ენაზე და/ან დამწერლობაში, მაშინ ეს ელემენტები თითოეულ ენაზე და/ან დამწერლობაში

მოცემულია შესაბამის წინამდებარე პუნქტუაციასთან ერთად თითოეული ელემენტისათვის. პირველ ენაზე და/ან დამწერლობაში ჩაწერილ ელემენტების მთელ ჯგუფს წინ უძღვის პირველი ელემენტისათვის შესაბამისი პუნქტუაცია და თითოეულ ჯგუფს პირველის შემდეგ წინ უძღვის ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი (=).

0.4.10 ნებისმიერი სფერო ან ელემენტი, რომელიც არ მიესადაგება მოცემულ აღსაწერ ერთეულს, არ ჩაირთვება მის აღწერილობაში. ასევე უნდა იყოს გამოტოვებული ასეთი სფეროს ან ელემენტის წინ მდებარე ან გამმიჯვნელი დაწესებული პუნქტუაცია.

0.4.11 როდესაც ინფორმაცია მოცემულია მარჯვნიდან მარცხნივ მიმართული დამწერლობით, მაშინ დაწესებული პუნქტუაცია, როგორცაა მძიმე და წერტილ-მძიმე, გამოიყენება საპირისპირო მიმართულებით, თუ ეს არის დამწერლობის სტილი. ზუსტად ასევე - წერტილის, ინტერვალის, ტირეს და ინტერვალის კომბინაცია დაწესებული პუნქტუაციისა იკითხება მარჯვნიდან მარცხნივ და მაშინ გამხსნელი და დამხურავი მრგვალი და კვადრატული ფრჩხილების მნიშვნელობები საპირისპიროა. დახრილი ხაზის ნიშანი და "ევროპული" არაბული ციფრების ჯგუფები, რომლებიც არ იცვლიან მიმართულებას ამგვარ დამწერლობაში ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში შებრუნებული მიმართულებით არ იწერება.

იხილეთ დანართი B, სადაც მოცემულია თუ როგორ დამუშავდება ინფორმაცია ჩაწერილი როგორც მარცხნიდან მარჯვნივ, ასევე მარჯვნიდან მარცხნივ დამწერლობის გამოყენებით.

0.5 ინფორმაციის წყაროები

ელექტრონული წყაროს ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენისას ინფორმაცია აღებულ უნდა იქნას ინფორმაციის დაწესებული წყაროებიდან და დაწესებული მიმდევრობით.

0.5.1 ინფორმაციის წყაროთა დაწესებული მიმდევრობა

უპირატესობა ენიჭება ელექტრონული წყაროშივე არსებულ ინფორმაციას. ასეთი ინფორმაცია ფორმალურად (ოფიციალურად) უნდა იყოს მოყვანილი (მაგ. სატიტულე ეკრანზე, ძირითად მენიუში, პროგრამის დებულებებში, პირველ საინფორმაციო ეკრანზე, ფაილის თავსათაურში "Subject:" სტრიქონის ჩათვლით, ჰომპეიჯზე, TEI-თავსათაურში, ან ცხადად გამოსახულ სხვა საიდენტიფიკაციო ინფორმაციაში).

როდესაც შეუძლებელია წყაროს ამოკითხვა დამუშავების გარეშე (მაგ. შეკუმშულია ან საბეჭდო ფორმატშია), ინფორმაცია უნდა იქნას აღებული ელექტრონული წყაროდან, როდესაც იგი არ არის შეკუმშული (გახსნილია) ან ამობეჭდილია ან სხვაგვარადაა დამუშავებული გამოსაყენებლად.

როდესაც ამგვარ წყაროებში ინფორმაციის სისრულე განსხვავებული, უპირატესობა ენიჭება უფრო სრული ინფორმაციის შემცველ წყაროს.

როდესაც ელექტრონულ წყაროში არსებული ინფორმაცია არაა საკმარისი ან არ არსებობს (ან არ არსებობს შესაბამისი მოწყობილობა) სხვა ინფორმაციის წყაროები ნდა იქნან შერჩეული შემდეგი მიმდევრობით:

- ა. ელექტრონული წყაროს ფიზიკური მატარებლის ზედაპირზე მუდმივად დაკრული ან ამოხედილი ეტიკეტები;
- ბ. დოკუმენტაცია, კონტეინერები, ან სხვა თანდართული მასალა (მაგ. გამომცემლის ინსტრუქცია). თანდართული მასალის გამოყენებისას ყურადღებით უნდა იქნას გამოიყენებული ინფორმაცია, რომელიც შეეხება დოკუმენტაცია და თვით აღწერის ერთეულს. როდესაც კონტეინერში მოთავსებულია რამოდენიმე აღწერილი ერთეული და მხოლოდ კონტეინერზეა მოყვანილი კოლექტიური სათაური, უნდა იქნას გამოყენებული კონტეინერი და არა თვითოეული ერთეულის ეტიკეტი.

როდესაც ელექტრონული წყარო შედგება ორი ან მეტი განცალკევებული ფიზიკური ნაწილისაგან (მაგ. ინტერაქტიული მულტიმედია, რომელიც შედგება ოპტიკური და ვიდეო დისკებისაგან), და ყოველ მათგანს საკუთარი ინფორმაციის წყარო გააჩნია, უპირატესობა ენიჭება წყაროს, რომელიც იძლევა ინფორმაციას წყაროზე მთლიანობაში და რომელიც შეიცავს კოლექტიურ სათაურს.

როდესაც ამგვარ წყაროებში ინფორმაციის სისრულე განსხვავებული, უპირატესობა ენიჭება უფრო სრული ინფორმაციის შემცველ წყაროს.

როდესაც ინფორმაცია არაა მოყვანილი არცერთ ზემოთ ჩამოთვლილ წყაროში იგი უნდა იქნას მოპოვებული შემდეგი მიმდევრობით:

- სხვა გამოქვეყნებული ცნობა ელექტრონული წყაროს შესახებ (მაგ. ბიბლიოგრაფიული მონაცემთა ბაზები, მიმოხილვები)
- სხვა წყაროები.

0.5.2 ინფორმაციის დაწესებული წყაროები

ტერმინი "ინფორმაციის დაწესებული წყარო" გამოიყენება ზემოთ (0.5.1) მოყვანილი მიმდევრობით შერჩეული წყაროს აღსანიშნავად. ქვემოთ მოყვანილია ინფორმაციის დაწესებული წყაროები ყოველი სფეროსათვის. სხვა წყაროებიდან აღებული მონაცემები ჩაისმება კვადრატულ ფრჩხილებში.

სფერო

ინფორმაციის დაწესებული წყარო

1. სათაურისა და პასუხისმგებლობის ცნობების სფერო

შიგა წყაროები; ეტიკეტები ფიზიკურ მატარებლებზე, დოკუმენტაცია, კონტეინერები ან სხვა თანმხლები მასალა

- | | |
|--|--|
| 2. გამოცემის სფერო | შიგა წყაროები; ეტიკეტები ფიზიკურ მატარებლებზე, დოკუმენტაცია, კონტეინერები ან სხვა თანმხლები მასალა |
| 3. მასალის (ან პუბლიკაციის სახეობის) დამახასიათებელი სფერო | ნებისმიერი წყარო |
| 4. გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. სფერო | შიგა წყაროები; ეტიკეტები ფიზიკურ მატარებლებზე, დოკუმენტაცია, კონტეინერები ან სხვა თანმხლები მასალა |
| 5. ფიზიკური აღწერილობის სფერო | ნებისმიერი წყარო |
| 6. სერიის სფერო | შიგა წყაროები; ეტიკეტები ფიზიკურ მატარებლებზე, დოკუმენტაცია, კონტეინერები ან სხვა თანმხლები მასალა |
| 7. ენიშვნების სფერო | ნებისმიერი წყარო |
| 8. სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომრის ხელმისაწვდომობის პირობების სფერო | (ან ნებისმიერი წყარო და |

ძირითადი სათაურისათვის ყველა შემთხვევაში სავალდებულოა ინფორმაციის წყაროს მითითება (იხ. 7.1.1.2). გამოცემის ცნობებისათვის ინფორმაციის წყაროს მითითება სავალდებულოა თუ იგი განსხვავდება სათაურის წყაროსაგან (იხ. 7.2.1).

0.6 აღწერილობის ენა და დამწერლობა

1, 2, 4 და 6 სფეროების ელემენტები ჩვეულებრივ გადაიწერება აღწერის ერთეულიდან და ამიტომ, სადაც ეს მიღებულია პრაქტიკაში, ისინი ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში იმ ენაზე და/ან იმ დამწერლობაში არიან, როგორც მოცემულია აღწერის ერთეულში. ინტერპოლაცია ამ სფეროებში ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში და იმ ენაზე და/ან დამწერლობაშია, რომელიც მოყვანილია აღწერილობის მოცემული ნაწილის კონტექსტში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- დაწესებული აბრევიატურები (იხ. 0.7) და დაწესებული ინტერპოლაციები (იხ. 0.10, 0.11);

- მასალის ზოგადი აღნიშვნა (იხ. 1.2) და ცნობები გამავრცელებლის ფუნქციის შესახებ (იხ. 4.3), რომლებიც მოცემულია იმ ენაზე და/ან დამწერლობაში, რომელსაც ირჩევს ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტო.

ტერმინები, გამოყენებული მე-3, მე-5, მე-7 და მე-8 სფეროებში მოცემულია იმ ენაზე და/ან დამწერლობაში, რომელსაც ირჩევს ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტო გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

- ორიგინალური და ვარიანტული სათაურები მოცემულია მე-7 სფეროში
- ციტატები მოცემულია მე-7 სფეროში
- საკვამო სათაური მოცემულია მე-8 სფეროში.

აღწერის ერთეულების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა მოცემული იმ დამწერლობით, რომლითაც არ სარგებლობს ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტო, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია იქნას ტრანსლიტერირებული ან გადაწერილი ფრჩხილებში ჩასმის გარეშე იმ დამწერლობით, რომელსაც იყენებს მოცემული სააგენტო.

0.7 შემოკლებები და აბრევიატურა

0.7.1 გამონაკლის შემთხვევებში აღწერილობისას დაშვებულია გარკვეული ელემენტების შემოკლება (მაგ. გრძელი ძირითადი სათაურის დროს, იხ. 1.1.4.1). ასეთ შემთხვევებში გამოტოვება აღნიშნულია გამოტოვების ნიშნით.

0.7.2 ზოგიერთი აბრევიატურა დაწესებულია სპეციალურ დებულებებში (მაგ. 0.10, 1.5, 4.1, 4.2). სხვა აბრევიატურები დაწესებულია სპეციალიზებულ ISBD-ებში.

0.7.3 ISBD-ების ზოგიერთ დებულებებში გათვალისწინებულია “სტანდარტული აბრევიატურები” (მაგ. 2.1) პირობითი შემოკლებების ნიშნების ფორმების დაზუსტების გარეშე. ეს შემოკლებები არ არის დაწესებული, მაგრამ რეკომენდირებულია ISO 832- 1994, “Bibliographic Description and References – Rules for the Abbreviation of Bibliographic Terms”-ის, ან მსგავსი ეროვნული სტანდარტების გამოყენება.

ISBD -ში გამოყენებული აბრევიატურის მაგალითები, გარდა იმ აბრევიატურისა, რომელიც დაწესებულია 0. 7. 2-ში , საილუსტრაციო ხასიათისაა და არ არის სავალდებულო.

0.7.4 გარდა სპეციალურად დაწესებულ ან დაშვებულ აბრევიატურისა და შემოკლებებისა მონაცემები 1, 2 და მე- 6 სფეროებში ჩაწერისას არ მოკლდება, თუ ეს შემოკლებები არ არის გამოყენებული წყაროში.

0.8 კაპიტალიზაცია (დიდი ასოების გამოყენება)

როგორც წესი , პირველი სიტყვის პირველი ასო თითოეულ სფეროში უნდა იყოს დიდი . ზოგიერთი ელემენტის, როგორცაა მასალის ზოგადი აღნიშვნა , პარალელური სათაური, ალტერნატიული სათაური, განყოფილების (სექციის) სათაური, პირველი სიტყვის პირველი ასო უნდა იყოს აგრეთვე დიდი. სხვა შემთხვევებში დიდი ასოები

გამოიყენება იმ ენის და/ან დამწერლობის შესაბამისად, რომელშიც მოცემულია აღწერილობა (იხ. 0.6). როდესაც აღწერილობაში გვხვდება ერთზე მეტი ენა და/ან დამწერლობა, ყოველი მათგანისათვის კაპიტალიზაცია უნდა შესრულდეს მისი წესების თანახმად, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეს იწვევს კაპიტალიზაციის შეუსაბამობას ერთიანობაში.

0.9 მაგალითები

ISBD(ER) -ში მოცემული მაგალითები საილუსტრაციო ხასიათისაა და არ არის სავალდებულო გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მაგალითის ფორმის დაცვა დებულებებშია აღნიშნული. მაგალითების უმეტესობა, რამოდენიმე ფიქტიურის გარდა, რეალურ წყაროებს ეყრდნობა.

ISBD(ER) -ს ინგლისურ ტექსტში გამოყენებული ტერმინები, ასევე სიტყვები ან მოკლე ფრაზები, რომლებიც დამატებულია მე-3, მე-4, მე-5, მე-7 და მე-8 სფეროებში, ინგლისურად არის მოცემული. ISBD(ER) -ს თარგმნის დროს, ასეთი ტერმინები, სიტყვები და ფრაზები უნდა გადმოიცეს თარგმნის ენაზე.

0.10 ბეჭდვითი შეცდომები

სიტყვები ორთოგრაფიული შეცდომებითა ან სხვა უზუსტობებით გადაიწერება ისევე, როგორც არის მოცემული აღწერის ერთეულში. მათ შემდეგ დაისმება “Sic” ან “!“, რომლებიც თავსდება კვადრატულ ფრჩხილებში ([Sic] ან [!]). ან შეიძლება დაემატოს სიტყვის სწორი ჩაწერა კვადრატულ ფრჩხილებში და შესწორებას წინ უნდა უძღოდეს “i. e.” (id est), ან მისი ექვივალენტი სხვა ენაზე და /ან დამწერლობაში. სიტყვებში ან მონაცემებში გამოტოვებული ასოები ან ციფრები შეიძლება უკანვე ჩაისვას კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმით (ამ შემთხვევაში კვადრატული ფრჩხილების არც წინ და არც უკან არ უნდა დაისვას ინტერვალი).

0.11 სიმბოლოები და ა. შ.

სიმბოლო ან სხვა ნიშანი რომელიც არ შეიძლება აისახოს ტიპოგრაფიული საშუალებებით (ჩვეულებრივი ეს არის სიმბოლოები , რომლებიც არც ციფრებია და არც ანბანის ასოები) იცვლება მისი აღწერილობით ან ექვივალენტით შესაბამისი ასოებისა და სიტყვების გამოყენებით. შემცვლელი თავსდება კვადრატულ ფრჩხილებში და კეთდება განმარტება საჭიროების მიხედვით.

e.g. / [E. B. C.]

შენიშვნა: ავტორის ინიციალები წარმოდგენილია სატიტულე გვერდზე მუსიკალური ნიშნებით.

[3rd] ed.

შენიშვნა: გამოცემის ნომერი მოცემულია სამი ვარსკვლავის სახით

I [love] Paris

შენიშვნა: სიტყვა "love" მოცემულია გულის გამოსახულებით.

ელემენტების სპეციფიკაცია

1. სათაურისა და პასუხისმგებლობის ცნობების სფერო

1.1 ძირითადი სათაური

1.2 მასალის ზოგადი აღნიშვნა (არასავალდებულო)

1.3 პარალელური სათაურები

1.4 სხვა ცნობები სათაურის შესახებ

1.5 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ

პუნქტუაცია

ა. მასალის ზოგადი აღნიშვნა ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში, პირველ ფრჩხილს წინ უძღვის, ხოლო მეორეს მოსდევს ინტერვალი ([]).

ბ. ყოველ პარალელურ სათაურს წინ უძღვის ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი (=).

გ. სხვა ცნობებს სათაურის შესახებ (ყოველ ერთეულს) წინ უძღვის ინტერვალი, ორი წერტილი, ინტერვალი (:), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სიტყვა ან ფრაზა მოცემულია აღწერის ერთეულში მეორე ან მომდევნო ერთეულის წინა ერთეულთან დასაკავშირებლად.

დ. პირველ ცნობებს პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოსდევს სათაურს წინ უძღვის ინტერვალი, წილადის ხაზი, ინტერვალი (/).

ე. ყოველ შემდეგ ცნობებს პასუხისმგებლობის შესახებ წინ უძღვის ინტერვალი, წერტილ-მძიმე, ინტერვალი (;), გარდა იმ ცნობებებისა, რომელიც ერთ ფრაზას შედგენს.

ვ. სხვადასხვა ავტორების ინდივიდუალური ნაშრომები, რომლებიც შედის აღწერის ერთეულში, გამოიყოფა წერტილით, ინტერვალით (.), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამაკავშირებელი სიტყვა ან ფრაზა მოცემულია აღწერის ერთეულში.

ზ. აღწერის ერთეულში შემავალი ინდივიდუალური ნაშრომების სათაურები, რომლებიც ეკუთვნის ერთსა და იმავე ავტორს, გამოიყოფა ინტერვალით, წერტილ-მძიმით, ინტერვალით (;).

თ. საერთო და დაქვემდებარებული სათაურებისაგან შედგენილი სათაურის

შემთხვევაში, ყოველ დაქვემდებარებული სათაურის აღნიშვნას, თუ იგი არსებობს, ან ყოველ დაქვემდებარებულ სათაურს, რომელიც მოსდევს საერთო სათაურს, წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი (.).

ი. ყოველ დაქვემდებარებული სათაურს, რომელიც მოსდევს დაქვემდებარებული სათაურის აღნიშვნას, წინ უძღვის მძიმე, ინტერვალი (,).

მაგალითები

ძირითადი სათაური [მასალის ზოგადი აღნიშვნა] = პარალელური სათაური = პარალელური სათაური / ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ.

ძირითადი სათაური [მასალის ზოგადი აღნიშვნა] : სხვა ცნობები სათაურის შესახებ : სხვა ცნობები სათაურის შესახებ / ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ.

ძირითადი სათაური [მასალის ზოგადი აღნიშვნა] : სხვა ცნობები სათაურის შესახებ = პარალელური სათაური : სხვა ცნობები პარალელური სათაურის შესახებ / ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ.

ძირითადი სათაური [მასალის ზოგადი აღნიშვნა] / ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ. = პარალელური სათაური / პარალელური ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ.

ძირითადი სათაური [მასალის ზოგადი აღნიშვნა] / ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ ; მეორე ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ ; მესამე ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ.

სათაური [მასალის ზოგადი აღნიშვნა] / ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ.

სათაური/ ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ.

სათაური [მასალის ზოგადი აღნიშვნა] : სხვა ცნობები სათაურის შესახებ ; სათაური : სხვა ცნობები სათაურის შესახებ / ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ

სათაური [მასალის ზოგადი აღნიშვნა] = პარალელური სათაური ; სათაური = პარალელური სათაური/ ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ

საერთო სათაური. დაქვემდებარებული სათაურის აღნიშვნა, დაქვემდებარებული სათაური [მასალის ზოგადი აღნიშვნა]

საერთო სათაური, დაქვემდებარებული სათაური [მასალის ზოგადი აღნიშვნა]

1.1 ძირითადი სათაური

1.1.1 ძირითადი სათაური არის აღწერილობის პირველი ელემენტი, მაშინაც კი, როდესაც მას წინ უძღვის ინფორმაციის დაწესებულ წყაროში ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, ცნობები გამოცემის შესახებ, სერიის ცნობები, ცნობები გამოქვეყნების/გავრცელების შესახებ, დრო, ფასი და სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის სათაურის ნაწილი.

მაგ. Netware [Electronic resource] ⁵

Volkswriter deluxe [Electronic resource]

Welcome to CERN [Electronic resource]

1.1.2 ძირითადი სათაური არის აღწერის ერთეულის მთავარი სათაური. ძირითად სათაურს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა:

1.1.2.1 ძირითადი სათაური შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ ტერმინის(ებისაგან), რომელიც მიუთითებს ნაშრომის ტიპს და მის ინტელექტუალურ და მხატვრულ შინაარსს.

მაგ. Survey data [Electronic resource]

Software [Electronic resource]

Graphics [Electronic resource]

1.1.2.2 ძირითადი სათაური შეიძლება შედგებოდეს პიროვნების სახელისაგან ან ორგანიზაციის სახელწოდებისაგან, როდესაც ინფორმაციის დაწესებული წყარო არ შეიცავს სათაურს ამ სახელის გარდა.

მაგ. Dian Fossey [Electronic resource]

International Summer School on Computational and Mathematical Linguistics [Electronic resource]

1.1.2.3. ძირითადი სათაური შეიძლება შედგებოდეს ან შეიცავდეს ინიციალებს ან აკრონიმს, რომლებიც ცხადადაა გამოსახული ინფორმაციის დაწესებულ წყაროში.

მაგ. BASIC [Electronic resource]

სრული ფორმა, როდესაც იგი არსებობს ინფორმაციის დაწესებულ წყაროში, მაგრამ არ არის შერჩეული როგორც ძირითადი სათაური (იხ. 1.1.3), მოცემულია როგორც სხვა ცნობები სათაურის შესახებ (იხ. 1.4.3) ან როგორც ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ (იხ. 1.5.4.). მაგრამ მიღეთ მხედველობაში, რომ ფაილის სახელწოდება არ განიხილება როგორც ძირითადი სათაური გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის არის ერთადერთი სათაურა მოცემული ფაილის შიგით და გარედან აღწერის ერთეულზე, მის კონტენტზე, დოკუმენტაციაზე და სხვა თანდართულ მასალაზე (იხ. აგრეთვე 1.1.3.3).

1.1.2.4 ძირითადი სათაური შეიძლება შედგებოდეს ორი ნაწილსაგან (რომელთაგან თითოეული შეიძლება ჩაითვალოს სათაურად) ურთიერთდაკავშირებული სიტყვით "ან" (ან მისი ეკვივალენტით სხვა ენაზე). (მეორე ნაწილი განისაზღვრება როგორც ალტერნატიული სათაური.)

მაგ. Space zone, or, The quest for Cleopatra [Electronic resource]

1.1.2.5. ძირითადი სათაური შეიძლება შეიცავდეს ცნობებებს პასუხისმგებლობის

⁵ სიზუსტისათვის 1.1 ელემენტის შესაბამის ყველა მაგალითში მოყვანილია მასალის ზოგადი აღნიშვნა. თვით მასალის ზოგადი აღნიშვნა იხილეთ 1.2-ში.

შესახებ, გამომცემლის სახელს ან დეტალებს დაკავშირებულს სხვა აღწერით ელემენტებთან (მაგ. ცნობებებს გამოცემის შესახებ) როდესაც ასეთი ინფორმაცია ენობრივად არის სათაურის არსებითი ნაწილი.

მაგ. Joe Lynn's payroll system [Electronic resource]

Bruce Mitchell on dimensional analysis [Electronic resource]

Adventure games of Derek Tyne [Electronic resource]

Galaxy Inc.'s guide to spreadsheets [Electronic resource]

1.1.2.6 როდესაც აღწერის ერთეული შეიცავს ორ ან მეტ ინდივიდუალურ ნაშრომს და აქვს კოლექტიური სათაური, ისევე როგორც ინდივიდუალური ნაშრომის სათაური, ინფორმაციის დაწესებულ წყაროში, კოლექტიური სათაური არჩეული იქნება ძირითად სათაურად.

ინდივიდუალური ნაშრომის სათაურები მოცემულია სფერო 7-ში.

მაგ. Winter games [Electronic resource]

შენიშვნა: Contents: Hit the slopes ; Hit the ice

Finance directions [Electronic resource]

შენიშვნა: Contents: Mortgages / B. Hardy. Loans / A. Martin-Smith. Retirement / R.T. Coats

1.1.2.7 ძირითადი სათაური შეიძლება შედგებოდეს საერთო სათაურისა და დაქვემდებარებული სათაურისაგან, როდესაც, დამატებას, ნაწილს და ა.შ. აქვს სათაური ან აღნიშვნა, რომელიც არ არის საკმარისი მისი იდენტიფიკაციისათვის საერთო სათაურის ან მთავარი აღწერის ერთეულის სათაურის დამატების გარეშე.

მაგ. Mix and match games. Module 1, Letters [Electronic resource]

1.1.2.8. ძირითადი სათაური შესაძლოა შეიცავდეს დამატების, ნაწილის და ა.შ. სათაურს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს სათაური შეიძლება გამოყოფილი იქნას საერთო სათაურის ან ძირითადი აღწერის ერთეულის სათაურისგან. საერთო სათაური მოცემულია (თუ არსებობს) სფერო 6-ში.

მაგ. U.S. grain sales and shipments [Electronic resource]

სფერო 6-ში: (GSR agricultural surveys)

როდესაც საერთო სათაური ან მთავარი აღწერის ერთეულის სათაური ენობრივად არის სექციის, დამატების, ნაწილის და სხვა სათაურის ნაწილი, ძირითადი სათაური შედგება ორივე სათაურის გაერთიანებისაგან.

მაგ. More graphics for Imagine that! [Electronic resource]

1.1.2.9 ძირითადი სათაური არ არსებობს ისეთი აღწერის ერთეულისათვის, რომელიც შეიცავს ორ ან მეტ ინდივიდუალურ ნაშრომს, მაგრამ არა აქვს კოლექტიური სათაური. ასეთი სათაურების აღწერილობაში შეტანის დებულება იხ. 1.1.4.2.1- ში.

1.1.3 ძირითადი სათაურის შერჩევა

1.1.3.1 აღწერის ერთეული ერთი დაწესებული ინფორმაციის წყაროთი

როდესაც ორი ან მეტი ვარიანტული სათაური გვხვდება ერთსა და იმავე ენაზე და/ან დამწერლობით ინფორმაციის დაწესებულ წყაროში, ძირითადი სათაური შეირჩევა ტიპოგრაფიული გაფორმების ან სათაურების მიმდევრობის მიხედვით ინფორმაციის დაწესებულ წყაროში.

როდესაც სათაური არის სხვადასხვა ენაზე და/ან დამწერლობით (ე.ი. პარალელური სათაურები, იხ.1.3), ძირითადი სათაური არის ის სათაური, რომელიც აღწერის ერთეულის კონტექსტის ენაზე და/ან დამწერლობითაა. როდესაც ეს კრიტერიუმი არ შეიძლება იყოს გამოყენებული, ძირითადი სათაური შეირჩევა ტიპოგრაფიული გაფორმების ან სათაურების მიმდევრობის მიხედვით ინფორმაციის დაწესებულ წყაროში.

1.1.3.2 აღწერის ერთეული ერთზე მეტი ინფორმაციის დაწესებული წყაროთი

როდესაც აღწერის ერთეულს აქვს ერთზე მეტი ინფორმაციის დაწესებული წყარო, მაგალითად მრავალენოვანი ან მრავალდამწერლობიანი აღწერის ერთეული, რომელიც ცალ-ცალკე შეიცავს ინფორმაციას ყოველ ენაზე ან დამწერლობით, ძირითადი სათაური შეირჩევა ინფორმაციის დაწესებულ წყაროდან, რომელიც არის აღწერის ერთეულის კონტექსტის ენაზე და/ან დამწერლობით.

როდესაც ეს კრიტერიუმი არ შეიძლება იყოს გამოყენებული (იმ შემთხვევაში, როდესაც აღწერის ერთეულს არ გააჩნია ენა ან მისი ტექსტი წარმოდგენილია ორ ან მეტ ენითა ან დამწერლობით), ორი ან მეტი ინფორმაციის წყაროდან შეირჩევა პირველი, როგორც ძირითადი სათაურის წყარო.

1.1.3.3. ვარიანტული სათაურები (განსხვავებული პარალელური სათაურებისაგან, იხ. 1.3.), რომლებიც არ იქნენ შერჩეული ძირითად სათაურად, განიხილება როგორც სხვა ცნობები სათაურის შესახებ, როდესაც ისინი მოცემულია ინფორმაციის დაწესებულ წყაროში. ვარიანტული სათაურები, როდესაც ისინი გვხვდებიან სხვა ადგილას, შესაძლებელია მოყვანილ იყოს სფერო 7-ში. ფაილების სახელები, რომლებიც არ იქნენ შერჩეული ძირითად სათაურად (იხ. 1.1.2.3) შესაძლოა მოცემული იყვნენ სფერო 7-ში, როდესაც ისინი გვხვდებიან ინფორმაციის დაწესებულ წყაროში.

1.1.4 აღწერილობაში მონაცემთა გადაწერა

1.1.4.1 ძირითადი სათაური გადაიწერება აღწერილობაში ინფორმაციის დაწესებული წყაროდან იმავე სიტყვების გამოყენებით, მაგრამ არა აუცილებლად მთავრული (დიდი) ასოების ან პუნქტუაციის დაცვით (იხ. აგრეთვე 0.4, 0.6, 0.7). გამონაკლის შემთხვევებში გრძელი ძირითადი სათაური შესაძლოა შეიკვეცოს შუაში ან ბოლო ნაწილში, თუ ამის გაკეთება შეიძლება სათაურის მნიშვნელობის ცვლილების, საჭირო ინფორმაციის დაკარგვის გარეშე, და არასწორი გრამატიკის გამოყენების გარეშე. გამოტოვებული ნაწილები აღინიშნება გამოტოვების ნიშნებით.

1.1.4.2. აღწერის ერთეული ძირითადი სათაურის გარეშე.

1.1.4.2.1 როდესაც აღწერის ერთეული შეიცავს ორ ან მეტ ნაშრომს ძირითადი სათაურის გარეშე (იხ. 1.1.2.9), ინდივიდუალური ნაშრომების სათაურები მოცემულია იმავე ტიპოგრაფიული ფორმებით ან მიმდევრობით, როგორც ინფორმაციის დაწესებულ წყაროში.

მაგ. Crisis [Electronic resource] ; Wilderness / Lydia Horsfall

როდესაც ინდივიდუალური ნაშრომების რაოდენობა ძალზე დიდია, შესაძლებელია მოცემული იქნას პირველი სამი სათაური, რომლებსაც მოჰყვება გამოტოვების ნიშანი. შესაძლებელია სრული კონტექსტი იყოს მოცემული სფერო 7-ში.

მაგ. Electronic writing [Electronic resource] ; Functional grammar ; Verbal communication ... /
Jesse Oktay

1.1.4.2.2. როდესაც აღწერის ერთეული შეიცავს ეკრანზე გამოსახულ ტექსტს, მაგრამ არ გააჩნია ძირითადი სათაური, ტექსტი გადაიწერება აღწერილობაში სრული, ან შეკვეცილი ფორმით. სრული ფრაზებისა და წინადადებების გამოტოვება ამ შემთხვევაში არ არის მითითებული; ფრაზებისა და სიტყვების გამოტოვება მითითებულია გამოტოვების ნიშნებით. აღწერილობაში გადაწერისას მონაცემების მიმდევრობა განპირობებულია მონაცემთა ხასიათით, მათი განლაგებით (ტიპოგრაფიული). შენარჩუნებულ უნდა იქნას ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილები, როგორცაა პროდუქციის და ორგანიზაციების სახელწოდებები, მოვლენების ადგილები და თარიღები. დამატებითი ინფორმაცია ამ ან ტექსტის რომელიმე სხვა ასპექტზე შესაძლებელია იყოს მოცემული სფერო 7-ში. პუნქტუაციას განსაზღვრავს ბიბლიოგრაფიული სააგენტოს, მაგრამ უნდა მოვერიდოთ იმ სიმბოლოების და ინტერვალების კომბინაციებს, რომლებსაც აქვთ სპეციალური ფუნქცია ISBD-ის ამ სფეროში.

მაგ. Court cases 1969 ... by counties in southeastern Connecticut [Electronic resource]

1.1.4.2.3 როდესაც აღწერის ერთეულს აკლია კოლექტიური სათაური (იმ აღწერის ერთეულის შემთხვევაში, რომელიც შეიცავს ორ ან მეტ ნაშრომს, კოლექტიური ძირითადი სათაურის გარეშე., იხ. 1.1.4.2.2), შესაბამისი მონაცემები ჩაისმება თავის საკუთარ კვადრატულ ფრჩხილებში აღწერის ერთეულის ენის და დამწერლობის გამოყენებით, ან შსსადლოა (განსაკუთრებით აღწერის ერთეულისათვის, რომელსაც არა გააჩნია რაიმე ენა) ბიბლიოგრაფიული სააგენტოს მიერ არჩეული ენითა და დამწერლობით.

მაგ. [Computer and information science technical reports, University of Florida] [Electronic resource]

1.2. მასალის ზოგადი აღნიშვნა (არ არის სავალდებულო)

1.2.1 მასალის ზოგადი აღნიშვნის დანიშნულებაა მიუთითოს, მარტივი ტერმინებით და აღწერის საწყის ეტაპზე, იმ მასალათა კლასზე, რომელსაც განეკუთვნება აღწერის ერთეული. მასალის ზოგადი აღნიშვნა მოცემულია უშუალოდ ძირითადი სათაურის შემდეგ. იგი ჩაიწერება იმ ენაზე და დამწერლობით, რომელიც აირჩია ბიბლიოგრაფიულმა სააგენტომ. მასალის ზოგადი აღნიშვნისათვის ინგლისური ენაზე რეკომენდირებული ტერმინი "Electronic resource".

მაგ. Compton's multimedia encyclopedia [Electronic resource]

1.2.2 მასალის ზოგადი აღნიშვნის დამატება განსაკუთრებით სასრგებლოს "არაწიგნადი" მასალებისათვის, რომლებიც შედიან საერთო კატალოგებსა და ბიბლიოგრაფიებში.

1.2.3 როდესაც აღწერის ერთეული შედგება ძირითადი კომპონენტისა და დამატებითი კომპონენტის(ების)-აგან, რომლებიც სხვადასხვა ზოგადი მასალის კატეგორიას მიეკუთვნება (მაგ. ელექტრონულ წყაროს თან ახლავს ცნობარი და კედლის ტრანსპარანტი), მასალის ზოგადი აღნიშვნა განსაზღვრავს მხოლოდ ძირითად კომპონენტს.

მაგ. E-Z math [Electronic resource]

შენიშვნა: პროგრამა, თანდართული სახელმძღვანელოთი მასწავლებლებისათვის, მოსწავლეთა სახელმძღვანელოთი და სადემონსტრაციო ბარათებით.

1.2.4 როდესაც აღწერის ერთეული შედგება ორი ან მეტი ნაშრომისაგან ძირითადი სათაურის გარეშე (იხ. 1.1.2.9) მასალის ზოგადი აღნიშვნები მოცემულია პირველი სათაურის შემდეგ.

მაგ. Building economics [Electronic resource] ; Regulatory technology / Hiram Merritt.

Construction standards / Theodore McGoldrick

Tax writer [Electronic resource] ; Managing income ; Taking stock / Donald Gaudreau

1.3. პარალელური სათაურები

1.3.1 როდესაც ინფორმაციის დაწესებულ წყაროში არის სათაურები ორ ან მეტ სხვადასხვა ენაზე და/ან დამწერლობაში, სათაურები, რომლებიც არ იქნებიან შერჩეული ძირითად სათაურად (იხ. 1.1.3) გადაიწერება აღწერილობაში, როგორც პარალელური სათაური(ები).

მაგ. Beyond horizons [Electronic resource] = Allende los horizontes

1.3.2 პარალელურ სათაურს შეიძლება ჰქონდეს ისეთივე სხვადასხვა ფორმა, როგორც ძირითად სათაურს (იხ.1.1.2).

1.3.3 ორიგინალური სათაური ძირითადი სათაურის ენისაგან განსხვავებულ ენაზე,

რომელიც შეგვხვდება ინფორმაციის დაწესებულ წყაროში, და რომელიც ენობრივად არ არის დაკავშირებული სხვა აღწერით ელემენტებთან (მაგ. როგორც ალტერნატიული სათაური. იხ. 1.1.2.4; როგორც სათაურზე სხვა ცნობის ნაწილი იხ.1.5.2.4; ან როგორც პასუხისმგებლობის შესახებ ცნობის ნაწილი, იხ. სფერო 2), განიხილება როგორც პარალელური სათაური.

ორიგინალური სათაური ძირითადი სათაურის ენისაგან განსხვავებულ ენაზე, რომელიც არ გვხვდება დაწესებულ წყაროში, მოცემულ უნდა იქნეს სფერო 7-ში.

1.3.4 მონაცემთა გადაწერა აღწერილობაში

1.3.4.1 პარალელური სათაური გადაიწერება აღწერილობაში ინფორმაციის დაწესებული წყაროდან იმავე სიტყვების გამოყენებით, მაგრამ არა აუცილებლად მთავრული (დიდი) ასოების ან პუნქტუაციის დაცვით (იხ. აგრეთვე 0.4, 0.6, 0.7). გამონაკლის შემთხვევებში პარალელური სათაური შესაძლოა შეიკვეცოს, გამოტოვებული ნაწილები აღინიშნება გამოტოვების ნიშნებით.

მაგ. History of the French language [Electronic resource] = Histoire de la langue française

1.3.4.2 როდესაც ინფორმაციის დაწესებულ წყაროში არსებობს ორზე მეტი პარალელური სათაური, სათაურების გადაწერა აღწერილობაში ხდება გაფორმების (ტიპოგრაფიის) წესის მიხედვით, ან დაწესებულ წყაროში მოცემული მიმდევრობით.

მაგ. Snow White and Red Rose [Electronic resource] = Blancanieves y Rosaraja = Schneewittchen und Rosenroth

1.3.4.3 აღწერის ერთეული ძირითადი სათაურის გარეშე.

როდესაც აღწერის ერთეული შედგება ორი ან მეტი ნაშრომისაგან ძირითადი სათაურის გარეშე (იხ.1.1.2.9), და როდესაც ყოველ ან ზოგ ინდივიდუალურ ნაშრომს გააჩნია პარალელური სათაური(ები), პარალელური სათაურები მოცემულია იმ სათაურების შემდეგ, რომლებსაც ისინი დაერთვის.

მაგ. Du er ikke alene [Electronic resource] = You are not alone. Opname = In for treatment

1.3.4.4 პარალელური სათაურები, რომლებიც გვხვდება აღწერის ერთეულში, მაგრამ არა ინფორმაციის დაწესებულ წყაროში, უნდა იყოს მოცემული კვადრატულ ფრჩხილებში სფერო 1-ში, ან შეიძლება იყოს მოცემული სფერო 7-ში.

1.4 სხვა ცნობები სათაურის შესახებ.

1.4.1 სხვა ცნობები სათაურის შესახებ შეიძლება არსებობდეს ძირითად სათაურთან, პარალელურ სათაურებთან, აღწერის ერთეულში შემავალ ინდივიდუალური ნაშრომის სათაურებთან კავშირში და დაქვემდებარებაში.

1.4.2 სხვა ცნობები სათაურის შესახებ შეიძლება შეიცავდეს ცნობებს პასუხისმგებლობის

შესახებ, ცნობებს დაკავშირებულს გამომცემლობასთან ან გავრცელებასთან ან დეტალებს დაკავშირებულს სხვა აღწერით ელემენტებთან (მაგ. ცნობებს გამოცემის შესახებ), როდესაც ასეთი მონაცემები ენობრივად არის სათაურის შესახებ სხვა ცნობების არსებითი ნაწილი.

მაგ. Black holes [Electronic resource] : Sidney Owen's space games

1.4.3 ძირითადი სათაურის გაფართოებული (სრული) ფორმა, როდესაც ძირითადი სათაურის შეიცავს ინიციალებს ან აკრონიმებს, განიხილება როგორც სხვა ცნობები სათაურის შესახებ, როდესაც გაფართოებული ფორმა გვხვდება ინფორმაციის დაწესებულ წყაროში.

მაგ. SPSS [Electronic resource] : statistical package for the social sciences

1.4.4 აღწერილობაში მონაცემთა გადაწერა (ტრანსკრიფცია)

1.4.4.1 სხვა ცნობები სათაურის შესახებ აღწერილობაში გადაწერის დროს მოსდევს იმ სათაურს, რომელსაც იგი ეხება (იხ. აგრეთვე 1.4.4.6) .

1.4.4.2 სხვა ცნობები სათაურის შესახებ ტრანსკრიფცია ხდება იმავე სიტყვების გამოყენებით, მაგრამ არ არის სავალდებულო მთავრული (დიდი) ასოების ან პუნქტუაციის გამოყენება. გამონაკლის შემთხვევაში სხვა ცნობები სათაურის შესახებ შესაძლებელია იყოს შემოკლებული. გამოტოვებული ნაწილები ნაჩვენები უნდა იყოს გამოტოვების ნიშნებით.

1.4.4.3 სხვა ცნობები სათაურის შესახებ , რომელიც გვხვდება ინფორმაციის დაწესებულ წყაროში ძირითადი სათაურის წინ, გადაიწერება ძირითადი სათაურის შემდეგ , როდესაც ეს არის ენობრივად ან სხვაგვარად შესაძლებელი. როდესაც ეს არ არის შესაძლებელი, ცნობები მოცემულია სფერო 7-ში.

1.4.4.4. როდესაც ინფორმაციის დაწესებულ წყაროს გააჩნია ორზე მეტი ცნობა, ამ ცნობების ტრანსკრიფცია ხდება წიგნის გაფორმების (ტიპოგრაფიული) შესაბამისად ან ინფორმაციის დაწესებულ წყაროში ცნობების მიმდევრობით.

მაგ. Offshore oil drilling [Electronic resource] : data analysis : from Neel Oil Research Council

1.4.4.5 აღწერის ერთეული ძირითადი სათაურის გარეშე.

1.4.4.5.1. როდესაც აღწერის ერთეულს არა აქვს ძირითადი სათაური (იხ. 1.1.2.9) და როდესაც არის სხვა ცნობები სათაურის შესახებ დაკავშირებული არსებული ინდივიდუალური ნაშრომის ერთ ან მეტ სათაურთან, ეს ცნობები მოცემულია იმ სათაურის შემდეგ, რომელსაც ისინი ეხებიან.

მაგ. Special effects [Electronic resource] : morphing and warping. 3-D modeling : generic primitives and other basic tools

1.4.4.5.2 ის მონაცემებია ინფორმაციის დაწესებულ წყაროში, რომელიც შეადგენს სხვა ცნობებს სათაურის შესახებ და დაკავშირებულია ერთი და იმავე ავტორის ერთზე მეტ ნაშრომისათან გადაიწერება იმ ნაშრომების სათაურების შემდეგ, რომელსაც ისინი ეკუთვნის თუ ეს შესაძლებელია. მაგალითად თუ ერთი ავტორის ნაშრომები არ არის თანმიმდევრული, მონაცემები მოცემულია სფერო 7-ში.

მაგ. Pow! [Electronic resource] ; Zap it : two adventure games / Rick Held

1.4.4.5.3 მონაცემები, რომლებიც ადგენენ სხვა ცნობებს სათაურის შესახებ, რომელიც გვხვდება ინფორმაციის დაწესებულ წყაროში და დაკავშირებული აღწერის ერთეულში შემავალ ყველა ნაშრომთან (მიუხედავად იმისა, ისინი ეკუთვნიან თუ არა სხვადასხვა ავტორის), მოცემულია სფერო 7-ში.

1.4.4.5.4. როდესაც კავშირი სხვა ცნობებს სათაურის შესახებ და ინდივიდუალური ნაშრომის სათაურებს შორის არ არის გასაგები, შესძლებელია მოკლე განმარტების დამატება კვადრატულ ფრჩხილებში; ან სხვა ცნობებს სათაურის შესახებ უნდა იყოს მოცემული სფერო 7-ში.

1.4.4.6 პარალელური სათაურები და პარალელური სხვა ცნობები სათაურის შესახებ.

1.4.4.6.1 როდესაც ინფორმაციის მოცემულ წყაროში არის ორი ან მეტი პარალელური სათაური და სხვა ცნობები სათაურის შესახებ ერთზე მეტ ენაზე და/ან დამწერლობით, ყოველი ცნობა სხვა სათაურის შესახებ მოჰყვება იმ სათაურს, რომელთანაც ენობრივად და დაკავშირებულია.

მაგ. Vienna [Electronic resource] : hotel and tourist guide = Wien : Hotel- und Reiseführer

1.4.4.6.2 როდესაც ინფორმაციის დაწესებულ წყაროში გვხვდება ორი ან მეტი პარალელური სათაური, მაგრამ სხვა ცნობები სათაურის შესახებ არის მხოლოდ ერთ ენაზე და/ან დამწერლობით, სხვა ცნობები სათაურის შესახებ მოცემულია უკანასკნელი პარალელური სათაურის შემდეგ .

1.4.4.6.3 როდესაც პარალელური სათაური შეიცავს როგორც ძირითადი სათაურის მონაცემებს, ასევე სხვა ცნობებს სათაურის შესახებ დაწერილს ძირითადი სათაურის ენაზე, სხვა ცნობები სათაურის შესახებ მოცემულია ძირითადი სათაურის შემდეგ და პარალელურ სათაურამდე.

1.4.4.6.4. როდესაც არ არსებობს პარალელური სათაური, მაგრამ სხვა ცნობები სათაურის შესახებ გვხვდება ინფორმაციის დაწესებულ წყაროში ერთზე მეტ ენაზე და/ან დამწერლობით, ცნობები მოცემულია ძირითადი სათაურის ენაზე და/ან დამწერლობით. როდესაც ამ კრიტერიუმის გამოყენება შეუძლებელია, მოცემულია პირველი ცნობა, რომელიც გვხვდება ინფორმაციის დაწესებულ წყაროში. დანარჩენი ცნობებიც აგრეთვე შესაძლებელია იყოს მოცემული, ისე რომ, ყოველს წინ უნდა უძღვოდეს ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი.

1.4.4.7 როდესაც ძირითადი სათაური შედგება საერთო და დაქვემდებარებული სათაურისაგან (იხ.1.1.2.7) ინდივიდუალური "სხვა ცნობები სათაურის შესახებ" მოცემულია იმ აღწერის ერთეულის(ების) შემდეგ, რომელთაც ისინი ეხება. საეჭვო შემთხვევაში, სხვა ცნობები სათაურის შესახებ მოცემულია ძირითადი სათაურის, როგორც მთლიანის, შემდეგ.

მაგ. Stock selection. Portfolios [Electronic resource] : money management

1.4.5 ცნობა სხვა სათაურის შესახებ, რომელიც გვხვდება აღწერის ერთეულში მაგრამ არა ინფორმაციის დაწესებულ წყაროში და როდესაც ის ითვლება მნიშვნელოვნად აღწერის ერთეულის იდენტიფიკაციისათვის, შესაძლებელია მოცემული იყოს კვადრატულ ფრჩხილებში ძირითადი სათაურის ან პარალელური სათაურის შემდეგ, რომელსაც ის ეხება. ჩვეულებრივ ასეთი მონაცემები მოცემულია სფერო 7-ში.

1.5 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ.

1.5.1 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ შესაძლებელია მოცემული იყოს იმ პიროვნების ან ორგანიზაციის მიმართ, რომელიც პასუხისმგებელია ან წვლილი მიუძღვის აღწერის ერთეულში შემავალი ნაშრომის ინტელექტუალური ან მხატვრული შინაარსის შექმნაზე.

1.5.2. ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ შეიძლება დაკავშირებული იყოს:

მწერლებთან, პროგრამისტებთან, ძირითად მკვლევარებთან, მხატვრებთან, კომპოზიტორებთან, ანიმატორებთან და ა.შ., რომელთა ნაშრომი შესულია აღწერის ერთეულში, პირდაპირ/უშუალოდ (მაგ. ტექსტის ავტორი, გამომცემელი, შემდგენელი, მთარგმნელი, ილუსტრატორი, მუსიკის კომპოზიტორი და ა.შ.) ან არაპირდაპირ (მაგ. იმ ნაშრომის ავტორი, რომელზეც არის დაფუძნებული პროგრამა);

უკვე არსებული ნაშრომის ადაპტირების ავტორებთან, იმავე ფიზიკურ მატარებელზე, რომელზეც ორიგინალია ან სხვა;

რომელიმე ზემოთ ნახსენები ნაშრომის სპონსორ ორგანიზაციებთან ან პირებთან.

გარდა ამისა, ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ ელექტრონული წყაროს შემთხვევაში შეიძლება დაკავშირებული იყოს დამამუშავებელსა და დიზაინერთან, რომლის ნაშრომი გულისხმობს წყაროს ფიზიკურ შექმნას, ან მის ტექნიკურ რელიზაციას. (მაგ. თამაშის შემქმნელი დიზაინერი). მათ მიეკუთვნება, აგრეთვე, ისინი, ვისაც მიენიჭება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ცალკეულ წყაროსთან ან ცალკეული ტიპის წყაროსთან დაკავშირებით (მაგ. მონაცემთა დამამუშავების პროექტის დირექტორები, ვიდეო- დირექტორი).

საზოგადოდ, ასეთი პასუხისმგებლობა ეკისრება არა მარტო პიროვნებებს ან ორგანიზაციებს, რომელთაც არსებითად მნიშვნელოვანი როლი მიუძღვით ნაშრომის

შექმნა, გამოცემა ან წარმოებაში, მაგრამ აგრეთვე იმ პირებს, რომელთა როლი შედარებით მცირეა, (მაგ. ისტორიული კონსულტაციები) და, მიუხედავად ამისა, მოხსენებულნი არიან ინფორმაციის დაწესებულ წყაროში. პასუხისმგებლობა დაკავშირებული პირებთან, რომელთა როლი როგორც ითვლება მცირეა. შესაძლებელია მოცემული იყოს შენიშვნაში (იხ. 7.1.5).

ცნობები პასუხისმგებლობის შესახები არ ჩაიწერება, როდესაც აღწერის ერთეულში არ არის ასეთი მონაცემები.

ცნობებმა პასუხისმგებლობის შესახებმა შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ფორმა:

1.5.2.1 იგი შეიძლება შედგებოდეს პიროვნებ(ებ)ის სახელ(ებ)ის ან ორგანიზაციების სახელწოდებ(ებ)ისაგან, დამაკავშირებელი სიტყვით ან მოკლე ფრაზით (ან მის გარეშე), რომელიც მიუთითებს პირის ან კოორპორაციის ორგანიზაციების როლს (იხ. აგრეთვე 1.5.2.6.)

მაგ. Bitnet history [Electronic resource] / Billy Baron

Amazing universe CD-ROM [Electronic resource] / produced by Hopkins Technology

Communism and the cold war [Electronic resource] / ABC News Interactive

1.5.2.2. იგი შეიძლება შედგებოდეს ფრაზისაგან სახელის გარეშე, როდესაც ასეთი ფრაზა აღწერს ინტელექტუალურ წვლილს ან არის სხვა მხრივ მნიშვნელოვანი.

მაგ. Educational programs that also entertain [Electronic resource] / by a team of programmers and teachers

Bankware [Electronic resource] / Arden Wilson ; with graphics by the author

1.5.2.3. იგი შეიძლება შედგებოდეს არსებითი სახელისაგან ან ფრაზისაგან და საკუთარი სახელ(ებ)ისაგან, როდესაც ასეთი ფრაზა გამოხატავს პიროვნების ან ორგანიზაციის როლს მეტად, ვიდრე ნაშრომის სახე.

მაგ. Minnesota agriculture [Electronic resource] / author, Ken Brumbaugh

Xwaisq interface [Electronic resource] / development and debugging, Philip Goldman

სხვა არსებითი სახელები ან არსებითი სახელებისაგან შედგენილი ფრაზები ჩვეულებრივ გამოიყენება "სხვა ცნობები სათაურის შესახებ" მნიშვნელობით (იხ. 1.4).

1.5.2.4 იგი შეიძლება შედგებოდეს სხვა აღწერით ელემენტებთან დაკავშირებული დეტალებისაგან (მაგ. ორიგინალურ სათაურთან, ინფორმაციასთან ნაშრომის თარგმანის გამოცემის შესახებ) როდესაც ასეთი დეტალები ენობრივად არსებითი ნაწილია ცნობების პასუხისმგებლობის შესახებ.

მაგ. Alice's wonders [Electronic resource] / adapted from Alice in Wonderland, by Wilford

Hagers

1.5.2.5 იგი შეიძლება შედგებოდეს დანართეჯების ან სხვა დამატებით მასალასთან

დაკავშირებულ ცნობებისაგან, როდესაც ასეთი მონაცემები გვხვდება ინფორმაციის დაწესებულ წყაროში (იხ. აგრეთვე 1.5.3.3)

მაგ. Career choices of teenage girls [Electronic resource] / principal investigator, Harriett

D. Lipetz ; with appended data on entry level job openings compiled by a joint educational task force

1.5.2.6 იგი შეიძლება შედგებოდეს ორგანიზაციების სახელწოდებებისაგან, რომლებიც ფინანსურ დახმარებას უწევენ აღწერის ერთეულის შექმნას, როდესაც ორგანიზაციების სახელწოდებები მითითებულია ინფორმაციის დაწესებულ წყაროში და ცხადად არის დაწვრილებით ფორმულირებული კავშირი სპონსორსა და აღწერის ერთეულს შორის (შეიძლება გამოხატული იყოს შესაბამისი სიტყვის ან მოკლე ფრაზის დამატებით).

მაგ. Unchurched Americans, April 1978 [Electronic resource] / [sponsored by] Coalition of

Religious Groups in America ; conducted by Gallup Organization

სპონსორი ორგანიზაციები, როდესაც მათი სახელწოდებები შეადგენს პუბლიკაციის, გავრცელების და სხვა სფეროს არსებითი ნაწილის (მაგ. იწყება ფრაზით, "გამოცემული ... მიერ") ჩაიწერება მე-4 სფეროში.

1.5.2.7 ცნობები, რომელიც არ არის დაკავშირებული აღწერის ერთეულის ინტელექტუალურ ან მხატვრულ შინაარსთან, არ განიხილება როგორც ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ. მონაცემები, როგორცაა დევიზი, მიძღვნა, მზრუნველები ან პრიზები შეიძლება გამოტოვებულ იქნეს ან მოცემულ იყოს სფერო 7-ში. ისეთი ტიპის ინფორმაცია, როგორცაა "თან ახლავს საცნობარო სახელმძღვანელო" მოცემულია სფერო 5-ში.

1.5.2.8. ცნობების პასუხისმგებლობის შესახებ მითითება არ ითვლება მიზანშეწონილად იმ პირების ან ორგანიზაციებისათვის, რომლების სახელწოდებებიც ენობრივად არსებითი ნაწილია სხვა აღწერითი ელემენტებისა და რომლებიც ასეთი სახით შევიდნენ აღწერილობაში (მაგ. ძირითადი სათაურის ნაწილი. იხ. 1.1.2.5.; როგორც სხვა ცნობების სათაურის შესახებ ნაწილი, იხ. 1.4.2., როგორც გამოქვეყნების, გავრცელების და სხვა ცნობების ნაწილი, და ა.შ., იხ სფერო 4)

მაგ. Yaeger Political Associates on national management policies [Electronic resource]

გამონაკლისი კეთდება მაშინ, როდესაც პასუხისმგებელი პირები თუ ორგანიზაციები ცხადად არის გამეორებული ფორმალურ ცნობებში ინფორმაციის დაწესებულ წყაროში.

მაგ. Allan Knight graphics [Electronic resource] / by Allan Knight

1.5.2.9. არ არის მიზანშეწონილი ცნობებში პასუხისმგებლობის შესახებ მოყვანილ იქნას იმ ორგანიზაციის სახელწოდება, რომელიც გვხვდება ინფორმაციის დაწესებულ წყაროში, მაგრამ რომლის ფუნქციები არ არის ზუსტად განსაზღვრული, არც აღწერის ერთეულში ან არც სადმე სხვაგან. ეს სახელწოდება ჩაიწერება სფერო 7-ში.

1.5.3. ერთი ან მეტი ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ.

1.5.3.1. ერთ ცნობას პასუხისმგებლობის შესახებ ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ინფორმაციის დაწესებულ წყაროში სიტყვიერად მოცემულია ერთი ცნობა. ასეთ მონაცემებში შეიძლება იყოს დასახელებული ერთზე მეტი პიროვნება ან ორგანიზაცია, მაგალითად როგორც ერთიდაიმავე ან, აგრეთვე, სხვადასხვა ფუნქციის შემსრულებლები. მათი სახელები(სახელწოდებები) დაკავშირებულია კავშირით.

მაგ. BASIC games and recreation [Electronic resource] / developed by Dale Kahn with Laurie Fenster

1.5.3.2. ერთზე მეტ ცნობას პასუხისმგებლობის შესახებ ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სიტყვიერად მოცემულია რამოდენიმე ცნობა, მაგალითად, როდესაც ერთზე მეტი პირი ან ორგანიზაცია წარმოგვიდგება, როგორც სხვადასხვა ფუნქციის შემსრულებელი. ასეთი ცნობები არ არის დაკავშირებული კავშირით.

მაგ. Xmag [Electronic resource] : screen magnification program / written by Danny Shapiro ; ported to Motif by Philip Schneider

1.5.3.3. ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ დაკავშირებული დანართთან ან დამატებით მასალასთან (იხ. 1.5.2.5) განიხილება როგორც დამატებითი ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ და ჩაიწერება იმ ცნობების შემდეგ, რომლებიც დაკავშირებულია მთელ აღწერის ერთეულთან ან მის მთავარ ნაწილთან.

1.5.4 ტრანსკრიფცია (აღწერილობაში გადაწერა)

1.5.4.1 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ აღწერისას გადაიწერება იმ სიტყვებით, რომლითაც ის გვხვდება აღწერის ერთეულში.

მაგ. Games and more games [Electronic resource] / developed by TNF Software Arts ; graphics by Larry Blum

The bulimia study [Electronic resource] / coordinated for the Joint Task Force on Affective Disorders by George Lahan-Jones

Finnish families in Texas [Electronic resource] / principal investigators, T. Sheehan, H. Lovett

New wave stories for your microcomputer [Electronic resource] / researched and compiled by Art Gump

1.5.4.2 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც გვხვდება არა ინფორმაციის დაწესებულ წყაროში არამედ აღწერის ერთეულის სხვა ნაწილში, ჩაისმება კვდრატულ ფრჩხილებში. მონაცემები პასუხისმგებლობის შესახებ, აღებულია აღწერის ერთეულის გარეთ, უნდა იყოს მოცემული სფერო 7-ში.

1.5.4.3. როდესაც რამდენიმე პირი ან ორგანიზაცია წარმოდგენილია ერთ ცნობებში პასუხისმგებლობის შესახებ (იხ. 1.5.3.1), აღწერილობაში გადაწერილი სახელების რაოდენობას განსაზღვრავს ბიბლიოგრაფიული სააგენტო. რამოდენიმე ჩაწერილი

სახელი შეიძლება იყოს გამოყოფილი მძიმეებით ან შესაბამისად დაკავშირებული კავშირებით. თუ კავშირები- სიტყვები დამატებულია, ისინი ჩაისმება კვადრატულ ფრჩხილებში. გამოტოვებული ნაწილები მითითებულია გამოტოვების ნიშნებით და "et al" (et alii) ან მისი ეკვივალენტით სხვა დამწერლობაში, კვადრატულ ფრჩხილებში.

მაგ. Interstate produce sales [Electronic resource] / prepared by M. Mumblow ... [et al.]

How working mothers cope [Electronic resource] / Human Resource Management Service [and] Commission on Career Development

1.5.4.4 როდესაც საკუთარი სახელები ან ორგანიზაციების სახელწოდებები მოცემულია ცნობებში პასუხისმგებლობის შესახებ არასრული ფორმით მაგ. აკრონიმის სახით, სრული ფორმა შესაძლებელია მოცემული იყოს სფერო 7-ში (იხ. 7.1.5.).

1.5.4.5. ინიციალები, რომლებიც მიუთითებენ საზოგადოების წევრობას, აკადემიურ ხარისხს და ა.შ. და დაკავებული თანამდებობის შესახებ მონაცემებს და ასეთივე კვალიფიკატორები, რომლებიც პიროვნების სახელს მოჰყვება, გადაიწერება აღწერილობაში, როდესაც ინიციალები და ა.შ. საჭიროა ენობრივად ან პიროვნების იდენტიფიკაციისათვის ან პიროვნების საქმიანობის დასადგენად.

ყველა სხვა შემთხვევაში ინიციალები და სხვა არ განიხილებიან როგორც " პასუხისმგებლობის შესახებ ცნობები "-ის ნაწილი და უგულებელყოფილნი უნდა იქნან (იხ. 1.5.2.7).

1.5.4.6. ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც წინ უძღვის ძირითად სათაურს ინფორმაციის დაწესებულ წყაროში, გადაიწერება ძირითადი სათაურის და სათაურის შესახებ სხვა ცნობების შემდეგ, გარდა, თუ ეს მათთან ენობრივ კავშირს არ არღვევს (იხ. 1.5.2.8.).

პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების საკუთარი პოზიცია შესაძლოა მოცემული იყოს სფერო 7-ში.

1.5.4.7 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ რომელიც შეიცავს ორგანიზაციის სახელწოდებას გამოხატულს იერარქიულ ფორმაში, ჩაიწერება იმ ფორმითა და მიმდევრობით, როგორც აღწერის ერთეულშია მოცემული.

მაგ. Characteristics of self-esteem in adolescence [Electronic resource] / Division of Child Psychiatry, Cambridge Hospital

1.5.4.8 როდესაც პასუხისმგებლობის შესახებ ცნობებს არ გააჩნიათ ენობრივი კავშირი სათაურთან, რომელსაც ისინი მიეკუთვნება, პიროვნების სახელი ან ორგანიზაციის სახელწოდება მოცემულია წილადის ხაზის შემდეგ.

მაგ. Retrospective UK MARC file, 1950-1974 [Electronic resource] / British Library Bibliographic Services Division

1.5.4.9 როდესაც კავშირი პასუხისმგებლობის შესახებ ცნობებსა და სათაურს შორის არ არის ცხადი, შესაძლებელია დაემატოს დამაკავშირებელი სიტყვა ან მოკლე ფრაზა კვადრატულ ფრჩხილებში.

მაგ. Strikeout, and other simulation games [Electronic resource] / [collected by] Jim Good

Hausverwaltung 64 [Electronic resource] : die rationelle Hausverwaltung für Ihre
Mietwohnung / [Verf.] Udo Eulberg

1.5.4.10 როდესაც არის ერთზე მეტი ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ, აღწერილობაში ამ ცნობების განლაგება (ტიპოგრაფიული) და მიმდევრობა არის ისეთივე, როგორც ეს ინფორმაციის დაწესებული წყაროშია მოცემული, სხვადასხვა ცნობებში პასუხისმგებლობის ზომის ან ხარისხის გათვალისწინების გარეშე.

როდესაც ცნობები არ არის აღებული ინფორმაციის დაწესებული წყაროდან, ისინი უნდა იყოს მოცემული ლოგიკური მიმდევრობით თუ ასეთი წესი არსებობს და უნდა ჩაისვას კვადრატულ ფრჩხილებში.

მაგ. Hardisk accounting [Electronic resource] / design, Roger Teppe ; programmer, Bob Chompsky
; graphics, Carol Mayer-Lenz

როდესაც ინფორმაციის დაწესებული წყარო არის შედგენილი ხასიათის (მაგალითად მრავალნაწილიანი აღწერის ერთეულის შემთხვევაში, რომელსაც არ გააჩნია გამაერთიანებელი მთავარი წყარო), ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ მოცემულია ლოგიკური წესით; ან აღწერის ერთეულის სხვადასხვა ნაწილი შეიძლება აღწერილ იქნეს მრავალდონიანი მეთოდის გამოყენებით (იხ. დანართი ა).

1.5.4.11 პარალელური სათაურები და პარალელური ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ.

1.5.4.11.1 როდესაც ინფორმაციის დაწესებული წყარო შეიცავს ერთ ან მეტ პარალელურ სათაურს და/ან პარალელურ "სხვა ცნობებს სათაურის შესახებ" და აგრეთვე გააჩნია ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ ერთზე მეტ ენაზე და/ან დამწერლობით, ყოველი ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ ჩაიწერება სათაურის ან სათაურის შესახებ სხვა ცნობების შემდეგ, რომელთანაც ის ენობრივად არის დაკავშირებული.

მაგ. Canadian urban sources [Electronic resource] : a survey / Canadian Council on Urban and
Regional Research = Sources urbaines canadiennes : un aperçu / Conseil canadien de la
recherche urbaine

1.5.4.11.2. თუ არ არის შესაძლებელი შესაბამისი ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ იყოს მოყვანილი ყოველი სათაურის ან სათაურის შესახებ სხვა ინფორმაციის შემდეგ, ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ მოცემულია ერთად, უკანასკნელი პარალელური სათაურის ან პარალელური სხვა ცნობების შემდეგ. ყოველ პარალელურ პასუხისმგებლობის შესახებ ცნობას წინ უძღვის ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი.

1.5.4.11.3 როდესაც ინფორმაციის დაწესებული წყარო შეიცავს ერთ ან მეტ პარალელურ სათაურს და/ან პარალელურ ცნობებს სხვა სათაურის შესახებ, ცნობები

პასუხისმგებლობის შესახებ ჩაიწერება უკანასკნელი პარალელური სათაურის ან (პარალელური) სხვა სათაურის ცნობების შემდეგ.

მაგ. Statistique des comptes nationaux, 1969-1985 [Electronic resource] = National accounts statistics, 1969-1985 / Organisation de coopération et de développement économiques

1.5.4.11.4. როდესაც არ არის პარალელური სათაური, მაგრამ ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ გვხვდება ინფორმაციის დაწესებულ წყაროში ერთზე მეტ ენაზე და/ან დამწერლობით, ცნობები ჩაიწერება ძირითადი სათაურის ენაზე და/ან დამწერლობით; როდესაც ეს კრიტერიუმი არ მოქმედებს, ცნობები აღწერილობასში ჩაიწერება იმ ფორმით (ტიპოგრაფიული) ან მიმდევრობით, როგორც ინფორმაციის დაწესებულ წყაროშია მოცემული. სხვა ცნობები ასევე უნდა იყოს მოცემული, თითოეულს წინ უძღვის ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი.

მაგ. Directions in tin trade of selected North American countries [Electronic resource] : statistical survey / International Tin Council = Conseil international de l'étain

1.5.4.12 აღწერის ერთეული ძირითადი სათაურის გარეშე.

1.5.4.12.1 როდესაც აღწერის ერთეულს არა აქვს ძირითადი სათაური (იხ.1.1.2.9) და როდესაც ყველა ინდივიდუალურ ნაშრომს გააჩნია ერთი და იგივე ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ მოცემულია სათაურის, პარალელური სათაურების და სხვა სათაურის შესახებ ცნობების შემდეგ.

მაგ. A survey of spending on foreign language teaching [Electronic resource] ; Foreign language teaching resources / principal investigator, J.L. Pianko

1.5.4.12.2 როდესაც ინდივიდუალურ ნაშრომებს გააჩნიათ სხვადასხვა ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, ყოველი ცნობა მოცემულია სათაურის(ების) და ცნობ(ებ)ის სხვა სათაურის შესახებ შემდეგ, რომლებსაც ისინი ეკუთვნის.

მაგ. Hybrid imaging [Electronic resource] : technology and graphic design / April Cubbitt. Art and the machine / Fran Chen. Space art / Jean-Louis Gero ; illustrator, Judy Randall

1.5.4.12.3 როდესაც ინდივიდუალურ ნაშრომს აქვს ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ დაკავშირებული ზოგიერთ, მაგრამ არა ყველა სათაურთან, ყოველი ცნობა მოცემულია იმ სათაურის(ების) შემდეგ, რომელსაც ის ეკუთვნის.

1.5.4.12.4 როდესაც ინდივიდუალურ ნაშრომს გააჩნია თავისი საკუთარი ცნობები(ები) პასუხისმგებლობის შესახებ და ინფორმაციის დაწესებული წყარო იძლევა აგრეთვე ცნობებს პასუხისმგებლობის შესახებ დაკავშირებულს მთელ აღწერის ერთეულთან, უკანასკნელი განლაგებულია ყველა ცნობის შემდეგ, და წინ უძღვის ინტერვალი, წერტილ-მძიმე, ინტერვალი. კავშირი უკანასკნელ ასეთ ცნობებს პასუხისმგებლობის შესახებ და მის წინა ტრანსკრიპციას შორის შესაძლოა დაზუსტდეს დამაკავშირებელი

სიტვის ან მოკლე ფრაზის დამატებით, რომელიც კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული.

მაგ. Spellbinder [Electronic resource] / Tom Leach. The music director / Bob Dithridge. Word magic / Charles Zipf ; editor [of the three works], Glen Furness

თუ ასეთი დამატება ენობრივად შეუძლებელია, ან მოგვცემს მიუღებელ ჩანაწერს, პასუხისმგებლობის ცნობების შესაბამისი ნაწილი და/ან განმარტება ჩაიწერება მე-7 სფეროში.

1.5.4.13. როდესაც ძირითადი სათაური შედგება საერთო სათაურისა და დაქვემდებარებული სათაურისაგან, ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ მოცემულია ძირითადი სათაურის ნაწილის შემდეგ, რომელსაც ისინი ეხება. საეჭვო შემთხვევაში ან თუ ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ ეხება ძირითად სათაურს, როგორც მთლიანობას, ისინი მოცემულია ძირითადი სათაურის შემდეგ.

მაგ. Urban and regional references. Supplement [Electronic resource] / compiled by Canadian Council on Urban and Regional Research

2. გამოცემის სფერო

2.1 ცნობები გამოცემის შესახებ

2.2 პარალელური ცნობები გამოცემის შესახებ (არ არის სავალდებულო)

2.3 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ დაკავშირებული გამოცემასთან.

2.4 დამატებითი ცნობები გამოცემის შესახებ.

2.5 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოსდევს დამატებით ცნობებს გამოცემის შესახებ.

პუნქტუაცია

ა. გამოცემის სფეროს წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი (. -),

ბ. ყოველ პარალელურ ცნობას გამოცემის შესახებ წინ უძღვის ინტერვალი, ტირე, ინტერვალი (=),

გ. პირველ ცნობებს პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია გამოცემასთან (ან მოსდევს დამატებით ცნობებს გამოცემის შესახებ) წინ უძღვის ინტერვალი, წილადის ხაზი, ინტერვალი (/),

დ. ყოველ მომდევნო ცნობებს პასუხისმგებლობის შესახებ , რომელიც დაკავშირებულია გამოცემასთან (ან მოსდევს დამატებით ცნობებს გამოცემის შესახებ) წინ უძღვის ინტერვალი, წერტილ-მძიმე, ინტერვალი (;),

ე. დამატებითი ცნობები გამოცემის შესახებ, რომელიც მოსდევს ან ცნობებს გამოცემის შესახებ ან ცნობებს პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია გამოცემასთან, წინ უძღვის მძიმე, ინტერვალი (,).

მაგალითად:

. - ცნობები გამოცემის შესახებ

. - ცნობები გამოცემის შესახებ = პარალელური ცნობები გამოცემის შესახებ

. - ცნობები გამოცემის შესახებ / ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ ; მეორე ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ

. - ცნობები გამოცემის შესახებ / ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ = პარალელური ცნობები გამოცემის შესახებ / ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ

. - ცნობები გამოცემის შესახებ, დამატებითი ცნობები გამოცემის შესახებ

. - ცნობები გამოცემის შესახებ / ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, დამატებითი ცნობები გამოცემის შესახებ / ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ

2.1 ცნობები გამოცემის შესახებ

2.1.1 ცნობები გამოცემის შესახებ შედგება ტერმინების, ფრაზების და სიმბოლოებისაგან (ასო-ნიშნებისაგან), რომლებიც დაკავშირებულია:

ა. აღწერის ერთეულის ყველა ასლთან, რომლებიც ფორმალურად იდენტიფიცირებულია (ერთიანდება) როგორც სახელწოდებიანი და/ან დანომრილი გამოცემა.

ან

ბ. აღწერის ერთეულის ყველა ასლთან წარმოდგენის გარკვეული ფორმით, რომელთაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი განსხვავებანი ინტელექტუალურ და მხატვრულ შინაარსში, ამავე ფორმით წარმოდგენილ სხვა ასლებთან შედარებით; მიუხედავად იმისა მოყვანილია თუ არა აღწერის ერთეულში რაიმე ფორმალური ცნობები ამის (განსხვავებების) შესახებ.

ცნობები გამოცემის შესახებ საზოგადოდ შეიცავენ სიტყვას "გამოცემა" (ან მის ეკვივალენტს სხვა ენაზე). მასთან დაკავშირებული ტერმინები, როგორიცაა "ვარიანტიჟე", "ვერსია", "დონე", "გამოშვება" ან "რედაქცია" მიუთითებს ცნობებზე გამოცემის შესახებ, მაგრამ ეს ტერმინები ხანდახან გამოიყენება აღწერის ერთეულში მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო ცვლილებების აღსანიშნავად და, როგორც ასეთი, შესაძლებელია სარწმუნო ნიშანი არ იყოს ახალი გამოცემის მისათითებლად.

ცნობები გამოცემის შესახებ შესაძლებელია შეიცავდეს აგრეთვე ტერმინს, რომელიც მიუთითებს სხვა გამოცემისაგან განსხვავებას (მაგალითად "ახალი გამოცემა", "გადამუშავებული გამოცემა" და ა.შ.) ან სხვა ფრაზებს, რომლებიც შეიძლება იყოს ენობრივად ურთიერთდაკავშირებული, რომლებიც აკავშირებს გამოცემას სხვა აღწერის ელემენტებთან (მაგ. შემდეგი ფორმის ორიგინალური

სათაური: "... -ის ახალი გამოშვება ").

ახალია გამოცემა იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს მნიშვნელოვან სხვაობებს წყაროს ინტელექტუალურ და მხატვრულ შინაარსში, დამატებებისა და გამოკლებების ჩათვლით; ცვლილებებს პროგრამულ ენაში; ცვლილებებს დაკავშირებულს წყაროს ქმედითობის შესწორებას ან გაუმჯობესებასთან; ცვლილებებს პროგრამულ ენასა და ოპერაციულ სისტემაში, რომლებიც საშუალებას იძლევა წყარო იყოს თავსებადი სხვა კომპიუტერსა და ოპერაციულ სისტემასთან.

იმ განსხვავებებს, რომლებიც არ განსაზღვრავენ ახალი გამოცემას, მიეკუთვნება: სხვადასხვაობები ფიზიკურ მატარებელთა ტიპში (მაგ. დისკიდან კასეტაზე) და/ან ფიზიკური მატარებლის მოცულობაში (მაგ. 14 სმ-დან 9 სმ დისკზე); განსხვავებანი პრინტერის ფაილის ფორმატებში (მაგ. ASCII ან PostScript); განსხვავებანი სისტემის ფორმატებში (მაგ. IBM ან Macintosh), განსხვავებანი დაკავშირებული ასოთა კოდირებასა ან ჩაწერის სიმკვრივესთან; განსხვავებები გამოსახვის მეთოდსა ან ფორმატში (მაგ. დისტანციური წყარო გადმოწერილი დისკზე ან ოპტიკურ დისკზე). ჩვეულებრივ, იმ განსხვავებებისათვის, რომლებიც არ შეადგენენ ახალ გამოცემას, არ მოითხოვება ცალკე ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შექმნა, თუმცა ბიბლიოგრაფიულ სააგენტოს შეუძლია

მიიღოს გადაწყვეტილება შეიქმნას რამოდენიმე ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი.

როდესაც ელექტრონულ წყაროს გააჩნია რამოდენიმე ცნობა გამოცემის შესახებ, დაკავშირებული აღწერის ერთეულის ნაწილებთან (მაგ. ურთიერთდაკავშირებული მულტიმედიის ნიმუში), ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში გადაიწერება ცნობა(ები) დაკავშირებული აღწერის ერთეულთან, როგორც ერთიანობასთან. როდესაც არ არის არც ერთი ცნობა, რომელიც ეხება აღწერის ერთეულს, ცნობები შესაძლებელია იყოს მოცემული სფერო 7-ში.

დისტანციური ელექტრონული წყაროს შემთხვევაში, რომელიც ხშირად განიცდის შესწორებებს, ცნობები გამოცემის შესახებ არ ჩაიწერება სფერო 2-ში, ხოლო შესაბამისი შენიშვნა(ები) ჩაიწერება სფერო 7-ში (იხ. 7.2.2 და 7.9).

ცნობები გამოცემის შესახებ, რომლებიც გვხვდება მხოლოდ თანდართულ დოკუმენტაციაში არ გინიხილება როგორც წყაროს გამოცემა, თუ დოკუმენტაციაში არ არის მითითებული, რომ ცნობები ეხება წყაროს.

2.1.2 ცნობები გამოცემის შესახებ გადაიწერება აღწერილობაში იმ სახით და სიტყვებით, როგორც ისინი გვხვდებიან აღწერის ერთეულში. ცნობები ჩაისმება კვადრულ ფრჩხილებში თუ ისინი არ გვხვდებიან ინფორმაციის დაწესებულ წყაროში, შესაძლებელია სტანდარტული აბრევიატურის გამოყენება. არაბული ციფრები ჩაისმება სხვა ციფრების ან სიტყვიერად გამოსახული რიცხვების ნაცვლად. ცნობებს გამოცემის შესახებ, შესაძლებელია დაერთოს ბოლოში განმარტებითი ფრაზები, როდესაც ისინი ჩაითვლება აუცილებლად გამოცემის იდენტიფიკაციისათვის (იხ. 2.3.3).

მაგ. CyberOffice for administrative personnel [Electronic resource]. - Windows 95 ed.

TAPESCAN [Electronic resource] / principal programmer, William C. Daland. - Version 3.5

The enduring vision [Electronic resource] : a history of the American people / Boyer ... [et al.] ; developed by Bryten, Inc. - Interactive ed., 1993 version

2.1.3. როდესაც ცნობები გამოცემის შესახებ არ არის მოცემული აღწერის ერთეულში, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია, რომ აღწერის ერთეული შეიცავს წინა გამოცემასთან შედარებით მნიშვნელოვან ცვლილებებს, შესაძლებელია სათანადო ცნობების მოყვანა ინფორმაციის დაწესებული წყაროს ენაზე და 2.1.2-ის შესაბამისად, ჩასმული კვადრატულ ფრჩხილებში.

მაგ.

. - [New ed.]

. - [Apr. 1995 issue]

. - [Rev. ed., Aug. 1995]

. - [Version 1.5]

. - [School ed.]

2.1.4 შემდეგი ცნობები გამოცემის შესახებ არ გადაიწერება გამოცემის სფეროში:

2.1.4.1 ცნობები გამოცემის შესახებ, რომელიც წარმოადგენს სხვა სფეროს ელემენტის არსებით ნაწილს (როგორც ძირითადი სათაური) და განხილულია როგორც ასეთი (იხ.1.1.2.5), არ მეორდება გამოცემის სფეროში.

მაგ. The compact version of Symphony [Electronic resource]

და არა

Symphony [Electronic resource]. - Compact version

2.1.4.2. ცნობები გამოცემის შესახებ, დაკავშირებული ერთ ან მეტ შრომასთან, რომლებიც ჩართულია აღწერის ერთეულში, რომელიც შეიცავს რამდენიმე ნაშრომს, მაგრამ არ გააჩნიათ კოლექტიური სათაური, უნდა იყოს მოცემული არა გამოცემის სფეროში, არამედ სფერო 1-ში, ჩვეულებრივი პუნქტუაციით (იხ. 1.1.4.2).

მაგ. National flight [Electronic resource] / by Air Flight Inc., 1995 sales ed. Navigation advisor / Interactive Mapping Corporation

2.2 პარალური ცნობები გამოცემის შესახებ (არ არის სავალდებულო).

როდესაც ინფორმაციის დაწესებული წყარო შეიცავს ცნობებს გამოცემის შესახებ რამოდენიმე ენაზე ან დამწერლობით, უნდა იყოს მოყვანილი ცნობები ძირითადი სათაურის ენაზე ან დამწერლობით. როდესაც ეს კრიტერიუმი ვერ გამოიყენება, უნდა იყოს მოცემული ის ცნობა გამოცემის შესახებ, რომელიც გამოიყოფა წიგნის გაფორმებით (ტიპოგრაფიით), ან რომელიც პირველი გვხვდება. შესაძლებელია პარალელური ცნობების მოყვანა.

მაგ. Students' ed. = Ed. pour les étudiants

2.3 გამოცემასთან დაკავშირებული ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ.

2.3.1 გამოცემასთან დაკავშირებული ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ ეხება პირებსა ან ორგანიზაციებს და შესაძლოა მიუთითონ ფუნქციები, მაგალითად: ახალი გამოცემის რედაქტორი, ან შეიძლება დაასახელოს ის პიროვნება ან ორგანიზაცია, რომლებიც პასუხისმგებელია მნიშვნელოვანი დამატებითი მასალის, აპენდიქსების და ა.შ. უზრუნველყოფაზე

მაგ. Findit [Electronic resource] / Lester Angerra. - Rev. version 3.3 / programmer, Kate

Maggor

2.3.2 როდესაც ინფორმაციის დაწესებულ წყაროში მოცემულია ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ დაკავშირებული გარკვეულ გამოცემასთან, ან გარკვეული გამოცემის ნაწილთან, და არა მოცემული ნაშრომის ყველა გამოცემასთან, ისინი უნდა იყოს მოყვანილი გამოცემის სფეროში, 1.5-ის შესაბამისად.

მაგ.

LodeStar [Electronic resource]. - Student version / with new graphics by Gerry Herin

2.3.3 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, დაკავშირებული გარკვეულ გამოცემასთან (როგორც აღწერილია 2.3.2-ში), რომელიც ამავე დროს არ ასახელებს პიროვნებას ან ორგანიზაციას ან არ ახდენს მათ სხვაგვარ იდენტიფიცირებას, უნდა იყოს მოყვანილი როგორც გამოცემის ცნობების ნაწილი (იხ. 2.1.1). ასეთი ცნობები ხშირად გვხვდება როგორც ახსნა-განმარტებითი ფრაზები.

2.3.4 გამოცემასთან დაკავშირებული შემდეგი ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ არ გადაიწერება გამოცემის სფეროში:

2.3.4.1 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული შრომის პირველ გამოცემასთან ან მის ყველა გამოცემასთან ჩაიწერება სფერო 1-ში.

2.3.4.2 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც ცალსახად არ არის დაკავშირებული შრომის მხოლოდ ერთ ან მხოლოდ ზოგიერთ გამოცემასთან ჩაიწერება სფერო 1-ში.

2.3.5 შესაძლებელია გამოცემასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის პარალელურ ცნობების მოყვანა, რომელთაც წინ უნდა უძღვოდეს ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი.

2.4 დამატებითი ცნობები გამოცემის შესახებ.

2.4.1 დამატებითი ცნობები გამოცემის შესახებ ჩაიწერება, როდესაც აღწერის ერთეული შეიცავს ფორმალურ ცნობებს, რომლებიც განსაზღვრავენ მას, როგორც გამოცემას გამოცემის ფარგლებში, ან როგორც გამოცემას, რომელიც არის პირველი დასახელებული გამოცემის ტოლფასი.

მაგ.

. - 2nd ed., Rev. version

2.4.2 დამატებითი ცნობები გამოცემის შესახებ ჩაიწერება 2.1.2-ის და 2.1.3 -ის შესაბამისად.

მაგ.

. - Test ed., 2nd ed.

2.4.3 შესაძლებელია ისეთი დამატებითი ცნობების (გამოცემის შესახებ) მოყვანა, რომლებიც განსაზღვრავენ უცვლელ ხელმოწერაზე გამოცემას.

მაგ.

. - Student version, reissued

2.4.4 შესაძლებელია პარალელური დამატებითი ცნობების (გამოცემის შესახებ) მოყვანა, რომელთაც წინ უნდა უძღვოდეს ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი.

2.5 პასუხისმგებლობის შესახებ ცნობები, რომლებიც მოსდევს დამატებით ცნობებს გამოცემის შესახებ.

2.5.1 პასუხისმგებლობის შესახებ ცნობები, რომლებიც მოსდევს დამატებით ცნობებს გამოცემის შესახებ, ჩაიწერება აღწერილობაში 2.3-ის შესაბამისად.

მაგ.

. - Version 2.4, corr. / with diagrams by Harry Weeks

2.5.2 შესაძლებელია მოყვანილ იქნას პარალელური ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც მოსდევს დამატებით ცნობებს გამოცემის შესახებ, რომელთაც წინ უნდა უძღვოდეს ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი.

3. წყაროს ტიპისა და მოცულობის აღნიშვნის სფერო

წინასწარი შენიშვნა

ქვემოთ მოყვანილი დებულებები აღწერენ ელექტრონიკის წყაროს ძირითად მახასიათებლებს. ეს მახასიათებლები შეიცავს: (ა) წყაროს ტიპის აღნიშვნას, და (ბ) ინფორმაციას წყაროს მოცულობაზე. წყაროს სხვა მახასიათებლები და სისტემის მოთხოვნები ელ. წყაროს გამოყენების პირობების თაობაზე, მოცემულია სფერო 7-ში.

ეს დებულებები არის გათვალისწინებული დისტანციური ელექტრონიკის წყაროსათვის, რომელიც გულისხმობს კომპიუტერულ სისტემასთან ელექტრონიკულ დაკავშირებულ ინფორმაციის შეტანა-გამოყვანის მოწყობილობის (მაგ. ტერმინალის) გამოყენებას მის სამართავად (მაგ. წყარო ელექტრონიკულ ქსელში). წყაროს ტიპის აღნიშვნა სავალსებულოა. წყაროს მოცულობები უნდა იყოს მოყვანილი, როდესაც ეს ინფორმაცია მოცემულია და ბიბლიოგრაფიულ სააგენტოს სურს მისი ჩაწერა. ფიზიკური დეტალები დაკავშირებული დისტანციური წყაროს და დამატებითი მასალის ხმასა და ფერთან (როდესაც ისინი მოცემულია) ჩაიწერება შენიშვნებში (იხ. 7.5.3).

ეს დებულებები ასევე შესაძლებელია იქნას გამოყენებული ლოკალური ელექტრონიკის

წყაროსათვის, რომელიც არსებობს ფიზიკური მატარებლის სახით, როგორც არის კასეტა, დისკი/დისკი, პატრონი (cartridge) ან ბაბინა (კოჭა), და დანიშნულია იმისათვის რომ მოხმარებლმა კომპიუტერში (ჩვეულებრივ მიკროკომპიუტერში) ან მასთან მიერთებულ პერიფერიული მოწყობილობაში (მაგ. CD-ROM პლეერი) მოათავსოს.

შინაარსი

3.1 წყაროს აღნიშვნა

3.2 წყაროს მოცულობა (არ არის სავალდებულო)

პუნქტუაცია

ა. წყაროს ტიპის და მოცულობის აღნიშვნის სფეროს წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი (. -).

ბ. მოცულობის შესახებ ყოველი მონაცემი ჩასმულია ერთ წყვილ ფრჩხილებში (()).

როდესაც მოცემულია ორი წყაროს აღნიშვნა, მოცულობის მონაცემით ან მათ გარეშე, წყაროს მეორე აღნიშვნას წინ უძღვის სიტყვა "და" ან მისი ეკვივალენტი სხვა ენაზე.

მაგ.

. - წყაროს აღნიშვნა

. - წყაროს აღნიშვნა (წყაროს მოცულობა)

. - წყაროს აღნიშვნა და წყაროს აღნიშვნა

. - წყაროს აღნიშვნა (წყაროს მოცულობა) და წყაროს აღნიშვნა (წყაროს მოცულობა)

3.1 წყაროს აღნიშვნა

წყაროს აღნიშვნა მიუთითებს ნაშრომის შემადგენელი წყაროს გარკვეულ ტიპს და მოცემულია ბიბლიოგრაფიული სააგენტოს ენაზე. აღნიშვნები, ინგლისურ ენაში გამოსაყენებლად მოცემულია დანართ გ-ში. ეს აღნიშვნები შესაძლოა მოცემული იყოს ინფორმაციის დაწესებულ წყაროში; როდესაც ისინი არ არის მოცემული ინფორმაციის დაწესებულ წყაროში, ისინი ჩაიწერება ფრჩხილების გარეშე, ნაშრომის შესწავლის საფუძველზე.

3.1.1 როდესაც ელექტრონული წყარო შედგება მონაცემებისაგან, ბიბლიოგრაფიულმა სააგენტომ შეიძლება წყაროს იდენტიფიცირებისათვის შეარჩიოს ტერმინი "ელექტრონული მონაცემები" ან "მონაცემები" (თუ მასალის ზოგადი აღნიშვნა მოცემულია ბიბლიოგრაფიულ აღწერაში); ან ბიბლიოგრაფიულ სააგენტოს შეუძლია განსაზღვროს მონაცემების გარკვეული ტიპი გ დანართში მოცემული აღნიშვნების ჩამონათვალს გამოყენებით. როდესაც არც ერთი ეს ტერმინი არ არის მისაღები, შესაძლებელია მისაღები აღნიშვნის მოყვანა, სიტყვა "ელექტრონულის" დამატებით, ან

მარტო ამ სიტყვის გამოყენება, თუ მასალის ზოგადი აღნიშვნა მოცემულია აღწერილობაში. იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშვნა დაემატება აღწერისას, უპირატესობა ენიჭება იმ ტერმინს, რომელიც დღეისათვის ფართოდაა დანერგილი, როგორც მწარმოებლების, ასევე მომხმარებლების გარკვეულ წრეში, და ურთიერთგამომრიცხავია აღნიშვნელის სახით გამოყენებულ სხვა ტერმინებთან მიმართებაში.

მაგ.

- ელექტრონული მონაცემები
- ელექტრონული ციფრული მონაცემები
- ელექტრონული აღწერილობის მონაცემები
- ელექტრონული ტექსტური მონაცემები
- ელექტრონული ჟურნალი
- ელექტრონული გამოსახულება
- ელექტრონული ანგარიში
- ელექტრონული რუქა
- ელექტრონული ბგერითი მონაცემები
- ელექტრონული შრიფტი

3.1.2 როდესაც ელ.წყარო შედგება პროგრამის(ებისაგან) ბიბლიოგრაფიულმა სააგენტომ შესაძლებელია აირჩიოს წყაროს იდენტიფიცირებისათვის ტერმინი "ელექტრონული პროგრამა(ები)" ან "პროგრამა(ები)" (თუ მასალის ზოგადი აღნიშვნა მოცემულია ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში). ან, სააგენტოს შეუძლია მიუთითოს პროგრამის განსაკუთრებული ტიპი, გ დანართში მოცემული ჩამონათვალის გამოყენებით. როდესაც არც ერთი ეს ტერმინი არ არის მისაღები, შესაძლებელია მისაღები აღნიშვნის მოყვანა, სიტყვა "ელექტრონულის" დამატებით, ან მარტო ამ სიტყვის გამოყენება, თუ მასალის ზოგადი აღნიშვნა მოცემულია აღწერილობაში. იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშვნა დაემატება აღწერისას, უპირატესობა ენიჭება იმ ტერმინს, რომელიც დღეისათვის ფართოდაა დანერგილი, როგორც მწარმოებლების, ასევე მომხმარებლების გარკვეულ წრეში, და ურთიერთგამომრიცხავია აღნიშვნელის სახით გამოყენებულ სხვა ტერმინებთან მიმართებაში.

მაგ.

- ელექტრონული გამოყენებითი პროგრამა
- ელექტრონული CAD პროგრამა
- ელექტრონული მონაცემთა ბაზის პროგრამა
- ელექტრონული ცხრილის პროგრამა

- ელექტრონული თამაში
- ელექტრონული სისტემური პროგრამები
- ელექტრონული ოპერაციული სისტემის პროგრამა
- ელექტრონული საძიებელი პროგრამა
- ელექტრონული ტექსტის კორექტურის პროგრამა
- ელექტრონული პროგრამა პროგრამირების ენაზე

3.1.3 როდესაც ელექტრონული წყარო შედგება მონაცემებისა და პროგრამებისაგან, ბიბლიოგრაფიულმა სააგენტომ შეიძლება აირჩიოს მისი იდენტიფიცირებისათვის ტერმინი "ელექტრონული მონაცემები და პროგრამები" ან "მონაცემები და პროგრამა(ები)" (თუ მასალის ზოგადი აღნიშვნა მოცემულია აღწერაში). ან, სააგენტოს შეუძლია მიუთითოს მონაცემებისა და პროგრამის განსაკუთრებული ტიპი, გ დანართში მოცემული ჩამონათვალის გამოყენებით. ამ ჩამონათვალის ტერმინებთან ერთად შესაძლებელია ტერმინების "ინტერაქტიული მულტიმედია" და "დიალოგური სერვის(ებ)ი" გამოყენება, ისევე, როგორც ამ ტერმინების გამოყენება დამოუკიდებლად. როდესაც არც ერთი ეს ტერმინი არ არის მისაღები, შესაძლებელია მისაღები აღნიშვნის მოყვანა, სიტყვა "ელექტრონულის" დამატებით, ან მართა ამ სიტყვის გამოყენება, თუ მასალის ზოგადი აღნიშვნა მოცემულია აღწერილობაში. იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშვნა დაემატება აღწერისას, უპირატესობა ენიჭება იმ ტერმინს, რომელიც დღეისათვის ფართოდაა დანერგილი, როგორც მწარმოებლების, ასევე მომხმარებლების გარკვეულ წრეში, და ურთიერთგამომრიცხავია აღმნიშვნელის სახით გამოყენებულ სხვა ტერმინებთან მიმართებაში.

მაგ.

- ელექტრონული მონაცემები და პროგრამა
- ელექტრონული გამოსახულება და საძიებელი პროგრამა
- ელექტრონული ანგარიშისა მონაცემები და ცხრილის პროგრამა
- ელექტრონული დოკუმენტი და ტექსტის კორექტურის პროგრამა
- ელექტრონული ინტერაქტიული მულტიმედია თამაში
- ელექტრონული დიალოგური სერვისის ბიბლიოგრაფიული მონაცემების ბაზა
- ელექტრონული ინტერაქტიული მულტიმედია

3.1.4 როდესაც ელექტრონული მონაცემები ან პროგრამები არარსებითია (არ არის უმთავრესი წყაროში), რეკომენდირებულია, რომ ბიბლიოგრაფიულმა სააგენტომ გამოიყენოს მთავარი ტერმინი.

მაგ.

- ელექტრონული პროგრამა

რედაქტორის შენიშვნა: მონაცემები წყაროში არარსებითია

3.2 წყაროს მოცულობა (არ არის სავალდებულო)

წყაროს მოცულობა შესაძლებელია იყოს მოყვანილი, როდესაც ეს ინფორმაცია მოცემულია და ბიბლიოგრაფიულ სააგენტოს სურს მისი ჩაწერა. როდესაც წყარო შეკუმშულ ფორმაშია, ბიბლიოგრაფიულმა სააგენტომ შეიძლება უფლებბელყოს ეს ინფორმაცია. წყაროს მოცულობა შედგება პროგრამის ან მონაცემების ფაილების რაოდენობისაგან, მათი შესაბამისი მოცულობების დამატებით. ცნობები წყაროს მოცულობის შესახებ ჩაიწერება ფრჩხილებში წყაროს აღნიშვნის შემდეგ. წყაროს მოცულობის აღმნიშვნელი სპეციფიური ტერმინები ჩაიწერება ბიბლიოგრაფიული სააგენტოს ენაზე. რეკომენდირებულია ტერმინები, ინგლისურ ენაზე, მოცემულია მაგალითებში.

3.2.1 მონაცემების ან პროგრამის(ების) შემადგენელი ფაილების რიცხვი ჩაიწერება არაბული ციფრებით.

მაგ.

- ელექტრონული დოკუმენტი (1 ფაილი)

- ელექტრონული გამოყენებითი პროგრამა (3 ფაილი)

- ელექტრონული CAD პროგრამა (17 ფაილი)

- ელექტრონული ტექსტური მონაცემები (5 ფაილი) და საძიებელი პროგრამა (1 ფაილი)

3.2.2 მონაცემების სახის წყაროსათვის შეიძლება მოცემული იყოს ჩანაწერებისა და/ან ბაიტების რიცხვი, ხოლო პროგრამებისათვის შეიძლება იყოს მოცემული ბრძანებების და/ან ბაიტების რიცხვი. როდესაც ფაილების რაოდენობა მოცემულია, შემდგომი ცნობები მოცულობის შესახებ ჩაიწერება ინტერვალის, ორი წერტილის, ინტერვალის შემდეგ. ბაიტების რაოდენობა შეიძლება სხვადასხვანაირად იყოს გამოსახული (მაგ. "მეგაბაიტები", "MB", "მზაბაიტები"), მაგრამ იმ ფორმით, როგორც მოცემულია წყაროში. წყაროს კოდური მონაცემების პროგრამული ენა ჩაიწერება შენიშვნაში (იხ.7.5.1).

მაგ.

- ელექტრონული საანგარიშო მონაცემები (800 ჩანაწერი, 131 550 ბაიტი)

- ელექტრონული სისტემური პროგრამა (1 ფაილი : 997 ბრძანება)

- ელექტრონული ტექსტური მონაცემები (2 ფაილი : 1,6 მეგაბაიტი)

- ელექტრონული მონაცემები (1 ფაილი : 1,2 გბ) და პროგრამა (1 ფაილი : 2510 ბრძანება)

3.2.3 მრავალ ნაწილიანი წყაროსათვის შესაძლოა იყოს მოცემული ჩანაწერის და/ან ბაიტების რაოდენობა ან ბრძანებების და/ან ბაიტების რიცხვი, ყოველი შემადგენელი წყაროსათვის. როდესაც რიცხვები ბევრი ან რთულია, ისინი შესაძლებელია იყოს მოცემული შენიშვნაში (იხ.7.3)

მაგ.

- ელექტრონული მონაცემები (2 ფაილი : 800, 1250 ჩანაწერი, 2 მბაიტი)
- ელექტრონული გამოსახულება (ნახატი) (7 ფაილი : ყოველი 6700 ჩანაწერით)
- ელექტრონული სისტემური პროგრამა (2 ფაილი : 1,2, 1,5 მბ)
- ელექტრონული მონაცემები (2 ფაილი : ყოველი 2540 ჩანაწერით და პროგრამები (3 ფაილი : 7260, 3490, 5076 ბაიტი)
- ელექტრონული ბგერითი მონაცემები (4 ფაილი)

შენიშვნა: წყაროს მოცულობა: 11000, 33006, 55007, 91325 ბაიტი

3.2.4 ჩანაწერის და/ან ბაიტების რიცხვი ან მონაცემების და/ან ბაიტების რაოდენობა შეიძლება იყოს მიახლოებითი (დამრგვალებული). როდესაც ზუსტი შეფასება ვერ ხერხდება, შენიშვნაში შეიძლება იყოს მოცემული მდგომარეობის ამსახველი ცნობები (იხ.7.3).

მაგ.

- ელექტრონული გამოსახულება (დაახლ. 3000-4000 ჩანაწერი)
- ელექტრონული სისტემური პროგრამები (23 ფაილი : ყოველი დაახლ. 35000 ბაიტი)
- ელექტრონული მონაცემები (6 ფაილი : დაახლ. 1,2 გბ)
- ელექტრონული ტექსტი (12 ფაილი)

შენიშვნა: წყაროს მოცულობა ცვალებადია

4. გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. ცნობების სფერო.

წინასწარი შენიშვნა

ტერმინი "გამოქვეყნება, წარმოება ან გავრცელება", რომელიც ნახმარია 4.1-4.4 სექციებში, მოიცავს ყველა სახის გამოქვეყნების, გამოცემის, გავრცელების, გამოსვლის და გამოშვების საქმიანობას. ეს საქმიანობა არ გულისხმობს მხოლოდ ფიზიკურ წარმოებას (იხ. 4.5-4.7), თუმცა შესაძლოა ორივეს ასრულებს ერთი და იგივე პიროვნება ან ორგანიზაცია. როდესაც პიროვნება ან ორგანიზაცია ათავსებს პუბლიკაციის, გამოცემის, გავრცელების და ა.შ. საქმიანობას ფიზიკური წარმოების საქმიანობასთან ან როდესაც გაურკვეველია აღნიშნული პიროვნება თუ ორგანიზაცია პასუხისმგებელია პუბლიკაციის, გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. საქმიანობაზე, თუ მხოლოდ ფიზიკური წარმოებაზე; ცნობები განიხილება, როგორც დაკავშირებული პუბლიკაციასთან, გამომცემლობასთან და ა.შ..

ISBD(ER)-ის კონტექსტში ყველა დისტანციური ელექტრონული წყარო ჩაითვლება გამოქვეყნებულად.

4.1 გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. ადგილი.

4.2 გამომცემელი, გამავრცელებელი და ა.შ.

4.3 ცნობები გამავრცელებლის ფუნქციების შესახებ (არ არის სავალდებულო)

4.4 გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. თარიღი.

4.5 წარმოების ადგილი (არ არის სავალდებულო).

4.6 მწარმოებელი (არ არის სავალდებულო).

4.7 წარმოების თარიღი (არ არის სავალდებულო).

პუნქტუაცია

ა. გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. სფეროს წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი (. -).

ბ. მეორე ან შემდგომ ადგილს წინ უძღვის ინტერვალი, წერტილ-მძიმე, ინტერვალი (;),

გ. ყოველ სახელს (სახელწოდებას) წინ უძღვის ინტერვალი, ორი წერტილი, ინტერვალი (:),

დ. ცნობები გამავრცელებლის ფუნქციების შესახებ ჩაისმება კვადრატულ ფრჩხილებში (□),

ე. თარიღს წინ უძღვის მძიმე, ინტერვალი (,),

ვ. საწარმოს სახელწოდება, მწარმოებლის სახელი, წარმოების თარიღი ჩასმულია ერთ წყვილ ფრჩხილებში (()). ფრჩხილების შიგნით იხმარება იგივე პუნქტუაცია, რაც ბ, გ, და ე შემთხვევებში.

მაგ.

. - გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. ადგილი : გამომცემელი, გამავრცელებელი და ა.შ., თარიღი

. - გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. ადგილი : გამომცემელი, გამავრცელებელი და ა.შ. ; გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. ადგილი : გამომცემელი, გამავრცელებელი და ა.შ., თარიღი

. - გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. ადგილი ; გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. ადგილი : გამომცემელი, გამავრცელებელი და ა.შ., თარიღი (წარმოების ადგილი : მწარმოებელი, თარიღი)

. - გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. ადგილი : გამომცემელი, გამავრცელებელი და ა.შ., თარიღი ; გავრცელების ადგილი : გამავრცელებელი [ფუნქცია], თარიღი

4.1 გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. ადგილი

4.1.1 გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. ადგილი არის ქალაქი ან სხვა ადგილი, რომელიც ინფორმაციის დაწესებულ წყაროში დაკავშირებულია გამომცემლის ან პროდიუსერის ან გამავრცელებლის სახელთან (ან ძირითადი გამომცემლის ან პროდიუსერის სახელთან, თუ ერთზე მეტი სახელია მოყვანილი). თუ არ არის მოცემული, გამომცემლის, პროდიუსერის ან გამავრცელებლის სახელი, ეს ის ადგილია, საიდანაც მოხდა წყაროს გამოქვეყნება ან გავრცელება.

4.1.2 თუ ცნობილია, რომ მონაცემები ინფორმაციის დაწესებულ წყაროში არ არის მართებული, შესაძლებელია შესწორების მოცემა აქვე (კვადრატულ ფრჩხილებში) (იხ. 0.1.10) ან სფერო 7-ში.

მაგ.

. - London [i.e. Maidenhead]

. - Dublin

შენიშვნა: Known to be published in Belfast

4.1.3. როდესაც ერთსა და იმავე გამომცემელთან, გამავრცელებელთან და ა.შ. ერთზე მეტი ადგილი ასოცირდება, ცნობებში ჩაიწერება ტიპოგრაფიულად ან მიმდევრობით გამორჩეული ადგილი. როდესაც არ არის ტიპოგრაფიული სხვაობა და ეს ადგილი არ არის მოხსენებული მიმდევრობაში, ჩაიწერება ის ადგილი, რომელსაც ბიბლიოგრაფიული სააგენტო უფრო მნიშვნელოვნად ჩათვლის.

4.1.4 შესაძლებელია მეორე ან შემდგომი ადგილის მოყვანა.

4.1.5 როდესაც მეორე ან შემდგომი ადგილი გამოტოვებულია, ეს შესაძლებელია მითითებული იყოს "და ა.შ."-ით ან მისი ეკვივალენტით სხვა ენაზე, კვადრატულ ფრჩხილებში.

მაგ.

. - Toronto [etc.]

4.1.6 როდესაც მოცემულია ერთზე მეტი გამომცემელი ან პროდიუსერი, გამოცემის ადგილი ყოველი გამომცემლის ან პროდიუსერისათვის მოცემული უნდა იყოს უშუალოდ სახელის (სახელწოდების) წინ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამოცემის ადგილი იგივეა, რაც პირველი გამომცემლის ან პროდიუსერისათვის.

მაგ.

. - New York : Columbia University ; Boston : Computer Research Institute

4.1.7 როდესაც მოცემულია გამომცემელიც, პროდიუსერიც, გამავრცელებელიც და ა.შ., გავრცელების ადგილი ჩაიწერება ცნობებში თუკი ის განსხვავებულია გამოქვეყნების და ა.შ. ადგილისაგან.

მაგ.

. - Washington (D.C.) : U.S. Bureau of the Census ; Rosslyn (Va.) : distributed by DUALabs

4.1.8 გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. ადგილი ჩაიწერება იმ ორთოგრაფიული და გრამატიკული ფორმით, როგორც ის მოცემულია წყაროში.

მაგ.

. - V Praze

4.1.9 თუ ჩაითვლება, რომ იდენტიფიკაციისათვის საჭიროა დამატებით ისეთი მახასიათებელი, როგორცაა ქვეყნის, შტატი და ა.შ. სახელწოდება, იგი შესაძლებელია დაემატოს გამომცემლობის, წარმოების ან გავრცელების ადგილს. იგი ჩაისმება ფრჩხილებში თუ აღებულია უშუალოდ ინფორმაციის დაწესებული წყაროდან ან კვადრატულ ფრჩხილებში, თუ გადაიწერება სხვა წყაროდან.

მაგ.

. - Cambridge (Mass.)

. - Santiago [Chile]

როდესაც ჩაითვლება, რომ იდენტიფიკაციისათვის საჭიროა გამომცემლის, გამავრცელებლის და ა.შ. სრული მისამართი, შესაძლებელია მისი დამატება. იგი ჩაისმება ფრჩხილებში თუ აღებულია უშუალოდ ინფორმაციის დაწესებული წყაროდან ან კვადრატულ ფრჩხილებში, თუ გადაიწერება სხვა წყაროდან.

მაგ.

. - Cupertino (CA) (10648 Gascoigne Dr., Cupertino 95014)

4.1.10 თუ ჩაითვლება, რომ იდენტიფიკაციისათვის საჭიროა ადგილის სახელწოდების ალტერნატიული ან შესწორებული ვერსია, შესაძლებელია მისი დამატება (იხ. 0.10) (ჩაისმება კვადრატულ ფრჩხილებში).

მაგ.

. - Leningrad [i.e. St. Petersburg]

. - Lerpwl [i.e. Liverpool]

4.1.11 როდესაც გამოცემის, გავრცელების და ა.შ. ადგილის სახელწოდება მოცემულია ინფორმაციის დაწესებულ წყაროში ერთზე მეტ ენაზე და/ან შრიფტში, ცნობებში ჩაიწერება სახელწოდება იმ ფორმით, რომელიც გამოყოფილია ტიპოგრაფიულად ან, თუ არ არის ტიპოგრაფიული განსხვავება, მისი პირველი მოცემული ფორმით. თუ არ სრულდება არც ერთი ეს პირობა, გამოიყენება წყაროს ენის შესაბამისი ლინგვისტური ფორმა.

4.1.12 შესაძლებელია პარალელური ცნობების მოყვანა. მათ წინ უნდა უძღვოდეს ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი. თუ ეს ცნობები არ არის მოცემული, გამოტოვების ნიშანი არ მიეთითება.

4.1.13. როდესაც გამოცემის, გავრცელების და ა.შ. ადგილი არსად არ არის მოხსენებული წყაროში, მაგრამ იგი ცნობილია, ამ ქალაქის სახელწოდება ჩაიწერება კვადრატულ ფრჩხილებში. თუ ქალაქი ზუსტად არ არის ცნობილი, ან უცნობია, შესაძლებელია ქალაქის სახელწოდების მოყვანა კითხვის ნიშნით, კვადრატულ ფრჩხილებში.

მაგ.

. - [Paris]

. - [Prague?]

4.1.14 როდესაც ქალაქის სახელწოდების მოყვანა შეუძლებელია, ჩაიწერება შტატის, პროვინციის ან ქვეყნის სახელწოდება, იმავე წესებით, როგორც ქალაქების სახელწოდებებისათვის.

მაგ.

. - Canada

სარედაქციო შენიშვნა: Known as place of publication; appears in prescribed source.

. - [Surrey]

სარედაქციო შენიშვნა: Known as place of publication; appears outside prescribed source.

. - [France?]

სარედაქციო შენიშვნა: Uncertain as place of publication.

4.1.15 როდესაც ადგილის მოყვანა შეუძლებელია, მოცემული უნდა იქნეს აბრევიატურა "s.l." (sine loco) ან მისი ეკვივალენტი სხვა დამწერლობით, კვატრატულ ფრჩხილებში.

მაგ. . - [S.l.]

4.2 გამომცემელი, გამავრცელებელი და ა.შ.

4.2.1 როდესაც ერთზე მეტი გამომცემელი ან პროდიუსერი არის მოხსენებული ინფორმაციის დაწესებულ წყაროში, ჩაიწერება ის სახელი (სახელწოდება), რომელიც გამოყოფილია ტიპოგრაფიით, თუ ტიპოგრაფიული განსხვავება არ არის, ჩაიწერება პირველი მოცემული სახელი. თუ ტიპოგრაფიული განსხვავება და სახელთა ჩამონათვალი არ არის, ჩაიწერება ის სახელი (სახელწოდება), რომელსაც

ბიბლიოგრაფიული სააგენტო ჩათვლის ყველაზე მნიშვნელოვანად.

მაგ.

. - New York : Softtext

სარედაქციო შენიშვნა: მეტად მნიშვნელოვანი გამომცემლის სახელწოდება.

. - London : BPI Systems

სარედაქციო შენიშვნა: პირველი მოცემული გამომცემლის სახელწოდება.

4.2.2 შესაძლებელია მეორე და მომდევნო გამომცემლის, გამავრცელებლის და ა.შ. მოყვანა.

მაგ.

. - Waterloo [Ontario] : Leisure Studies Data Inc. ; Chicago : National Opinion Research Center

4.2.3 როდესაც მეორე ან მომდევნო გამომცემელი, გამავრცელებელი და ა.შ. გამოტოვებულია, ეს შესაძლებელია მითითებული იყოს "და ა.შ." ნიშნით ან მისი ეკვივალენტით სხვა შრიფტში, კვადრატულ ფრჩხილებში.

მაგ.

. - Chicago : American Association of Individual Investors [etc.]

4.2.4 როდესაც ინფორმაციის დაწესებულ წყაროში მოცემულია როგორც გამომცემელი ასევე გამავრცელებელი და ა.შ., შესაძლებელია ცნობებში მოყვანილ იქნეს გამავრცელებლის სახელი (სახელწოდება). როდესაც გამავრცელებლის სახელი (სახელწოდება) მოცემულია სხვა წყაროში, ის შესაძლებელია ჩაწერილ იქნეს სფერო 7-ში. თუ მხოლოდ გამავრცელებელია მოხსენებული, ის უნდა იყოს მოცემული ცნობებში.

მაგ. . - Ann Arbor (Mich.) : Social Science Group : Inter-university Consortium for Political Research

4.2.5 გამომცემელი ასევე გამავრცელებელი და ა.შ. შესაძლებელია მოცემული იქნეს შემოკლებული ფორმით, თუკი ამგვარად იგი განისაზღვრება გასაგებად და ორაზროვნების გარეშე.

მაგ. : Xanara

სარედაქციო შენიშვნა: გამომცემლის სახელწოდება სრულად არის Xanara Technologies.

: Addison-Wesley

სარედაქციო შენიშვნა: გამომცემლის სახელწოდება სრულად არის Addison-Wesley Publishing Company.

4.2.6 როდესაც გამომცემელი, გამავრცელებელი და ა.შ. სრულად მოცემულია სფერო 1-ში, სფერო 4-ში შესაძლებელია ან სრული ფორმის გამეორება ან შემოკლებული ფორმის ჩაწერა ან მისი განმსაზღვრელი ფრაზის მოყვანა. კვადრატული ფრჩხილები არ გამოიყენება ასეთი მოკლე ფორმებისათვის, რომლებიც მოყვანილია სრული ფორმის ნაცვლად, მაშინაც კი, როცა მოკლე ფორმა არ არის მოცემული ინფორმაციის დაწესებულ წყაროში.

მაგ.

Chemical properties database [Electronic resource] / National Chemical Data Board. - Malden (MA)
: The Board

Social science citation index [Electronic resource] / Institute for Scientific Information. -
[Philadelphia] : The Institute

4.2.7 როდესაც გამომცემელი, გამავრცელებელი და ა.შ. მოყვანილია ინფორმაციის დაწესებულ წყაროში ერთზე მეტ ენაზე და/ან დამწერლობით, ჩაიწერება სახელის (სახელწოდების) ის ფორმა, რომელიც გამოყოფილია ტიპოგრაფიულად ან თუ არ არის ტიპოგრაფიული განსხვავება - პირველი მოცემული ფორმა. თუ არც ერთი კრიტერიუმი არ სრულდება, ცნობებში გამოიყენება პუბლიკაციის ენის შესაბამისი ფორმა.

4.2.8 შესაძლებელია პარალელური ცნობების მოყვანა. მათ წინ უნდა უძღვოდეს ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი. თუ ეს ცნობები არ არის მოცემული, გამოტოვების ნიშანი არ მიეთითება.

4.2.9 მწარმოებლის სახელი (სახელწოდება) არ გამოიყენება უცნობი გამომცემლის, გამავრცელებლის და ა.შ. -ის ნაცვლად. მაგრამ, როდესაც პიროვნება ან ორგანიზაცია ათავსებს წარმოებას და გამოცემას ან გავრცელებას ან როდესაც მისი პასუხისმგებლობის სფერო გაურკვეველია, იგულისხმება, რომ ნახსენები მწარმოებელი არის აგრეთვე გამომცემელი ან პროდიუსერი.

4.2.10 როდესაც შეუძლებელია გამომცემლის, გამავრცელებლის და ა.შ. დასახელება, ცნობებში ჩაიწერება აბრევიატურა "s.n" (sine nomine) ან მისი ეკვივალენტი სხვა ენაზე, ჩასმული კვადრატულ ფრჩხილებში.

მაგ.

. - Paris : [s.n.]

. - [S.l. : s.n.]

4.3 ცნობები გამავრცელებლის ფუნქციების შესახებ (არ არის სავალდებულო)

4.3.1 როდესაც ინფორმაციის დაწესებული წყარო შეიცავს, როგორც გამოცემის ან პროდუქციის შესახებ ცნობების არსებით ნაწილს, მონაცემებს გამავრცელებლის ფუნქციის შესახებ, ეს ცნობები სრულად გადაიწერება ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში.

მაგ.

. - Arlington (Va.) : Trans Video ; New London (CT) : distributed by Triangle Digital Inc.

4.3.2 როდესაც გამავრცელებლის მიერ შესრულებული ფუნქციები არ არის ცხადად ჩამოყალიბებული, შესაძლებელია მოკლე სიტყვის ან ფრაზის დამატება კვადრატულ

ფრჩხილებში, რომელიც მიუთითებს საქმიანობის არსს.

მაგ.

. - Ames (Iowa) : University of Iowa ; Columbus (Ohio) : Center for Human Resource Research
[distributor]

4.4 გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. თარიღი

4.4.1 მოცემული უნდა იქნეს აღწერის ერთეულის გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. თარიღი.

მაგ. . - St. Paul (Minn.) : Quanta Press, 1995

ინტერაქტიული სერვისის ან სხვა დინამიური წყაროს შემთხვევაში (მაგ. ვებ საიტები), შესაძლებელია აგრეთვე ჩაიწეროს შენიშვნის სახით წყაროში მითითებული თვე, დღე და წელი (იხ. 7.9).

4.4.2 როდესაც ერთი და იგივე თარიღი ეხება გამოცემას, გავრცელებს და ა.შ. ან ერთზე მეტ გამოცემებს, გამავრცელებელს და ა.შ., იგი უნდა იქნეს მოცემული უკანასკნელი სახელის (სახელწოდების) ან ფუნქციების ცნობების შემდეგ.

მაგ.

Las Vegas (NV) : Starburst Designs ; San Diego (CA) : Interactive Data Corp.

[distributor], 1994

4.4.3 თუ გამოცემის ან გამოქვეყნების თარიღი განსხვავდება გავრცელების თარიღისაგან, ყოველი თარიღი უნდა იქნეს მოცემული შესაბამისი სახელის ან ფუნქციის ცნობების შემდეგ.

მაგ. . - Seattle (Wash.) : Laser Learning Technologies, 1993 ; Hardwick (VT) : Optical Transfer
[distributor], 1995

4.4.4 გრიგორიანული კალენდარის თარიღები უნდა იქნეს მოცემული არაბული რიცხვებით. არა გრიგორიანული კალენდარის თარიღები მოცემული უნდა იქნეს ისე, როგორც ისინი არიან მოყვანილი აღწერის ერთეულში, გრიგორიანული კალენდარის ეკვივალენტური თარიღის დამატებით კვადრატულ ფრჩხილებში, როდესაც ეს შესაძლებელია.

მაგ.

, 1969

, 5730 [1969 or 1970]

, 4308 [1975]

4.4.5 როდესაც ცნობილია, რომ თარიღი, რომელიც მოყვანილია წყაროში, არ არის სწორი, იგი გადაიწერება ისე, როგორც არის მოცემული და დაემატება შესწორება კვადრატულ ფრჩხილებში.

მაგ.

, 1897 [ანუ 1987]

4.4.6 როდესაც წყაროში არ არის გამოცემის, გავრცელების და ა.შ. თარიღი, მის ნაცვლად ჩაიწერება საავტორო უფლების ან წარმოების თარიღი. ორივე თარიღს უნდა გაუკეთდეს შესაბამისი შენიშვნა.

მაგ.

, cop. 1995

4.4.7 გამოცემის, გავრცელების და ა.შ. თარიღს შესაძლებელია დაემატოს საავტორო უფლების თარიღი, როდესაც ბიბლიოგრაფიული სააგენტო ამას ჩათვლის საჭიროდ.

მაგ.

, 1995, cop. 1993

4.4.7.1 როდესაც მოცემულია საავტორო უფლების რამდენიმე თარიღი, რომლებიც ეხება ალწერის ერთეულის წარმოების სხვადასხვა ასპექტს (მაგ. სხვადასხვა საავტორო უფლების თარიღი პროგრამის დაწერისათვის, ხმოვანი გაფორმების, ნახატების და დოკუმენტაციის შექმნისათვის) და არ არის მოყვანილი ალწერის ერთეულის, როგორც ერთიანობის, გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. თარიღი, ალწერილობაში ჩაიწერება ყველაზე გვიანი საავტორო უფლების თარიღი. არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ თარიღი დაკავშირებულია ალწერის ერთეულის შექმნის მხოლოდ ერთ ასპექტთან (იხ. აგრეთვე 4.4.11)

მაგ.

, cop. 1995

სერედაქციო შენიშვნა: თარიღი შეესაბამება დაწერილ პროგრამას; უფრო ადრინდელი თარიღები შეესაბამება ხმოვან ჩანაწერს და დოკუმენტაციას.

4.4.8 როდესაც ალწერის ერთეულისათვის შეუძლებელია გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. და საავტორო უფლების ან ფიზიკური წარმოების თარიღების განსაზღვრა, კვადრატულ ფრჩხილებში ჩაიწერება გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. მიახლოებითი თარიღი.

მაგ.

, [ca. 1994]

, [1992?]

, [199-?]

4.4.9 მრავალი ნაწილისაგან შედგენილი წყაროს ალწერისათვის, რომელიც გამოიცემოდა ან ქვეყნდებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში, უნდა იქნეს მოცემული დეფისით შეერთებული პირველი და ბოლო ნაწილების გამოქვეყნების თარიღები.

მაგ. , 1993-1995

4.4.10 როდესაც ასეთი აღწერის ერთეულის ყველა ნაწილი ჯერ არ არის მიღებული, უნდა იქნეს მოცემული პირველი გამოცემული ნაწილის თარიღი, რომელსაც მოსდევს დეფისი.

მაგ. , 1995-

4.4.11 როდესაც საავტორო უფლება მოცემულია შედგენილ აღწერის ერთეულში შემავალი ყველა შრომისათვის, ეს თარიღები არ გადაიწერება გამოცემის, გავრცელების და ა.შ ცნობების სფეროში. შესაძლებელია მათი ჩაწერა ან შენიშვნებში გამოცემის, გავრცელების და ა.შ. შესახებ (იხ. 7.4) ან შენიშვნებში შინაარსის შესახებ(იხ.7.7); ან დამატება ა-ში განხილული აღწერის მრავალდონიანი მეთოდი უნდა იქნეს გამოყენებული.

4.5 წარმოების ადგილი (არ არის სავალდებულო)

და

4.6 მწარმოებელი (არ არის სავალდებულო)

4.5.1 და 4.6.1 წარმოების ადგილი და მწარმოებელი უნდა იქნეს მოყვანილი აღწერის ერთეულში, როდესაც ისინი მოცემულია წყაროში და ამავე დროს გამოცემის, გავრცელების და ა.შ. ადგილი და გამომცემელი, გამავრცელებელი და ა.შ. უცნობია.

მაგ.

. - [S.I. : s.n.], 1996 (Seattle: Landmark Data Systems)

4.5.2. და 4.6.2 როდესაც წარმოების ადგილი და მწარმოებელი მოცემულია წყაროში, შესაძლებელია მათი დამატება გამოცემის, გავრცელების და ა.შ. ადგილის და/ან გამომცემლის, გამავრცელებლის და ა.შ. შემდეგ.

მაგ.

. - Urbana (Ill.) : University of Illinois at Urbana-Champaign, Laboratory for Advanced

Supercomputers, 1995 (Tokyo : Zishi)

4.5.3 და 4.6.3 როდესაც მოცემულია რამოდენიმე წარმოების ადგილი ან მწარმოებელი, გამოიყენება იგივე პუნქტუაცია რაც გამოცემის, გავრცელების და ა.შ. რამოდენიმე ადგილის ან რამოდენიმე გამომცემლის, გამავრცელებლის და ა.შ. შემთხვევაში.

4.7 წარმოების თარიღი (არ არის სავალდებულო)

4.7.1 როდესაც წარმოების თარიღი გამოყენებულია გამოცემის, გავრცელების და ა.შ. უცნობი თარიღის ნაცვლად (იხ. 4.4.6), იგი აქ აღარ მეორდება.

4.7.2 როდესაც წარმოების თარიღი განსხვავებულია უკვე მოცემული ცნობილი თარიღებისაგან (გამოცემის, გავრცელების და ა.შ. ან საავტორო უფლების თარიღი), ის აგრეთვე უნდა იყოს მოყვანილი.

4.7.3 წარმოების თარიღი შესაძლებელია იქნეს მოყვანილი როგორც ელემენტი რომელიც მოსდევს მწარმოებლის სახელს (სახელწოდებას) ან თავისთავად. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სიტყვა ან მოკლე ფრაზა ემატება თარიღის სახეობის დასაზუსტებლად.

მაგ.

, [generated] 1996

5. ფიზიკური აღწერილობის სფერო

წინასწარი შენიშვნა

ქვემოთ მოყვანილი დებულებები აღწერენ ლოკალურ ელექტრონულ წყაროს, ე.ი. წყაროს, რომელიც არსებობს ფიზიკურ მატარებელში (-ზე), როგორც არის კასეტა, დისკი/დისკი, ბაზინა და სხვა; რომელიც არის განკუთვნილი იმისათვის, რომ მომხმარებელმა კომპიუტერში (მიკროკომპიუტერში) ან მასთან დაკავშირებულ

პერიფერიულ მოწყობილობაში ჩადგას (მაგ. CD-ROM საკრავში). კომპიუტერული ტექნოლოგია მუდმივად იცვლება და საჭირო იქნება ამ დებულებების შესწორება ახალი ფიზიკური მატარებლების გასათვალისწინებლად.

თუ აღწერილობაში მოსაყვანია წყაროს მახასიათებლები, რომლებიც დაკავშირებულია წყაროს ტიპის აღნიშვნასთან (მაგ. მონაცემები, პროგრამა) და მოცულობასთან (მაგ. მისი შემადგენელი პროგრამების რიცხვი), ისინი ჩაიწერება სფერო 3-ში. დისტანციური ელექტრონული წყაროსათვის (მაგ. ქსელური წყაროსათვის) არ კეთდება ფიზიკური აღწერილობა (იხ. სფერო 3).

როდესაც აღსაწერი ერთეული არსებობს სხვადასხვა ტიპის ან ზომის მატარებელზე (მაგ. კასეტა და დისკი ან 9სმ და 14 სმ დისკები), ან სხვადასხვა გამოსახვის საშუალების ან ფორმატის სახით, ბიბლიოგრაფიულმა სააგენტომ უნდა აირჩიოს მისი აღწერისათვის ორიდან ერთ-ერთი მეთოდი:

(1) ყველა განსხვავებული ფიზიკური მატარებელი იქნეს აღწერილი ერთსა და იმავე ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში, ისე, რომ ყოველმა მატარებელმა დაიკავოს ცალკეული სტრიქონი ან სხვაგვარად იქნეს დაჯგუფებული აღწერის ცალკეულ ხაზში.

მაგ.

. - 1 electronic optical disc : sd., col. ; 12 cm

. - 3 electronic disks : sd., col. ; 9 cm

. - 1 user guide (225 p.) ; 23 cm

სარედაქციო შენიშვნა: განსხვავებული ფიზიკური მატარებლები, რომლებიც აღწერილობის სხვადასხვა სტრიქონს იკავებენ

ან

(2) ყოველი განსხვავებული ფიზიკური მატარებელი იქნეს აღწერილი სხვადასხვა ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში.

მაგ.

. - 1 electronic optical disc : sd., col. ; 12 cm

როდესაც ინტერაქტიული მულტიმედია სახის აღწერის ერთეული განთავსებულია ორ ან მეტ ფიზიკურ მატარებელში (-ზე) (მაგ. ოპტიკური დისკი და ვიდეოდისკი), ყოველი გადამტანი აღიწერება (1) მეთოდით, რომლის თანახმად ყოველი მატარებელი იკავებს აღწერილობის ცალკეულ სტრიქონს.

მაგ.

. - 1 electronic optical disc : sd., col. ; 12 cm

. - 1 videodisc : sd., col. ; 30 cm

. - 1 manual (25 p.) : ill. ; 26 cm

როდესაც ელექტრონული წყარო წარმოადგენს შედგენილი მულტიმედია ერთეულის ნაწილს ან კომპონენტს, ბიბლიოგრაფიულ სააგენტოს შეუძლია შეარჩოს ამგვარი აღწერის ერთეულებისათვის ISBD(NBM)-ის სფერო 5-ში მოცემული მეთოდებიდან ერთ-ერთი.

5.1 სპეციფიკური მასალის აღნიშვნა და მოცულობა

5.2 სხვა ფიზიკური დეტალები.

5.3 ზომები

5.4 ცნობა თანდართული მასალის შესახებ (არ არის სავალდებულო)

პუნქტუაცია

ა. ფიზიკური აღწერილობის სფეროს წინ იწერება წერტილი, ინტერვალი, დეფისი, ინტერვალი (. -).

ბ. სხვა ფიზიკური დეტალების შესახებ პირველი ცნობის წინ იწერება ინტერვალი, ორი

წერტილი, ინტერვალი (:).

გ. ზომების შესახებ პირველი ცნობის წინ იწერება ინტერვალი, წერტილ-მძიმე, ინტერვალი (;)

დ. თანდართული მასალის შესახებ ყოველი ცნობის წინ იწერება ინტერვალი, შეკრების ნიშანი, ინტერვალი (+).

მაგ.

. - სპეციფიკური მასალის აღნიშვნა და მოცულობა : სხვა ფიზიკური დეტალები ; ზომები + ცნობა თანდართული მასალის შესახებ

5.1 სპეციფიკური მასალის აღნიშვნა და მოცულობა

5.1.1. ფიზიკური აღწერილობის სფეროს პირველი ელემენტი განსაზღვრავს ფიზიკური ერთეულის ან ერთეულების სახეობას და რაოდენობას, რომლითაც არის წარმოდგენილი წყარო, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი განმარტებით ტერმინების დართვით. მასალის სპეციაფიკური აღნიშვნა აღწერს მასალის კონკრეტულ კლასს, რომელსაც განეკუთვნება ფიზიკური მატარებელი და იწერება ბიბლიოგრაფიული სააგენტოს ენაზე. მასალის სპეციფიკური აღნიშვნების ჩამონათვალი ინგლისური ენისათვის მოცემულია გ დანართში.

თუ ამ ჩამონათვალში არ აღმოჩნდება არც ერთი შესაფერისი ტერმინი, შეიქმნება შესაბამისი ახალი სპეციფიკური ტერმინი, სიტყვა "ელექტრონული"-ს დამატებით.⁶

5.1.2 ფიზიკური ერთეულების რაოდენობა ჩაიწერება არაბული ციფრებით მასალის სპეციფიკური აღნიშვნის წინ.

⁶ თუ მოცემულია მასალის ზოგადი აღნიშვნა, შესაძლებელია სიტყვა "ელექტრონული" გამოტოვებულ იქნეს მოყვანილ ტერმინში ან სპეციფიკური მასალის აღნიშვნაში (მაგ. . – 2 ოპტიკური დისკი).

მაგ.

- . - 1 electronic disk
- . - 2 electronic tape cassettes
- . - 4 electronic optical discs

5.1.3 ცალკეული ოპტიკური დისკოს ფორმატის მახასიათებელი (როდესაც ცნობილია) ჩაიწერება ფრჩხილებში, ელექტრონული ოპტიკური დისკოს მასალის სპეციფიკური აღნიშვნის შემდეგ. შესაძლებელია ოპტიკური დისკების შემდეგი ფორმატების მახასიათებლების ჩაიწერა CD-I, CD-ROM, ფოტო CD.

მაგ.

- . - 1 electronic optical disc (CD-ROM)
- . - 2 electronic optical discs (Photo CD)
- . - 1 electronic optical disc (CD-I)

ოპტიკური დისკების სხვა კონკრეტული ფორმატები შეიძლება ჩაიწეროს იმ შემთხვევაში, თუ მათი იდენტიფიკაცია შესაძლებელია, ბიბლიოგრაფიულ სააგენტოს სურს მისი ჩაწერა და შესაბამისი ტერმინი კარგად არის დადგენილი და გამოიყენება ლოკალური წყაროს როგორც მწარმოებლების, ასევე მომხმარებლების მიერ.

5.2 სხვა ფიზიკური დეტალები

5.2.1 ფიზიკური აღწერილობის სფეროს მეორე ელემენტი არის ცნობა, რომელიც აკონკრეტებს სხვა ფიზიკურ მახასიათებლებს, ფიზიკური მატარებლების ზომების გარდა. სხვა ფიზიკური დეტალების შემადგენელი სპეციფიკაციები შესაბამისად იწერება შემდეგი სახით.

5.2.2 აბრევიატურა "sd.", ან მისი ეკვივალენტი სხვა ენაზე და/ან დამწერლობით, იწერება

შესაბამისად იმ წყაროსათვის, რომელსაც აქვს (უნდა ჰქონდეს) ხმა, ან რომელსაც შეუძლია ხმის წარმოქმნა. ხმის წარმოქმნისათვის აუცილებელი მოთხოვნები (მაგ. სინთეზატორები, შესასვლელი მოდულები ხმისათვის) ჩაიწერება შენიშვნაში (იხ. 7.5.1).

მაგ.

. - 1 electronic disk : sd.

5.2.3 ფერის მახასიათებლები ჩაიწერება იმ წყაროსათვის, რომელიც წარმოდგენა შესაძლებელია ორი ან მეტი ფერის საშუალებით, ან რომელსაც შეუძლია ორი ან მეტი ფერის წარმოქმნა. შესაბამისად ჩაიწერება აბრევიატურა "col", ან მისი ეკვივალენტი სხვა ენაზე და/ან დამწერლობით. ტერმინი "შავ-თეთრი" (b&w)-ის გამოყენება იმ წყაროებისათვის, რომლებიც გამოისახება ერთი ფერით (მაგ. თეთრი, მწვანე ან ფოსფორული ფერი მუქ ფონზე) არ არის მიზანშეწონილი. ცნობები იმ აპარატურაზე, რომელიც საჭიროა ფერის გამოსახვის ან წარმოქმნისათვის (მაგ. ფერადს პლატა, ფერადი მონიტორი), ჩაიწერება შენიშვნაში (იხ. 7.5.1).

მაგ.

. - 2 electronic tape cassettes : col.

. - 1 electronic optical disc (CD-I) : sd., col.

5.3 ზომები

5.3.1 ფიზიკური აღწერილობის სფეროს მესამე ელემენტია ცნობა ფიზიკური მატარებლის ზომების შესახებ. გამოისახება სანტიმეტრებში და მრგვალდება მეტობით მთელამდე. ტერმინის შემოკლებაა "cm" (ან მის ეკვივალენტი სხვა ენაზე და/ან დამწერლობით).⁷

5.3.2 ძირითადი ზომებია თვით ფიზიკური მატარებლის ზომები, კონტეინერის,

⁷ შესაძლებელია ზომების გამოსახვა დუიმებში (შემოკლდება როგორც in.) სანტიმეტრების ნაცვლად. (მაგ. 3 1/2 in.).

ზომებისაგან დამოუკიდებლად (რაც შეეხება კონტეინერს წყაროთა ნაკრებისათვის (კომპლექტისათვის) იხ. 5.3.3).

5.3.2.1 დისკოს ან ფირის კოჭასათვის ჩაიწერება დიამეტრი. შეიძლება ჩაიწეროს ფირის სიგრძე და სიგანე.

მაგ.

- . - 1 electronic disk : col. ; 14 cm
- . - 1 electronic optical disc ; 12 cm
- . - 1 electronic tape reel ; 26.7 cm

5.3.2.2 ჩაიწერება მიკროსქემის "კერტიჯის" წინა მხარის სიგრძე.

მაგ.

- . - 1 electronic chip cartridge : sd., col. ; 9 cm

5.3.2.3 ჩაიწერება ფირის კასეტის სიგრძე და სიგანე, თუ ისინი განსხვავდებიან სტანდარტული ზომებისაგან (10 x 7 სმ) და ფირის სიგანე, თუ ის განსხვავდება სტანდარტული სიგანისაგან (4 მმ).

მაგ. . - 1 electronic tape cassette : col. ; 19 x 9 cm, 7 mm tape

5.3.3 თუ აღწერის ერთეული წარმოადგენს კონტეინერში მოთავსებულშეკვრას, მაგალითად ელექტრონული დისკებისა, თანდართული მასალით ან მის გარეშე, შეიძლება მოცემული იქნეს ამ კონტეინერის ზომები. შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს ფრაზა "in container" (კონტეინერში) (ან მისი ეკვივალენტი სხვა ენაზე და/ან დამწერლობაში) ან ეს ცნობა არ იქნეს მითითებული.

მაგ.

- . - 4 electronic tape cassettes : sd., col. ; in container, 12 x 36 x 20 cm

5.3.4 როდესაც აღწერის ერთეული შედგება ერთზე მეტი ფიზიკური მატარებლისაგან და მათი ზომები განსხვავებულია, ჩაიწერება უმცირესი და უდიდესი ზომები, გაყოფილი

დეფისით.

მაგ. . - 2 electronic disks : col. ; 9-14 cm

5.4 ცნობა თანდართული მასალის შესახებ (არ არის სავალდებულო)

5.4.1 ფიზიკური აღწერილობის სფეროს მეოთხე ელემენტია ცნობა თანდართული მასალის შესახებ. ტერმინი "დართული მასალა" გამოიყენება აღწერის ერთეულის ნებისმიერი ფიზიკურად განცალკავებული ნაწილისათვის, რომელიც იქამდე არ იქნა აღწერილი ფიზიკური აღწერილობის სფეროში. ასეთი ნაწილი შეიძლება წარმოადგენდეს ორი ან მეტი ურთიერთდამოკიდებული სისტემიდან ერთ-ერთს (მაგ: ელექტრონული დისკი, ხმოვანი ფირით და აღწერილობით), ან შეიძლება იყოს აღწერის ერთეულის მცირე ნაწილი (მაგ: განმარტებითი ბროშურა). შესაძლებელია ცნობა თანდართული მასალის შესახებ ჩაიწეროს მე-7 სფეროში და არა მე-5-ში.

დისტანციური წყაროებისათვის, როდესაც ფიზიკური აღწერილობა არ კეთდება (იხ. სფერო 5, წინასწარი შენიშვნა), თანდართული მასალა აღიწერება შენიშვნაში (იხ. 7.5.3).

5.4.2 თანდართული მასალა შეიძლება აღიწეროს ან იმავე ტერმინებით, როგორც ის მოცემულია წყაროში ან შესაბამისი სპეციფიკური მასალის აღნიშვნის ტერმინის მეშვეობით.

მაგ.

. - 2 ელექტრონული დისკი ; 14 სმ + 1 ბროშურა.

. - 1 ელექტრონული დისკი (CD-ROM) : sd. ; col. ; 12 სმ + 1 ხმოვანი კასეტა

5.4.3 შეიძლება მოცემულ იქნეს თანდართული მასალის მოკლე ფიზიკური აღწერა მასალის დამახასიათებელი ტერმინის ან მასალის სპეციფიკური აღნიშვნის შემდეგ. მასალა ჩვეულებრივ აღიწერება შესაბამისი ISBD-ს 5.1-5.3 დებულებების თანახმად.

მაგ. . - 2 ელექტრონული დისკი ; 9 სმ + ინსტრუქცია მომხმარებელთათვის (110 გვ. ; 23

სმ)

5.4.4 თანდართული მასალა შეიძლება აღიწეროს აგრეთვე დამოუკიდებლად ან მრავალდონიანი აღწერის მეთოდით (იხ. დანართი ა).

6. სერიის სფერო

წინასწარი შენიშვნა

სფერო 6 გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც აღწერის ერთეულის ყველა ნაწილი გამოქვეყნებულია (ან გამიზნულია გამოსაქვეყნებლად) ერთსა და იმავე სერიაში ან ქვესერიაში. სხვა შემთხვევაში შეიძლება მოცემულ იქნეს ცნობები სერიის შესახებ მე-7 სფეროში.

როდესაც აღწერის ერთეული ეკუთვნის ერთზე მეტ სერიას და ან ქვესერიას, სფერო მეორდება. მონაცემთა მიმდევრობა განსაზღვრება ინფორმაციის წყაროების უპირატესობის განსაზღვრის წესით; იმ შემთხვევაში, თუ ისინი თანაბარი მნიშვნელობისაა, მიმდევრობა შეესაბამება ამორჩეულ წყაროში არსებულ მონაცემთა მიმდევრობას.

სერიისა და ქვესერიის შემთხვევაში საჭიროა ISBD(S)-ის მოშველიება მე-6 სფეროს ელემენტების განსაზღვრისათვის (მაგ. ინფორმაციის წყაროების არჩევა, მონაცემთა გადაწერა აღწერილობაში). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტერმინების "საერთო სათაური" და "დამოუკიდებელი სათაური" განსაზღვრა ISBD(S)-ის 0.3.3.1-ის მიხედვით, სადაც აღნიშნულია, რომ ეს ტერმინები მოიცავს ა) ყველა საერთო/ნაწილის სათაურს და ბ) იმ მთავარ/ქვე-სერიას რომლებშიც ქვესერიის სათაური დამოუკიდებელია.

6.1 სერიის ან ქვესერის ძირითადი სათაური

6.2 სერიის ან ქვესერის პარალელური სათაური

6.3 სხვა ცნობები სერიის ან ქვესერის სათაურის შესახებ

6.4 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, დაკავშირებული სერიასთან ან ქვესერიასთან

6.5 სერიის ან ქვესერიის საერთაშორისო სტანდარტული სერიალური ნომერი

6.6 ნუმერაცია სერიაში ან ქვესერიაში

პუნქტუაცია

ა. სერიის სფეროს წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი (. -).

ბ. სერიის ყოველი დებულება ჩაისმება ფრჩხილებში (()).

გ. სერიის მეორე და ყოველ მომდევნო დებულებას წინ უძღვის ინტერვალი.

დ. ყოველ პარალელურ სათაურს წინ უძღვის ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი (=).

ე. ყოველ სხვა ცნობას სათაურის შესახებ წინ უძღვის ინტერვალი, ორი წერტილი, ინტერვალი (:).

ვ. პირველ ცნობას პასუხისმგებლობის შესახებ წინ უძღვის ინტერვალი, წილადის ხაზი, ინტერვალი (/).

ზ. პასუხისმგებლობის შესახებ ყოველ მომდევნო ცნობას წინ უძღვის ინტერვალი, წერტილ-მძიმე, ინტერვალი (;), თუ ცნობები არ ქმნიან ერთ ფრაზას.

თ. საერთაშორისო სტანდარტულ სერიალურ ნომერს წინ უძღვის მძიმე, ინტერვალი (,).

ი. ნუმერაციას სერიაში ან ქვესერიაში წინ უძღვის ინტერვალი, წერტილ-მძიმე, ინტერვალი (;).

კ. ნაწილის ან ქვესერიის აღნიშვნას ან დამოკიდებულ სათაურს, რომელიც მოსდევს საერთო სათაურს, წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი (.).

ლ. დამოკიდებულ სათაურს, რომელიც მოსდევს ნაწილის ან ქვესერიის აღნიშვნას, წინ უძღვის მძიმე, ინტერვალი (,).

მაგ.

- . - (პირველი სერია) (მეორე სერია)
- . - (სერიის ძირითადი სათაური = სერიის პარალელური სათაური)
- . - (სერიის ძირითადი სათაური: სხვა ცნობები სერიის სათაური შესახებ / სხვა ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ სერიისათვის ; ნუმერაცია სერიაში)
- . - (სერიის ძირითადი სათაური, ISSN ; ნუმერაცია სერიაში)
- . - (საერთო სათაური. ნაწილის ან ქვესერიის აღნიშვნა, ნაწილის სათაური)
- . - (საერთო სათაური. ნაწილის სათაური = პარალელური საერთო სათაური. პარალელური ნაწილის სათაური).

6.1 სერიის ან ქვესერიის ძირითადი სათაური

6.1.1 სერიის ან ქვესერიის ძირითადი სათაური შეესაბამება ძირითად სათაურს სერიის ან ქვესერიის ბიბლიოგრაფიულ აღწერაში, როდესაც იგი აღწერილია როგორც სერიალი, ISBD(S)-ის 1-ლი სფეროს შესაბამისად.

მაგ.

- . - (Interactive digital computer teaching models)
- . - (Canadian travel surveys)
- . - (Acornsoft business)

6.1.2 ძირითადი სათაური ჩაიწერება ისე, როგორც ის არის მოყვანილი ინფორმაციის დაწესებულ წყაროში. ის გადაიწერება ზუსტად სიტყვა-სიტყვით, მაგრამ არ არის აუცილებელი დიდი ასოების და პუნქტუაციის დაცვა.

მაგ. . - (Sources urbaines canadiennes)

6.1.3. როდესაც ქვესერიას აქვს განმასხვავებელი სათაური, ის ჩაიწერება სფერო 6-ში. მთავარი სერიის სათაური ჩაიწერება სფერო 7-ში.

მაგ. . - (Applied statistics and econometrics ; 27)

შენიშვნა: ძირითადი სერია: Multicollinearity and estimation studies

6.1.4 როდესაც ძირითადი სათაური შედგენილია საერთო სათაურისა და ნაწილის სათაურისაგან ან ქვესერიის დამოკიდებული სათაურისაგან, პირველად იწერება საერთო სათაური, შემდეგ ნაწილის ან ქვესერიის აღნიშვნა და/ან ნაწილის ან ქვესერიის სათაური. საერთო სათაური არ მეორდება სფერო 7-ში.

მაგ.

. - (National income patterns. Series 3, Indonesia)

. - (Mathematics and science series. Concepts ; 2)

. - (Super graphics. Series I ; 2)

6.1.5 როდესაც აღწერის ერთეული წარმოადგენს მრავალნაწილიანი წყაროს ცალკეულ ნაწილს, სერიის ძირითადი სათაური არის მრავალნაწილიანი წყაროს, როგორც მთლიანის, ძირითადი სათაური, აღწერილი ISBD(ER)-ის 1-ლი სფეროს მოთხოვნების შესაბამისად.

მაგ.

. - (Dune ; vol. 4)

. - (Selected works of Herman Melville ; vol. 2)

6.2 სერიის ან ქვესერიის პარალელური სათაური

6.2.1 როდესაც სერიის ან ქვესერიის სათაური გვხვდება ინფორმაციის დაწესებულ წყაროში ერთზე მეტ ენაზე და/ან დამწერლობით, ჩაიწერება სერიის პარალელური სათაურები

მაგ.

. - (Travaux de recherche en science sociale = Research monographs in the social sciences)

6.2.2 როდესაც ძირითადი სათაური შედგება საერთო სათაურისა და დამოკიდებული სათაურისაგან, მთლიანი ძირითადი სათაურის შემდეგ ჩაიწერება პარალელური საერთო სათაური და პარალელური დამოკიდებული სათაური.

6.3 სხვა ცნობები სერიის ან ქვესერიის სათაურის შესახებ (არ არის სავალდებულო)

6.3.1 სერიასთან ან ქვესერიასთან დაკავშირებული სხვა ცნობები სათაურის შესახებ შეიძლება იქნეს მოყვანილი მაშინ, როდესაც ის გვხვდება ინფორმაციის დაწესებულ წყაროში და სერიის იდენტიფიკაციისათვის ჩაითაძვლება საჭიროდ.

მაგ.

. - (Verbal skills : writing and reporting)

. - (Introduction to technology : medieval to modern times)

6.3.2 როდესაც ძირითადი სათაური შედგება საერთო სათაურისა და დამოკიდებული სათაურისაგან, სხვა ცნობები სათაურის შესახებ, თუ არის მოცემული, ჩაიწერება ძირითადი სათაურის იმ ნაწილის შემდეგ, რომელსაც ეკუთვნის. გაურკვევლობის შემთხვევაში ის ჩაიწერება მთლიანი ძირითადი სათაურის შემდეგ.

მაგ.

. - (Pricing and buying. Module 5, Patterns : automobile prices)

. - (Enquêtes et recherches statistiques : travaux en cours. Canada)

6.3.3 სერიასთან დაკავშირებული ცნობები გამოცემის შესახებ განიხილება როგორც სხვა ცნობები სათაურის შესახებ. ისინი ჩაიწერება მე-2 სფეროს დებულებების შესაბამისად.

მაგ.

. - (Computer simulation models : 2nd ed.)

6.4 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, დაკავშირებული სერიასთან ან ქვესერიასთან

6.4.1 როდესაც სერიის ან ქვესერიის ძირითადი სათაური არის გვაროვნული ტერმინი, პირველი ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ სავალდებულოა. სხვა შემთხვევებში პასუხისმგებლობის პირველი და მომდევნო ცნობა შეიძლება ჩაიწეროს მაშინ, როდესაც ისინი მოყვანილია აღწერის ერთეულში და სერიის იდენტიფიკაციისათვის ჩაითვლება საჭიროდ.

მაგ.

. - (Collected software / American University, English Language Institute)

. - (Plays / Eugene O'Neill)

შესაძლებელია მოცემული იქნეს პარალელური ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, ამ შემთხვევაში ყოველ მათგანს წინ უნდა უძღვოდეს ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი.

მაგ.

. - (Research reports / Canadian Transport Commission, Research Branch = Commission canadienne des transports, Direction de la recherche)

6.4.2 როდესაც ძირითადი სათაური შედგება საერთო სათაურისა და დამოკიდებული სათაურისაგან, ყოველი ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ ჩაიწერება სათაურის იმ

ნაწილის შემდეგ, რომელსაც ის ეკუთვნის. გაურკვევლობის შემთხვევაში ის ჩაიწერება მთლიანი ძირითადი სათაურის შემდეგ.

6.5 სერის ან ქვესერიის საერთაშორისო სტანდარტული სერიული ნომერი

6.5.1 სერიის ან ქვესერიის შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტული სერიული ნომერი (ISSN) უნდა იქნეს მოყვანილი, როდესაც ის ცნობილია და ჩაიწერება შესაბამისი სტანდარტის მიხედვით.

მაგ. . - (Elsevier's interactive anatomy, ISSN 0929-2225)

6.5.2 როდესაც ძირითადი სათაური შედგება ქვესერიის განმასხვავებელი სათაურისაგან, მთავარი სერიის ISSN ჩაიწერება მის სათაურთან ერთად მე-7 სფეროში.

6.5.3 როდესაც ძირითადი სათაური შედგება საერთო სათაურისა და დამოკიდებული სათაურისაგან, საერთო სათაურის ISSN არ ჩაიწერება მე-6 სფეროში და ჩაიწერება მე-7-ში.

მაგ. . - (Der Landkreis. Ausgabe Hessen, ISSN 0340-3246)

შენიშვნა: მთავარი სერიის ISSN : ISSN 0342-2259

6.6 სერიის ან ქვესერიის ნუმერაცია

6.6.1 აღწერის ერთეულის ნუმერაცია სერიასა ან ქვესერიაში ჩაიწერება იმავე ტერმინებით, როგორც გვხვდება აღწერის ერთეულში. შეიძლება გამოყენებულ იქნეს სტანდარტული აბრევიატურა. არაბული ციფრები გამოიყენება სხვა ციფრების ან სიტყვიერი რიცხვების ნაცვლად.

მაგ.

- . - (Multimedia learning series ; vol. 2)
- . - (Visit Canada series ; vol. C)
- . - (Computer simulation games ; module 5)
- . - (BTS research report ; 2)

6.6.2 როდესაც ძირითადი სათაური შედგება საერთო სათაურისა და დამოკიდებული სათაურისაგან, საერთო სათაურის ნუმერაცია არ ჩაიწერება. შენიშვნა, სერიის ან ქვესერიის ნუმერაციის თანამიმდევრობაზე, შეიძლება იქნეს ჩაწერილი მე-7 სფეროში.

მაგ.

- . - (Contrasts and similarities in siblings. Series A, Young brothers and sisters (12-21) ; no. 1)

შენიშვნა: ძირითადი სერიის ნუმერაცია: no. 6

6.6.3 როდესაც სერიაში შემავალი მრავალნაწილიან წყაროს ნაწილები დანომრილია, ჩაიწერება დეფისით დაკავშირებული პირველი და ბოლო ნომრები და/ან ასოები, თუ ნუმერაცია თანამიმდევრულია. სხვა შემთხვევებში ჩაიწერება ყველა ნომერი/ ასო.

მაგ.

; vol. 10-13

; A, C, M

; 2051-2059

7. შენიშვნების სფერო

შინაარსი

შენიშვნები განმარტავენ და აძლიერებენ ფორმალურ აღწერილობას იქ, სადაც ასეთი აღწერილობის წესები არ იძლევიან რაიმე ინფორმაციის დამატების საშუალებას. ამიტომ შენიშვნები შესაძლებელია დაკავშირებულ იქნენ წყაროს ან მისი შემადგენელი ნაწილების აღწერის ნებისმიერ ასპექტთან.

შენიშვნები, მათი ბუნების გათვალისწინებით, არ შეიძლება იყოს ჩამოთვლილი სრულად, მაგრამ შეიძლება იყოს დაყოფილი კატეგორიებად ISBD(ER)-ს სფეროების შესაბამისად. ამ სფეროებთან დაკავშირებული შენიშვნების გარდა შეიძლება იყოს წყაროს აღწერილობასთან დაკავშირებული ისეთი შენიშვნები, რომლებიც არ შეესაბამება სპეციალური ISBD-ს არც ერთ სფეროს. გარდა სპეციალურად მითითებული შემთხვევებისა, შენიშვნები და მათი ჩაწერის მიმდევრობა წინასწარ განსაზღვრული ან სავალდებულო არ არის. მაგრამ, ISBD(ER)-ის თანახმად შედგენილ აღწერილობებში შენიშვნები სისტემური მოთხოვნების (იხ. 7.5.1) და მიწვდომის ხერხის შესახებ (იხ. 7.5.2) წინ უძღვის ყველა დანარჩენ შენიშვნას.

პუნქტუაცია

ყოველი შენიშვნა გამოიყოფა შემდგომი შენიშვნისაგან წერტილით, ინტერვალით, დეფისით, ინტერვალით (. -). ეს პუნქტუაცია არ იწერება ან იცვლება მხოლოდ წერტილით, როდესაც ყოველი შენიშვნა იწერება ახალ სტრიქონში. რეკომენდირებულია, რომ შენიშვნებში, სადაც საჭიროა, 1-6 სფეროებისათვის დაწესებული პუნქტუაცია იყოს დაცული. მაგალითად სათაური გამოიყოფა პასუხისმგებლობის ცნობებისაგან ინტერვალით, წილადის ხაზით, ინტერვალით (/).

7.1 შენიშვნები სათაურისა და პასუხისმგებლობის ცნობის სფეროს შესახებ

7.1.1 შენიშვნები ძირითადი სათაურის შესახებ.

7.1.1.1 შენიშვნები ნაშრომის თარგმანის ან ადაპტაციის ენის შესახებ.

როდესაც აღწერის ერთეულის შემადგენელი ნაშრომი წარმოადგენს თარგმანს ან ადაპტაციას, პირველწყაროს სათაური ჩაიწერება შენიშვნაში. ამ შენიშვნას შუძლია განსაზღვროს აღწერის ერთეულში გამოყენებული ენა და უჩვენოს მისი კავშირი სხვა წყაროებთან.

მაგ.

- . - In German
- . - Screen displays in French and English
- . - Adaptation of: Draculus. 1994
- . - Translation of: Als de dood

როდესაც აღწერის ერთეული შეიცავს რამდენიმე ინდივიდუალურ ნაშრომს, თარგმანის შენიშვნები შეიძლება ჩაირთოს შინაარსის შენიშვნაში.

7.1.1.2 ძირითადი სათაურის წყაროს შენიშვნები (სავალდებულო)

ძირითადი სათაურის წყარო უნდა იქნეს მოყვანილი ყველა შემთხვევაში.

მაგ.

- . - Title from title screen
- . - Title from codebook
- . - Title from container
- . - Title from videodisc label
- . - Title supplied by cataloguer
- . - Title from IFLANET home page
- . - Title from first display of information
- . - Title from TEI header
- . - Title from printout of title screen

- . - Title from subject line of email header

7.1.1.3 შენიშვნები, რომლებიც იძლევიან სათაურის ვარიანტებს და ტრანსლიტერაციას მაგ.

- . - Title on codebook: New Democratic Party of Ontario, 1967
- . - Title on container: Interactive cells
- . - "Personal finances and other applications" - Second title screen
- . - HTML title: CyberMedia
- . - File name: DUB.1

ლოკალურად მინიჭებული ფაილის სახელი ჩაიწერება 7.13-ში.

7.1.2 შენიშვნები არწერის ერთეულის ხასიათზე, შინაარსზე, მხატვრულ ფორმასა ან დანიშნულებაზე.

ჟანრი ან სხვა ინტელექტუალური კატეგორია, რომელსაც მიეკუთვნება აღწერის ერთეული, შეიძლება ჩაიწეროს შენიშვნაში.

მაგ.

- . - Interactive adventure game
- . - Spreadsheet, with word processing and graphics capabilities
- . - Simulation model of the U.S. economy structured after the Wharton Econometric Model
- . - Combined time series analysis and graph plotting system
- . - Gray-scale image processing program

7.1.3 შენიშვნები პარალელურ სათაურებზე და სხვა ცნობებზე სათაურის შესახებ.

და

7.1.4 პარალელური სათაურები და სხვა ცნობები სათაურის შესახებ, რომლებიც

მოყვანილია ინფორმაციის დაწესებულ წყაროში, შეიძლება ჩაიწეროს შენიშვნაში როცა ისინი არ მიესადაგებიან 1-ლ სფეროს.

მაგ.

- . - Sub-title (from container): Gaining financial independence
- . - Parallel title (from title screen): Les techniques de la prévision à court terme

7.1.5 შენიშვნები პასუხისმგებლობის ცნობების შესახებ

ისინი შეიძლება შეიცავდნენ პასუხისმგებლობის ცნობებს, აღებულს არა აღწერის ერთეულიდან (იხ. 1.5.4.2); შენიშვნებს პიროვნებების საკუთარი სახელების ან ორგანიზაციების სახელწოდებების ვარიანტების ან გავრცობილი ფორმების შესახებ; შენიშვნებს პიროვნებების ან ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც დაკავშირებული არიან ნაშრომთან და რომელთა ჩართვა აღწერილობის სხვა სფეროში შეუძლებელია (მაგალითად. რადგან მათი ფუნქცია არ არის განსაზღვრული); შენიშვნებს პიროვნებების ან ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც დაკავშირებული არიან ნაშრომის ტექნიკურ წარმოებასთან ან ადმინისტრაციულ და საკონსულტაციო ფუნქციებთან და შენიშვნებს პიროვნებების ან ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც დაკავშირებული არიან წინა (და არა წინამდებარე) გამოცემებთან.

მაგ.

- . - Data collected in collaboration with Christiane Klapisch, École pratique des hautes études, Paris
- . - Animated by Gary Simski ; consultation provided by Micro Industries
- . - Systems designer, Henry Letow ; sound, LF Acoustics
- . - Label on container reads: Arizona Arts and Science Council
- . - Content developed by Charles Lytle and William Surver ; videodisc and HyperCard stack design by J. Mark Turner ; HyperCard stack programming by Helen Brooks
- . - Presenter and essayist: Alan Rich

- . - Programmer, Leslie Olsson ; reference manual, Jean Fakourey
- . - Full name of producer: Jason A. Delaire

7.2 შენიშვნები აღწერის ერთეულის გამოცემის სფეროსა და ბიბლიოგრაფიული ისტორიის შესახებ.

7.2.1 შენიშვნები გამოცემის ცნობის წყაროს შესახებ (სავალდებულოა თუ არსებობს).

გამოცემის ცნობის წყარო უნდა იქნეს აღნიშნული ყოველთვის, როდესაც ის განსხვავებულია სათაურის წყაროსაგან.

მაგ.

- . - Ed. statement from booklet
- . - Ed. statement from disk label
- . - Ed. statement from information at end of resource

7.2.2 შენიშვნები აღწერის ერთეულის ბიბლიოგრაფიული ისტორიის შესახებ.

ისინი შეიძლება შეიცავდნენ დისტანციური ელექტრონული წყაროს ხშირი ცვლადობის მინიშნებას.

მაგ.

- . - Frequently updated; Last update: 2/18/97
- . - Updated weekly
- . - Continuously updated; Version 7 dated: May 5, 1997

ისინი შეიძლება შეიცავდნენ აღწერის ერთეულის სხვა აღწერის ერთეულებთან და სხვა გამოცემებთან (ან ხელმეორე გამოცემებთან) ურთიერთდამოკიდებულების დეტალებს.

მაგ.

- . - Program first issued by Educational Software in 1994
- . - Electronic version of the print publication issued in 1989
- . - Formerly: German Embassy study
- . - Earlier parts of text published in 1984 and 1987 are digitised and made available online
- . - Replicates survey conducted in 1993 by author
- . - "Multimedia Master version of the original 1985 two videodisc version" - Container
- . - Based on: Health interview survey 1996

შესაძლებელია ჩაწერილ იქნეს ქვემოთ მოყვანილი თარიღები, როცა ისინი შეესაბამებიან ელექტრონული წყაროს შინაარსს, გამოყენების პირობებს ან მდგომარეობას.

დროის პერიოდი, რომელსაც ფარავს მონაცემები

დროის პერიოდი (თარიღები), როდესაც მონაცემებია შეკრებილი

დამატებითი ფაილებისა და თანდართული მასალების (რომლებიც ცალკე არ არის აღწერილი) თარიღები.

მაგ.

- . - New England sermons, 1802-1918
- . - Interview wave I: Apr. 1991; wave II: Jan. 1992
- . - Data are representative of the 1990 census
- . - Data collected in May and June, 1995
- . - Supplementary files for sophomore and senior cohorts from 1993-1995
- . - Manual dated 1994

7.3 შენიშვნები, დაკავშირებული წყაროს ტიპსა და მოცულობასთან და წყაროს სხვა მახასიათებლებთან.

ისინი შეიძლება შეიცავდნენ დამატებით ინფორმაციას წყაროს ტიპის და მოცულობის შესახებ, რომელიც ერთვის მე-3 სფეროში მოყვანილ ფორმალურ ცნობას და შენიშვნებს წყაროს სხვა მახასიათებლების შესახებ.

მაგ.

- . - Resource size: 100, 300, 220, 500 statements
- . - Resource size: 600, 12,000, 1613, 1000 records
- . - Resource size unknown
- . - Resource size varies
- . - Program can handle up to 2000 records
- . - Maximum record size: 2800 bytes
- . - File structure: Hierarchical
- . - Number of variables: 960
- . - Number of routines: 102
- . - Computerized resource of 3000 records

7.4 შენიშვნები გამოცემის, გავრცელების და ა.შ. სფეროს შესახებ.

ისინი შეიძლება შეიცავდნენ ცნობებს აღწერის ერთეულის სხვა გამომცემლების, გამავრცელებლების და ა.შ. ან სხვა გამოცემის, გავრცელების და ა.შ. გზების შესახებ და დამატებით თარიღებს.

მაგ.

- . - Distributed in the U.K. by: ILIP Services
- . - Imprint on label attached to container: Taftville (Conn.) : MCD Software Associates
- . - User's manual distributed by the American Political Science Association, Washington, D.C.
- . - Disk label has date: cop. 1992

7.5 შენიშვნები სისტემური მოთხოვნებისა და ფიზიკური აღწერილობის სფეროს შესახებ

7.5.1 შენიშვნები სისტემური მოთხოვნების შესახებ (სავალდებულოა ლოკალური ელექტრონული წყაროსათვის)

მოთხოვნები იმ სისტემის თაობაზე, რომლებსაც იყენებს აღწერის ერთეული უნდა იქნეს მოყვანილი ყოველი ლოკალური ელექტრონული წყაროს შენიშვნაში. ეს მოთხოვნები შეიძლება შეიცავდნენ ერთ ან მეტ ტექნიკურ მახასიათებელს, რომლებიც უნდა იქნეს ჩაწერილი ქვემოთ მოცემული სახით და იწყებოდეს ტერმინით "სისტემური მოთხოვნები" (ან მისი ექვივალენტით სხვა ენაზე და/ან დამწერლობით)

კომპიუტერ(ებ)ის სახელწოდება, მოდელი და/ან რაოდენობა

მეხსიერების მოცულობა

ოპერაციული სისტემ(ებ)ის დასახელება

პროგრამული უზრუნველყოფის მოთხოვნები (მათ შორის პროგრამირების ენა)

პერიფერიული მოწყობილობები

გამოთვლითი მანქანის აპარატული საშუალებების მოდიფიკაციები

პირველი მოთხოვნის გარდა, ყოველი მოთხოვნის წინ იწერება წერტილ-მძიმე.

როდესაც აღწერის ერთეული შეიცავს ორ ან მეტ განსხვავებულ ფიზიკურ მატარებელს (მაგ. ინტერაქტიური მულტიმედიის აღწერის ერთეული, რომელიც შეიცავს ელექტრონულ დისკოს და ვიდეოდისკოს), შესაძლებელია შეიქმნას ცალკეული შენიშვნები ყოველი სისტემური მოთხოვნისათვის, რათა აღინიშნოს თითოეული ფიზიკური მატარებლის განსაკუთრებული სისტემური მახასიათებლები. ან

კატალოგიზაციის სააგენტოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ორივე ფიზიკური მატარებლისათვის ერთი სისტემური მოთხოვნების შენიშვნა გააკეთოს.

მაგ.

- . - System requirements: Macintosh; at least 1MB; System 6.0.5 or later; HyperCard version 1.0 or later; hard disk drive; videodisc player (Pioneer 2200, 4200, 6000A, 6010A, 8000); RS232 cable connector (from Macintosh to videodisc player)

სარედაქციო შენიშვნა: ერთი სისტემური მოთხოვნების შენიშვნა სხვადასხვა ფიზიკური მატარებლისათვის (ელექტრონული დისკი და ვიდეოდისკი)

- . - System requirements for electronic disk: Macintosh; at least 1MB; System 6.0.5 or later; HyperCard version 1.0 or later; hard disk drive; connector cable (from Macintosh to videodisc player)

სარედაქციო შენიშვნა: სხვადასხვა სისტემური მოთხოვნების შენიშვნა სხვადასხვა მატარებლისათვის

- . - System requirements for videodisc: Laserdisc player (Pioneer 2200, 4200, 6000A, 6010A,8000)

სარედაქციო შენიშვნა: სხვადასხვა სისტემური მოთხოვნების შენიშვნა სხვადასხვა მატარებლისათვის

- . - System requirements: Requires BinHex 4.0 to convert binary file
- . - System requirements: 386SX processor or higher; 2M RAM (4M recommended); Windows 3.0 or higher; hard disk with 8M free space; VGA adapter; col. monitor; mouse
- . - System requirements: UNIX workstation with Mosaic software
- . - System requirements: Philips Interactive compact disc (CD-I) player with monitor

7.5.2 მიწვდომის მეთოდთან დაკავშირებული შენიშვნები (სავალდებულოა დისტანციური ელექტრონული წყაროებისათვის)

მიწვდომის მეთოდი უნდა იქნეს მოყვანილი შენიშვნაში ყოველი დისტანციური ელექტრონული წყაროსათვის. მიწვდომის მეთოდი ჩაიწერება, როგორც მეორე შენიშვნა, სისტემური მოთხოვნების შენიშვნის შემდეგ (იხ. 7.5.1), თუ იგი არსებობს, და იწყება ტერმინით " მიწვდომის მეთოდი" (Mode of Access, ან მისი ეკვივალენტით სხვა ენაზე და/ან დამწერლობით). სისტემური მოთხოვნების შენიშვნის არარსებობის შემთხვევაში მიწვდომის მეთოდის შენიშვნა ჩაიწერება როგორც პირველი შენიშვნა.

მაგ.

- . - Mode of access: Lexis system. Requires subscription to Mead Data Central, Inc.
- . - Mode of access: World Wide Web. URL: <http://www.un.org>
- . - Mode of access: Internet via <ftp://ftp.nevada.edu>
- . - Mode of access: [Gopher://gopher.peabody.yale.edu](gopher://gopher.peabody.yale.edu)
- . - Mode of access: Computer university network
- . - Mode of access: Mikenet

7.5.3 შენიშვნები ფიზიკური აღწერილობის შესახებ

ისინი შეიძლება შეიცავდნენ აღწერის ერთეულის დამატებით ფიზიკურ აღწერას, რომელიც ერთვის მე-5 სფეროში ჩაწერილ ფორმალურ ცნობას და ცნობებს განსაკუთრებული ფიზიკური მახასიათებლების შესახებ. აქვე უნდა იქნეს დართული შენიშვნები ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, რომლებიც შეესაბამება დისტანციური წყაროს ხმას და ფერს, რომლებიც უნდა იქნეს აღწერილი მე-3 სფეროს დებულებების შესაბამისად.

ისინი შეიძლება შეიცავდნენ აგრეთვე შენიშვნებს ფიზიკური მატარებლების ცვლილებების შესახებ; შენიშვნებს აღწერის ერთეულის სხვა მატარებლის ან სხვა კომპიუტერის ან სისტემის ვერსიების სახით არსებობის შესახებ; შენიშვნებს მონაცემთა ფიზიკური წარმოდგენის შესახებ; შენიშვნებს აღწერის ერთეულის ჩანაწერის

მახასიათებლების შესახებ; შენიშვნებს კონტეინერების შესახებ; შენიშვნებს აღწერის ერთეულში განსხვავებულ კატეგორიების მასალათა შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ; და შენიშვნებს თანდართული მასალის შესახებ იმ აღწერის ერთეულებისათვის, რომლებიც მე-5 სფეროში არ იქნა აღწერილი და რომლებიც დისტანციურ ელექტრონულ წყაროსთან ერთად გამოქვეყნდა და აღწერილ იქნა მე-3 სფეროს მოთხოვნების შესაბამისად.

მაგ.

- . - Digital and analog tracks in English and German
- . - Also issued for IBM PC and PC compatibles
- . - Available in ASCII and PostScript versions
- . - Container: 32 x 36 x 16 cm
- . - Sound cassette in stereo
- . - A few programs have sound
- . - Still images compressed using JPEG
- . - Also available on the Internet
- . - Documentation: Comprehensive occupational health nursing preparation / principal investigator, Daniel Murphy.
- Houston (TX) : Data Health Nursing Publishers, cop. 1994. ISBN 0-87301-605-6

სარედაქციო შენიშვნა: დისტანციური ელექტრონული წყაროს თანმხლები მასალა

- . - Recorded on 9 tracks of tape

7.6 შენიშვნები სერიის სფეროს შესახებ

ისინი შეიძლება შეიცავდნენ შენიშვნებს იმ სერიის შესახებ, რომელშიც აღწერის ერთეული იქნა გამოცემული.

მაგ. . - Originally issued in the series: Science today

7.7 შინაარსთან დაკავშირებული შენიშვნები.

ისინი შეიძლება შეიცავდნენ აღწერის ერთეულის სარჩევს, საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებლობის, მოცულობის და სხვ. ცნობების დართვით, შენიშვნებს სხვა დართების შესახებ, როგორებიცაა ინდექსები და ა.შ.

მაგ.

- . - Contents: Trap and guess. Bumblebug ; Hidden treasures
- . - Contents: Cohort file 1. Mature men (45-59 yrs.) ; Cohort file 2. Mature women (45-59 yrs.) ; Cohort file 3. Young boys (14-24 yrs.) ; Cohort file 4. Young girls (14-24 yrs.)
- . - Contents: 1. Mixmatch / J. Broady and L.M. Tiems. Ollie the otter / Dana Brynner. 2. Capture the play / Paul Edelstein. Winner take all / Jennifer Drake. Listen and learn
- . - Contents: 1. 1985-1989 ; 2. 1990-1995
- . - Contents: CD-ROM data (1:29) - The young person's guide to the orchestra (16:27) - Extra audio examples (55:43)
- . - Contains information on all 50 states
- . - Number of respondents: 600 civil servants in U.S. federal agencies
- . - Contains 1200 time series
- . - Includes references to summaries on U.S. demographic data

7.8 სარგებლობასთან დაკავშირებული შენიშვნები.

ისინი შეიძლება შეიცავდნენ შენიშვნებს შეზღუდული გამოცემის ან შეზღუდული გავრცელების შესახებ.

მაგ.

- . - 250 copies issued

- . - Public domain software

7.9 შენიშვნები დაკავშირებული აღწერილობის შედგენისას გამოყენებულ წყაროსთან.

ისინი შეიძლება შეიცავდნენ შენიშვნებს იმ კონკრეტული გამოცემის შესახებ, რომელზეც დაფუძნებულია დინამიური დისტანციური წყაროს აღწერილობა.

მაგ.

- . - Description based on version dated: Oct. 4, 1997 13:22:11
- . - Description based on: Vol. 3, no. 3 (May/June 1995)
- . - Description based on home page dated: 09/06/96
- . - Description of resource as of: May 19, 1996

7.10 შენიშვნები რეზიუმესათვის

რეზიუმე ასახავს თემატიკას ფაქტობრივი ანგარიშის და არა შეფასების სახით. ფორმითა და შინაარსით შენიშვნა შეიძლება დაეყრდნოს აღწერის ერთეულში, მის კონტეინერში, დოკუმენტაციაში ან თანდართულ ტექსტურ მასალაში არსებულ ცნობებს. შესაძლებელია აგრეთვე მოყვანილ იქნეს ცნობები სპეციალური ტექნოლოგიისა ან პროცესების გამოყენების შესახებ.

მაგ.

- . - Uses shopping situations in a supermarket and a department store for the purpose of illustrating basic math concepts, including addition, subtraction, multiplication and division. Provides user exercises and drills to reinforce the concepts
- . - Gives information on higher civil servants in U.S. federal agencies, including personal characteristics, educational background, and occupational mobility
- . - An interactive multimedia tool for studying the human anatomy. Users can select anterior, posterior, medial, or lateral views, each with dozens of layers, as well as specify gender and ethnic

appearance

7.11 მომხმარებელთან დაკავშირებული შენიშვნები

ეს შენიშვნები, რომლებიც ჩვეულებრივ აღებულია აღწერის ერთეულში ან აღწერის ერთეულის შესახებ არსებული ინფორმაციიდან, იძლევიან ფაქტობრივ ცნობებს აღწერის ერთეულის შესაძლებელი ან რეკომენდირებული გამოყენებისა და/ან სავარაუდო მომხმარებლის შესახებ. ამ შენიშვნებში შეიძლება აგრეთვე მოყვანილ იქნეს აღწერის ერთეულის მოხმარების შეზღუდვები.

მაგ.

- . - For ages 3-6
- . - Restricted to municipal law enforcement personnel
- . - Designed for those with a professional interest in analyzing spatial data (geographers, planners, meteorologists, etc.)
- . - Intended for senior high school students with knowledge of algebra
- . - Resource closed until Jan. 2010
- . - For use by library staff only

7.12 შენიშვნები ნომრების შესახებ

ეს შენიშვნები ეხება ISBN-ებისაგან (იხ. 8.1) განსხვავებულ ნომრებს, რომლებიც გააჩნია აღწერის ერთეულს.

მაგ.

- . - Additional no. on label: A-096
- . - "M1 527" - Container

. - ICPSR study no. 0003

7.13 ნებისმიერი სხვა შენიშვნა, რომელიც დაკავშირებულია სპეციალურ ISBD-ებთან ან მნიშვნელოვნია ბიბლიოგრაფიული სააგენტოს ან კატალოგიზაციის ორგანიზაციის თვალსაზრისით.

ISBD(ER)-ში ეს შენიშვნები შეიცავენ ლოკალურად განსაზღვრულ ფაილის სახელს და შენიშვნებს თარიღის შესახებ, როდესაც აღწერის ერთეული იქნა კოპირებული სხვა წყაროდან ან სხვა წყაროში.

მაგ.

- . - Local data set name: RBBIT.1
- . - Local file name: MENSAT
- . - Resource copied Oct. 1996 from local area network

8. სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომრის და ხელმისაწვდომობის პირობების სფერო

წინასწარი შენიშვნა

სფერო შეიძლება განმეორდეს, როდესაც აღწერის ერთეულს აქვს ერთზე მეტი სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომერი,

ა. რადგანაც ის გამოქვეყნდა ერთზე მეტ მატარებელზე, ან ერთზე მეტი გამომცემლის, გამავრცელებლის და ა.შ. მიერ,

ან

ბ. რადგანაც მას აქვს სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომერი როგორც ცალკეული ნაწილისა აგრეთვე მთელი ჯგუფისათვის, რომლის ნაწილსაც ის წარმოადგენს.

ორივე შემთხვევაში, პირველად ჩაიწერება ის სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომერი, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულად თვით აღწერის ერთეულს, სხვა ნომრები კი (მაგ. მთელი ჯგუფის, სხვა გამომცემლების) იწერება შემდგომ, როგორც სფეროს გამეორებები.

თუ მთელი ჯგუფის სათაური მოცემულია მე-6 სფეროში, მთელი ჯგუფის სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომერი ჩაიწერება არა მასთან ერთად, არამედ მე-8 სფეროში, ცალკეული ნაწილების სტანდარტულ (ან ალტერნატიულ) ნომრებთან ერთად.

ყოველ სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომრის ჩანაწერს, შეიძლება მოსდევდეს მისი დამაზუსტებელი ნებისმიერი განმარტება და/ან მისი ხელმისაწვდომობის პირობები და/ან ფასი, რომელთაც ასევე შეიძლება მოსდევდეს განმარტება. სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომრები, რომლებიც სფეროს გამეორებებს წარმოადგენენ, უნდა იქნენ განმარტებული.

აღწერის ერთეულში მოყვანილი სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომრები, რომლებიც დაკავშირებულია მის ბიბლიოგრაფიულ ისტორიასთან, არ ჩაიწერება მე-8 სფეროში. ისინი უნდა იქნენ მოცემული მე-7 სფეროში, იმ შემთხვევაში, თუ ჩაითვლებიან არსებითად.

8.1 სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომერი

8.2 ISSN-თან დაკავშირებული საკვანძო სათაური

8.3 ხელმისაწვდომობის პირობები და/ან ფასი (არ არის სავალდებულო)

პუნქტუაცია

ა. სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომრის და ხელმისაწვდომობის პირობების სფეროს წინ იწერება წერტილი, ინტერვალი, დეფისი, ინტერვალი (. -).

ბ. საკვანძო სათაურის წინ იწერება ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი (=).

გ. ხელმისაწვდომობის პირობების და/ან ფასის წინ იწერება ინტერვალი, ორი წერტილი, ინტერვალი (:).

დ. სტანდარტულ (ან ალტერნატიულ) ნომერზე ან ხელმისაწვდომობის პირობებზე და/ან ფასებზე დართული განმარტება ჩაიწერება ფრჩხილებში (()).

ე. ყოველი მომდევნო სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომრის და ხელმისაწვდომობის პირობების ცნობის წინ იწერება წერტილი, ინტერვალი, დეფისი, ინტერვალი (. -). გარდა იმ შემთხვევისა, თუ სფეროები გარკვევით არიან განცალკევებული აბზაცებით, პარაგრაფებით ან სტამბური ხერხით, ამ შემთხვევებში წერტილი, ინტერვალი, დეფისი, ინტერვალი შეიძლება არ დაიწეროს ან შეიცვალოს წერტილით, წინა სფეროს ბოლოში.

მაგ.

- . - ISBN (მახასიათებელი) : ფასი
- . - ISBN (მახასიათებელი) : ფასი. - ISBN (მახასიათებელი) : ფასი
- . - ISBN : ფასი (მახასიათებელი)
- . - ხელმისაწვდომობის პირობები

8.1 სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომერი

8.1.1. ჩაიწერება ISBN ან სხვა სტანდარტული ნომერი, როცა იგი ცნობილია.

8.1.2 სტანდარტულ ნომერს წინ უძღვის ასოები ISBN, ISSN და ა.შ. და გაიმიფრება შესაბამისი სტანდარტის თანახმად.

მაგ. . - ISBN 0-7216-1213-X

8.1.3. როდესაც პუბლიკაციაში სტანდარტული ნომერი მოცემულია არასწორად, ჩაიწერება სწორი ნომერი, თუ იგი ცნობილია, და მის შემდეგ იწერება წერტილი,

ინტერვალი, დეფისი, ინტერვალი და არასწორი ნომერი ისე, როგორც არის მოცემული. მას ფრჩხილებში დაერთვის განმარტება "არასწორი" (ან მისი ეკვივალენტი სხვა ენაზე და/ან დამწერლობით).

მაგ.

. - ISBN 0-340-16427-1. - ISBN 0-340-16437-2 (invalid)

8.1.4 როდესაც აღწერის ერთეულს აქვს ერთზე მეტი სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომერი, რადგან იგი გამოცემულია ერთზე მეტ მატარებელზე ან ერთზე მეტი გამომცემლის, გამავრცელებლის და ა.შ. მიერ, ჩაიწერება ყველა სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომერი, მათ შემდეგ განმარტებისა და ხელმისაწვდომობის პირობების ან შესაბამისი გამომცემლის, გამავრცელებლის და ა.შ. ცნობის მითითებით. ამ ჩამონათვალში ყოველი ცნობის შემდეგ იწერება წერტილი, ინტერვალი, დეფისი, ინტერვალი (. -).

8.2 ISSN-თან დაკავშირებული საკვანძო სათაური: იხ. ISBD(S) დებულება

8.3 ხელმისაწვდომობის პირობები და/ან ფასი (არა სავალდებულო)

8.3.1 შეიძლება ჩაიწეროს ცნობა იმის შესახებ, თუ რა პირობებშია ხელმისაწვდომი აღწერის ერთეული. იმ შემთხვევაში, თუ აღწერის ერთეული გამიზნულია გასაყიდად, მისი ფასი ჩაიწერება ციფრებით ვალუტის აღმნიშვნელ სტანდარტულ სიმბოლოსთან ერთად. შესაბამისი მითითება უნდა გაუკეთდეს აღწერის ერთეულს, რომელიც გამიზნულია დასაგირავებლად.

მაგ.

: £2.05

: 950 FRF

- : producer's tutorial, not for sale
- : hire
- : free to educational institutions
- : \$325.00
- : 500 DKK

8.3.2 ხელმისაწვდომობის პირობების და/ან ფასის განმარტებები იწერება ფრჩხილებში.

მაგ. : £8.16 (£6.25 until 1 Jan. 1996)

- : \$129.00 (\$100.00 for colleges and universities)

- : \$49.00 (\$59.00 with workbook)

ხელმისაწვდომობის პირობებსა და/ან ფასთან დაკავშირებული შენიშვნები შესაძლებელია იქნეს მოყვანილი მე-7 სფეროში (იხ. 7.8).

დანართები

დანართი ა: მრავალდონიანი აღწერილობა

მრავალდონიანი აღწერილობა არის ნაწილთა ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ერთ-ერთი შესაძლებელი მათოდი. შემდეგი ერთდონიანი აღწერილობის სხვადასხვა შესაძლებელი მეთოდის მაგალითები მხოლოდ საილუსტრაციოდ მოყვანილი:

- ა. აღწერილობები, რომლებშიც ძირითადი სათაურის სახით მოყვანილია ნაწილების საერთო სათაური, ხოლო ინდივიდუალური ნაწილების სათაურები მოცემულია შენიშვნაში შინაარსის შესახებ (იხ. 7.7.);
- ბ. აღწერილობები, რომლებშიც ძირითადი სათაურის სახით მოყვანილია ყოველი ნაწილის ინდივიდუალური სათაური, ხოლო ნაწილების საერთო სათაური მოცემულია სერიის სფეროში (იხ. 6.1.5.);
- გ. აღწერილობები, რომლებშიც ძირითადი სათაურის სახით მოყვანილია (ა) ნაწილების საერთო სათაურისა და (ბ) ყოველი ინდივიდუალური ნაწილის სათაურის კომბინაცია (იხ. 1.1.2.7);

დ. აღწერილობები, რომლებშიც ჩანს შემადგენელი ნაწილების ანალიზი (იხ. IFLA-ის ინსტრუქციები ISBD-ების გამოყენებისათვის შემადგენელი ნაწილების აღსაწერად).

